პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 27 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 21 (2367)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- ჩეხო-სლოვაკიამ დაამტკიცა კელოგის პაქტი.
- ნორვეგიის მთავრობამ 15 მილიონ კრონის კრედიტი მისცა საბჭოთა ფირმებს.
- პროფკავშირების დევნა მანჯურიაში.
- დისციპლინარული ზომები დაპატიმრებულ რაკოშისა და სხვა პოლიტპატიმრების წინა აღმდეგ უნგრეთში.
- ბუდაპეშტში (უნგრეთი) გაიმართა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია.
- მიტინგები ამანულა-ხანის სასარგებლოდ ინდოეთში.
- გერმანიაში აკრძალეს საბჭოთა კინო-სურათის — „სალამანდრა"-ს ჩვენება.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მიწადმოწყობისა და მიწადმოქმედების მუშაკთა რესპ. თათბირისათვის

დღეს თბილისში იხსნება სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავეთა რესპუბლიკანური თათბირი. სოფლის მეურნეობის მშენებლობის საკითხები ამჟამად საბჭოთა და პარტიულ საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. ეს გასაგებიც არის. მრეწველობის მთელი რიგი გადამმუშავებელი დარგების საწარმოო შესაძლებლობა, ექსპორტის რაოდენობა და ქალაქის მომარაგება სურსათით—ყველა ამ საკითხების გადაჭრა უშუალოდ დამოკიდებულია სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების ტემპზე. სოციალიზმის მშენებლობის მტკიცე და ურყევ საფუძველზე დაყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობაშიაც, რომელიც ჯერ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე ნაკლებად არის განსაზოგადოებული, იქნება განვითარებული და განმტკიცებული სოციალისტური ელემენტები. ყველა ამ მეტად რთული და მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად ერთ-ერთ მთავარ წინასწარ პირობას წარმოადგენს უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავეთა აქტიური მონაწილეობისა სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ძირითად და პრინციპიალურ საკითხების დამუშავებაში. ადგილებზე პრაქტიკულად მომუშავე ამხანაგების ცოდნა და გამოცდილება 100 პროცენტით უნდა იქნეს გამოყენებული ცენტრალურ ორგანოების მიერ.

სათანადო რესპუბლიკანურმა ორგანოებმა უკვე აიღეს მტკიცე ხაზი ამ მიმართულებით, რასაც სხვათა შორის მოწმობს რესპუბლიკანური მასშტაბით მოწვეული მთელი რიგი თათბირებისა სოფ. მეურნეობის სხვადასხვა საკითხების გადასაჭრელად. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იმ თათბირს, რომელიც დღეს იხსნება და რომლის მსჯელობის მთავარ საგანს წარმოადგენს ორი ყველაზე უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი: მიწათმოწყობა და მიწათსარგებლობა და თესვის კამპანიის ჩატარება, მასთან დაკავშირებით საკითხი მოსავლიანობის აწევის შესახებ.

მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის საკითხის სათანადოთ მოწესრიგება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მშენებლობის ქვაკუთხედს. ამის გარეშე შეუძლებელია სოფლად სწორი კლასობრივი ხაზის დაცვა, კოლმეურნეობათა მშენებლობის დაჩქარება და აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის რადიკალური გარდაქმნა.

მიწათმოწყობის და მიწის სარგებლობის მოწესრიგების საკითხში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, რომელთა შორის მთავარი არის რადიკალური აგრარული რეფორმის განხორციელება, რამაც საგრძნობლად გაადიდა მშრომელი გლეხობის სარგებლობაში მყოფი მიწის ფონდი. ამას გარდა მიწათმოწყობის ჩატარებამ მოგვცა აგრეთვე ერთგვარი ეფექტი შორსმიწიანობისა და მრავალ ნაკვეთიანობის შემცირების ხაზით.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობაში ადგილი აქვს დეფექტებსაც, რომელთა გამოსწორებას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეფექტი იყო ის, რომ მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის დარგში მუშაობის დროს ყოველგან და ყოველთვის არ იყო სათანადო სიძლიერით გამოაშკარავებული სოციალისტური ელემენტები. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ზოგ შემთხვევაში თვით ჩვენს კანონმდებლობაში, კერძოდ მიწის კოდექსში ეს ელემენტები არ იყო წარმოდგენილი ისე მკაფიოდ, როგორც საჭირო იყო. ეს იყო იმის მიზეზი, რომ საკავშირო ორგანოებმა საჭიროდ დაინახეს მიწის კანონმდებლობის საკითხების ღრმა შესწავლა და დამუშავება, რის შედეგიც იყო ამ რამოდენიმე თვის წინად გამოცემული კანონი მიწის კანონმდებლობის ძირითად დებულებათა შესახებ ამ კანონში [illegible] ძირითადი პრინციპები და დებულებები, რომელთა საფუძველზე უნდა იქნას წარმოებული სათანადო საკითხების კანონმდებლობითი მოწესრიგება მიწის საკითხში სწორ კლასობრივ და სოციალისტურ ხაზის განხორციელების მიზნით. ჩვენი ამოცანა არის გადავამუშავოთ ჩვენი მიწის კოდექსი აღნიშნულ საკავშირო კანონის საფუძველზე, ეს მუშაობა წინასწარ უკვე ჩატარებულია, დამზადებულია სათანადო პროექტი. დღევანდელმა თათბირმა უნდა იმსჯელოს აღნიშნულ პროექტის ძირითად დებულებების შესახებ.

მეორე მნიშვნელოვანი დეფექტი ჩვენი მუშაობისა მიწადმოწყობის და მიწითსარგებლობის დარგში იყო ის, რომ აგრიკულტურული ეფექტი მიწათმოწყობისა მინიმალური იყო. შორსმიწიანობა, მრავალნაკვეთიანობა, მიწის ხარვეზობა, ყველა ეს მიწათსარგებლობის დეფექტები ჩვენმა მიწათმოწყობამ ან სრულიად თავის გავლენის გარეშე დასტოვა (დას. საქართველო) ან და უმნიშვნელოდ შეამცირა (აღმ. საქართველო). ამით მიწათმოწყობამ თავის უდიდეს ნაწილში დაჰკარგა სას.-სამეურნეო ტერიტორიის ორგანიზაციის ხასიათი და თავისი მუშაობა შემოფარგლა მიწების გამიჯვნით. ამას რასაკვირველია, ჰქონდა თავისი მიზეზები. მიწათმოწყობის აგრიკულტურულ მნიშვნელობის გაძლიერებას წინ ელობება მრავალი დაბრკოლებანი, მაგრამ მიუხედავათ ამისა უნდა იქნას გამონახული გზები ამ დაბრკოლებათა დასაძლევად. აქ ამ საკითხში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმუმი ბოლშევიკური სიმტკიცის და გამბედაობისა, თავი უნდა დავანებოთ რუტინას და გამოვძებნოთ ახალი გზები. დღევანდელმა თათბირმა ამ საკითხის გადაჭრაში უნდა შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი.

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ. თესვის კამპანია უკვე მტკიცედ შემოვიდა იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელთაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მეურნეობის დარგში. მან დაიჭირა ამ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი. თესვის კამპანიის ჩატარება არის მთავარი და ორგანიული ნაწილი ს.-სოფლო-სამეურნეო დარგში მოქმედ ორგანიზაციების მუშაობისა; ის უშუალოდ გამომდინარეობს სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესის თავისებურებიდან. თესვა არის ის კრიტიკული პერიოდი სასოფლო მეურნეობის საწარმოო პროცესისა, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს წარმოების საბოლოო ეფექტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ცხადია, ასეთ პირობებში სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, რომელთაც დავალებული აქვთ ზეგავლენის მოხდენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, სწორედ ამ მომენტს უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, მოახდინონ კონცენტრაცია თავის ძალებისა და საშუალებათა თესვის კამპანიის ჯეროვანად ჩასატარებლად. გაზაფხულის თესვის კამპანიას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჩვენ წელს უნდა მივაღწიოთ ნათესების ფართობის გადიდებას 8—10 პროცენტით და მოსავლიანობის აწევას 1 ნახევ—2 პროცენტით. ეს მეტად საპასუხისმგებლო დავალებაა, რომლის შესრულება უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად კარგად იქნება ჩატარებული თესვის კამპანია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსავლიანობის აწევის პრობლემა. სრ. საკავშირო ცაკმა თავის დადგენილებით ეს საკითხი გახადა სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის ძირითად საკითხად საერთოდ მთელს კავშირში. მით უფრო მნიშვნელოვანია იგი საქართველოში, სადაც სოფლის მეურნეობის ექსტენსიური, რიცხვობრივი განვითარების შესაძლებლობა ვიწროდ არის შემოფარგლული და ამ პირობებში მთავარი გზი განვითარებისა მიმართული უნდა იქნეს მოსავლიანობის და მესაქონლეობის ნაყოფიერების აწევისაკენ სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის რაციონალიზაციის და ინტენსიფიკაციის გზით.

სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ წინა თესვის კამპანიების ჩატარება არ იდგა საჭირო სიმაღლეზე. ყველგან არ ექცეოდა ამ საქმეს სათანადო ყურადღება, ზოგან პირდაპირ ბიუროკრატიულ და კანცელარიულ მიდგომასაც კი ჰქონდა ადგილი. მომავალ გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს ყველა ეს დეფექტები აცდენილი უნდა იქნენ. ეს მუშაობა ჩვენში უკვე მესამედ ტარდება და წარსული მუშაობის გამოცდილება საკმაო უნდა იქნეს მომავალში შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მთავარი წინასწარი პირობა თესვის კამპანიის ჯეროვანად ჩატარებისათვის არის კონკრეტ. პრაქტიკულ ხასიათის ზომების გამომუშავება და მათი ადგილობრივ გატარების დროს ინიციატივის და აქტივობის მაქსიმუმის გამოჩენა. დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი მთელ ამ მუშაობაში ცენტრზე და მის შესაძლებლობაზე დაყრდნობა. ცხადია სათანადო ცენტრალური ორგანოები მიიღებენ ზომებს, რათა ეს კამპანია იქნას უზრუნველყოფილი მატერიალური საშუალებებით, მაგრამ ამ საშუალებათა 100 პროცენტით გამოყენება, მაქსიმალური ეფექტის მიღების უზრუნველყოფა დამოკიდებულია პირველ ყოვლისა ადგილობრივ მომუშავე ძალებისაგან. დღევანდელმა თათბირმა უნდა გამონახოს მტკიცე საშუალებანი ამის მისაღწევად. გაზაფხულის თესვის კამპანიამ სავსებით უნდა გაამართლოს იმაზე დამყარებული იმედები, ის უნდა შეიქნეს პირველი მნიშვნელოვანი რეალური ნაბიჯი საბჭოთა კავშირის უზენაეს ორგანოს— საკავშირო ცაკის — დადგენილების განხორციელების საქმეში მოსავლიანობის გადიდების შესახებ.

ს. ჯუღელი.

ლიტვის მემორანდუმმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პოლონეთში

ბალტიის სახელმწიფოები საბჭ. წინადადებას განიხილავენ საგანგებო კონფერენციაზე ჰელსინგფორსში

პოლონეთი და საბჭოთა წინადადება

პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა ლიტვის მემორანდუმით.

ვარშავა, 25 იანვარი. ვარშავის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ლიტვის მთავრობის მემორანდუმი. ეს მემორანდუმი გადაეცა იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომლებთანაც ლიტვას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს.

ოფიციოზმა „ეპოკა"-მ მემორანდუმის შინაარსი შემდეგი სათაურებით გამოაქვეყნა: „უცნაური მემორანდუმი", „რატომ ერევა ლიტვა პოლონეთ-საბჭოთა დიპლომატიურ მოლაპარაკებაში".

„პშეგლონდ ვეჩორნი"-ში გამოქვეყნებულმა ცნობამ ლონდონიდან—„ვოლდემარასის აშკარა გამოსვლა საბჭოთა თეზისების დამცველის როლში"—ლონდონის პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია განიხილავს საბჭოთა წინადადებას

ვარშავა, 25 იანვარი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოს „მესსაჟერ პოლონე"-ს ჰელსინგფორსიდან ატყობინებენ: ჰელსინგფორსში მალე გაიმართება ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს ამ სახელმწიფოების დამოკიდებულება საბჭოთა წინადადებისადმი გაზეთის აზრით, „ამ კონფერენციაზე თვალსაჩინოთ იქნება დამოკიდებული საბჭოთა კავშირის წინადადების მნიშვნელობა და რეალიზაცია". (ადს).

რუმინეთს სურს ნაძარცვი შეინარჩუნოს

რუმინეთი და საბჭოთა კავშირის წინადადება

ვენა, 25 იანვარი. „დიმინიაცა"-ს ცნობით, ამჟამად საბჭოთა ნოტის შესახებ ბუქარესტსა და ვარშავას შორის აზრთა გაცვლა - გამოცვლაა. რუმინეთის მთავრობამ აცნობა პოლონეთს, რომ იგი მზადაა მოაწეროს ხელი ლიტვინოვის ოქმს, პოლონეთთან ერთად რუმინეთი თანახმაა შეუერთდეს ოქმს მას შემდეგ, როცა მას ხელს მოაწერს პოლონეთი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი მოახერხებს ოქმის ტექსტში რუმინეთისათვის სასურველი ცვლილებების შეტანას. გაზეთი სწერს: თუ რუმინეთი ოქმს საჭირო შენიშვნებს არ გაუკეთებს, ეს უფლებას მისცემს საბჭოთა კავშირს შემდეგში ძალით ჩაიგდოს ხელში ბესარაბია და ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირს ბრალსაც ვერ დავდებთ, რომ მან შეტევითი ომი დაიწყოო.

„გარდა ამისა, — განაგრძობს გაზეთი, — რუმინეთი ველარ შეასრულებს, მშვიდობიანობის დამცველის როლს აღმოსავლეთ ევროპაში":

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუმინეთის შენიშვნები სავსებით მოწონებულ იქნა დიდი სახელმწიფოებისა და პოლონეთის მიერ. (ადს)

კრედიტები საბჭოთა კავშირს

ოსლო, 25 იანვარი. ნორვეგიის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ მთავრობა კისრულობს გარანტიას იმ კრედიტისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირს უნდა მიეცეს ნორვეგიის საქონლის სასყიდლად 15 მილიონი კრონის რაოდენობით. (ადს)

ავღანისტანის ამბების გარშემო

ინდოეთის მუსლიმანები იცავენ ამანულა-ხანს

ლონდონი, 25 იანვარი. „დეილი ტელეგრაფი"-ს ბომბეიელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინდოეთის სხვადასხვა რაიონებში შესდგა მუსლიმანების მიტინგი, რომლებიც ინგლისისაგან მოითხოვდენ ავღანისტანის ამბებისადმი ნეიტრალიტეტის დაცვას. განსაკუთრებული ენტუზიაზმით ჩატარდა ერთი მიტინგი ბომბეიში. ხალიფატების კომიტეტის მდივანმა მიტინგზე განაცხადა, რომ მას წინადადება მისცეს აიღოს ნებართვა მუსლიმანების ქაბულში გასამგზავრებლათ იქ მომხდარ ამბებთან გასაცნობათ. მიტინგმა მიიღო ფადიშახ ამანულასთან სოლიდარობის რეზოლუცია, რომლითაც ინდოეთის მუსლიმანების სახელით უცხადებს მას ნდობას (ადს).

ავღანისტანის დიპლომატიური წარმომადგენლები არ ცნობენ ბაჩე-საკაოს

ბერლინი, 25 იანვარი. მიღებული ცნობების თანახმად, ავღანისტანის საზღვარგარეთულმა დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა აცნობეს ხაბიბულას (ბაჩე_საკაო), რომ ისინი უარს ყოფენ მის მიერ შექმნილ მთავრობასთან თანამშრომლობაზე და რჩებიან ფადიშახ ამანულა ხანის ერთგულ მომხრეებათ (ადს).

ნორვეგია-საბჭოთა კავშ. მემაღაროეთა შეთანხმება

სტოკჰოლმი, 25 იანვარი. ოსლოში დამთავრდა ნორვეგიისა და საბჭოთა მემაღაროების კავშირების წარმომადგენელთა მოლაპარაკება. ნორვეგიის მემაღაროეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ხელშეკრულების პროექტი. მომხრე იყო 7, წინააღმდეგი—6. პროექტი კენჭის საყრელად წარედგინება კავშირის წევრებს . (ადს).

იაპონია-ჩინეთის საბაჟო შეთანხმების პროექტი

ტოკიო, 25 იანვარი. საიდუმლო საბჭოს ქვე-კომისიამ საბოლოოდ დაამტკიცა იაპონია-ჩინეთის საბაჟო შეთანხმების პროექტი.

პროექტის განხილვის დროს საიდუმლო საბჭოს წევრებს უმთავრესად აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, ნიშნავს თუ არა შეთანხმება ნანკინის მთავრობის ცნობას. ნანკინის მთავრობას იაპონია ფორმალურად იცნობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა სავსებით მოწესრიგდება ყველა ის საკითხი, რომელიც შეეხება იაპონია-ჩინეთის ურთიერთობას და რომელიც დღემდი არ არის გადაწყვეტილი. სხვათა შორის ნანკინის მთავრობამ თავის მხრივ უნდა იცნოს იაპონიის მთავრობის განსაკუთრებული ინტერესები მანჯურიაში. (ადს).

ამხ. რაკოშის ჯანმრთელობას საფრთხე მოელის

ვენა, 25 იანვარი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ბუდაპეშტის საპატიმროს ადმინისტრაცია, მიუხედავად თავის წინანდელი დაპირებებისა, ანხორციელებს დისციპლინარულ ზომებს. რაკოში და მისი ამხანაგები ისევ დისციპლინარულ კამერებში იმყოფებიან. რაკოშის ჯანმრთელობა საშიშ მდგომარეობაშია. (ადს)

პროფკავშირების დევნა ხარბინში

ხარბინი, 25 იანვარი. 25 იანვარს პოლიციის რაზმებმა დაიჭირეს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მდებარე რკინის გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტის, საუბნო კომიტეტის და მედსანშრომის მუშაკთა კავშირების სადგომები. პოლიციელებს შორის იყვნენ თეთრგვარდიელები, რომლებიც ჩინეთის პოლიციაში მსახურებენ. საგზაო კომიტეტის სადგომში გაჩხრიკეს ის პირნი, რომელნიც სადგომის ჩხრეკის დროს იქ მოჰყვნენ. იქიდან წაიღეს საქმის ქაღალდები, აგრეთვე კანცელარიის ერთი მოსამსახურის კერძო ხასიათის წერილები. ოქმებში აღნიშნულია, რომ „ჩხრეკის დროს საეჭვო არაფერი აღმოჩნდაო". ჩხრეკის შემდეგ პოლიციამ დაიბარა და დააპატიმრა საგზაო კომიტეტის, საუბნო კომიტეტის და მედსანშრომის კავშირის თავმჯდომარენი. რამდენიმე ხნის შემდეგ დაპატიმრებულები თავმდებობით გაანთავისუფლეს. ჩხრეკასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პოლიციაში დაბარებულ იქნენ პრესის წარმომადგენლები. ახსნა-განმარტებას იძლეოდა პოლიციის თანამშრომელი ტროიცკი, რომელიც [illegible] ელთა გაზეთ „რუსკოე სლოვო"-ში. მუშაობა სამივე ორგანიზაციაში არ შეწყვეტილა.

უმუშევართა დემონსტრაცია უნგრეთში

ვენა, 25 იანვარი. ბუდაპეშტიდან გადმოცემული ცნობის მიხედვით, ბუდაპეშტის გარეუბნებიდან ქალაქის ცენტრალური ნაწილისაკენ გაემართა რამდენიმე ასი უმუშევარი. უმუშევარნი იძახდნენ: „მოგვეცით სამუშაო და პური! ძირს ბეთლენის დიქტატურა და ფაშიზმი!"

ასზე მეტმა უმუშევარმა მოახერხა პარლამენტთან მიახლოვება, მაგრამ იქ ისინი პოლიციამ დაჰფანტა. შემდეგ დემონსტრანტები კვლავ შეუერთდნენ 800-მდე ახლადმოსულ უმუშევარს. პოლიცია ისევ დაესხა თავს დემონსტრანტებს. დააპატიმრეს 40 უმუშევარი. მთავრობის პრესა, როგორც ეტყობა, პოლიციის მითითებით, ამტკიცებს, ვითომ დემონსტრაცია მოწყობილი იყო არა-ლეგალური კომუნისტური ორგანიზაციის მიერ. გაჩხრიკეს რამდენიმე დაპატიმრებული დემონსტრანტი. მათ, როგორც მთავრობის პრესა ამტკიცებს, ვითომ არალეგალური ფურცლები აღმოაჩნდათ (ადს).

ჩან-სუე-ლიანი გომინდანის დროშის ქვეშ

ხარბინი, 25 იანვარი. ჩან სიუელიანმა, ნანკინიდან მიღებული დეპეშის თანახმად, განკარგულება გასცა მუკდენის პროვინციის საპატიმროებიდან გაანთავისუფლონ ყველა გომინდანელი — პოლიტიკური პატიმარი.

იმპერიალისტების „თავაზიანობა"

ვარშავა, 25 იანვარი. ვარშავაში მოვიდა რუმინეთის გენერალური შტაბის 4 უმაღლესი მოხელე, როგორც ოფიციალურად იუწყებიან, რუმინელი ოფიცრების მოსვლას მხოლოდ ზრდილობით გამოწვეული სტუმრობის ხასიათი აქვს.

პურის დამზადების გეგმის გაფართოება

მოსკოვი, 26 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის გეგმა, რომლის თანახმადაც პურის დამზადება საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში გადიდებულ უნდა იქნას 620.000 ტონით. პურის დამზადების გასაძლიერებლად საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ზოგიერთი ცვლილების შეტანა გლეხობისათვის დეფიციტიანი სამრეწველო საქონლის მიწოდების სისტემაში. დეფიციტიანი სამრეწველო საქონლის იმ რაოდენობიდან, რომელსაც კოოპერაცია იღებს სოფლის მოსახლეობისათვის მისაწოდებლად, გამოყოფილი იქნება ფონდი, საიდანაც საქონელი მიეცემა ღარიბებს, პაის პატრონებს და გლეხებს, რომელთაც ადრე მიჰყიდეს პური სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. დეფიციტიანი სამრეწველო საქონლის მთელი მასა, ამ ფონდის გარდა, უნდა მიეცეს იმ გლეხებს, რომლებიც პურს მიჰყიდიან სახელმწიფო და კოოპერატიულ დამამზადებლებს. ამავე დროს ჩატარებულ უნდა იქნას ფართო კამპანია იმისათვის, რომ გლეხებმა თავიანთი ანაბარები შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და შემნახველი სალაროების სისტემის ორგანოებში.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაევალა აგრეთვე—სასწრაფოდ გადასწყვიტოს სოფლად შესატანი საქონლის ასორტიმენტის გაფართოვების საკითხი და ამ ასორტიმენტში შეიტანოს აღჭურვილი, საკერავი მანქანები, რადიო-დადგმულობანი და სხვ. საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ"-ს წინადადება მიეცა სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის დააწესოს პრემიები პურის დამზადების გეგმების თავის დროზე ან ვადამდე შესრულებისათვის. „ცენტროსოიუზ"-ი უნდა ეცადოს აგრეთვე, რომ მიღებულ იქნას გლეხთა მოსახლეობის დაკვეთები სამრეწველო საქონელზე და საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონების სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივებში შემოღებულ იქნას დიფერენციალური პაი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს და სასოფლო-სამეურნეო ბანკს—განახორციელონ ღონისძიებანი გლეხთა მოსახლეობის მიზნობრივი ფულადი ანაბარების მისაზიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოთა მშენებლობაში (ადს).

„ცენტროსოიუზი" პურის დამზადების ტემპის გაძლიერების შესახებ

მოსკოვი, 26 იანვარი. პურის დამზადების ტემპის გასაძლიერებლად საბჭოთა კავშირის „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას—მიიღონ სხვადასხვა ზომები, მათ შორის—გააფართოვონ იმ საქონლის ასორტიმენტი, რომელსაც აწვდიან პურის დამამზადებელ რაიონებს, გაადიდონ სოფლის მომარაგება ავეჯით, საწოლებით, საკერავი მანქანებით; დააწესონ პრემია იმ სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის, რომელნიც დროზე და სათანადოდ შეასრულებენ დამზადების გეგმას. გამოჰყონ დეფიციტიანი საქონლის საერთო რაოდენობიდან ხუთპროცენტიანი ფონდი იმ მიზნით, რომ იგი პირველ რიგში მოხმარდეს პურის დამამზადებელი აქტივის საჭიროებას. შეაგროვონ მეორე კვარტალში პაის გადამხდელებისაგან საპაიო გადასახადი წლიური რაოდენობის 40 პროცენტზე არა ნაკლები, ასე რომ წლის პირველ ნახევარში შეგროვებული საპაიო კაპიტალი წლიური გეგმის 65 პროცენტზე ნაკლები არ იყოს; დაუყოვნებლივ შემოიღონ დიფერენციული პაი ვოლგის რაიონის, თათართა რესპუბლიკის, ბაშკირთა რესპუბლიკის, ურალის, ციმბირისა და კაზაკსტანის სოფლად ქსელში. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებათა გათამაშება

ლენინგრადი, 26 იანვარი, დღეს, 26 იანვარს ლენინგრადში გაიხსნა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი.

26 იანვრის საღამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა 2.750 ას-ას მანეთიანი მოგება, სულ 275.000 მანეთის რაოდენობით. მოგება ხვდა ყველა 11 თანრიგის (4 პროცენტიანი და 7 უპროცენტო სესხის) შემდეგი ნომრის სერიებს (თვითეულ სერიაში 25 ობლიგაცია): 20168, 14061, 63359, 45792, 85803, 64151 60388, 26503; 72589 და 89403. (ადს).

ა ხ ა ლ ი მ ი ღ წ ე ვ ა

გუშინ გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენმა და ლიტვინოვმა ხელი მოაწერეს კონვენციას გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სადავო საკითხების შეთანხმებით განხილვის შესახებ. ეს კონვენცია უსათუოდ წარმოადგენს დიდ ნაბიჯს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

უკანასკნელ დროს ეს ურთიერთობა, როგორც ვიცით, აღინიშნა ორი სერიოზული მიღწევით, რომელთა მნიშვნელობა ორივე ქვეყნის ურთიერთობის საქმეში არ შეიძლება სათანადოთ არ იქნას შეფასებული. ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთის მხრივ იმ შეთანხმებაზე სამეურნეო საკითხების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 1928 წლის 21 დეკემბერს და რომელიც უკვე ძალაში შევიდა, ხოლო მეორეს მხრივ—გერმანული ტეხნიკის კვირეულზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. ორივე ეს ფაქტი არა მარტო იმის მაჩვენებელია, თუ რა დონეზეა ამჟამად გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, არამედ აღნიშნული ფაქტები წარმოადგენენ ბაზისს ამ ურთიერთობის სისტემატიურად და ნაყოფიერად განვითარებისათვისაც.

ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებრივ ურთიერთობებში, რომელნიც ორივე ქვეყანას აკავშირებენ, გუშინ ხელმოწერილი კონვენცია წარმოადგენს ურთიერთ ვალდებულებათა მთელი სისტემის ლოღიკურ დაგვირგვინებას. ეს სისტემა იწყება 1922 წლის რაპალოს ხელშეკრულებით, შეიცავს 1925 წ. სავაჭრო ხელშეკრულებას, 1926 წლის თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებას, 1928 წლის სამეურნეო შეთანხმებას და ამჟამად მთავრდება კონვენციით სადავო საკითხების შეთანხმებით განხილვის შესახებ.

მაშინ, როდესაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულება და შეთანხმება წარმოადგენს მატერიალურ-უფლებრივი ნორმების ჯამს, კონვენცია სადავო საკითხების შეთანხმებით განხილვის შესახებ წარმოადგენს საპროცესო ხასიათის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია იმ კონფლიქტების მოგვარებისა და გადაჭრის ფორმები, რომლებიც შეიძლება აღიძრან ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ურთიერთობაში.

მარტო ეს გარემოება საკმაოდ მოწმობს იმას, რომ ხელმოწერილი კონვენცია უაღრესად სერიოზულ და მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. ეს დოკუმენტი უკვე გათვალისწინებულია 1926 წლის პოლიტიკურ ხელშეკრულებაში. როდესაც ამ ხელშეკრულებაში ორივე მხარემ უარჰყო სამხედრო მოქმედების გამოყენება ერთმანეთის წინააღმდეგ, და, მაშასადამე, საჭიროდ სცნო ამ საკითხების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრა, ბუნებრივია რომ მათ უნდა შეექმნათ რაიმე ფორმა ამ კონფლიქტების გადასაჭრელად. გუშინ ხელმოწერილი კონვენცია ჰქმნის ამ ფორმას.

კონვენცია ითვალისწინებს განსაკუთრებული შემათანხმებელი კომისიის დაარსებას, რომელშიაც თვითეული მხარე ნიშნავს ორ წარმომადგენელს. ამრიგად, ეს კომისია იქმნება სახტიკ პარიტეტულ საფუძველზე. კომისიას არავითარი თავმჯდომარე არა ჰყავს და ყველა სადავო საკითხის გადაჭრის მეთოდს წარმოადგენს ნებაყოფლობითი შეთანხმების პრინციპი.

შემათანხმებელი კომისია ჩვეულებრივ სესიაზე შეიკრიბება წელიწადში ერთხელ, მორიგეობით ბერლინსა და მოსკოვში. მაგრამ, თუ რომელიმე მხარემ გამოსთქვა სურვილი, რომ მოწვეულ იქნას არაჩვეულებრივი სესია, ეს უკანასკნელი შეიძლება მოწვეულ იქნას იმ ადგილას და იმ ვადაში, როგორც ორივე მხარე შეთანხმდება.

ასეთია იმ კონვენციის შინაარსი, რომელსაც გუშინ მოაწერეს ხელი. მაგრამ ეს შინაარსი ბევრად უფრო ფართოა იმ მცირერიცხოვან პარაგრაფებზე, რომლებშიაც გამოხატულია იგი.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონებია ღვარძლიანი, უაღრესად მტრული განცხადებები, თითქოს საბჭოთა კავშირი უარჰყოფს იმ კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრას, რომლებიც შეიძლება აღიძრას მას და ყოველ სხვა სახელმწიფოს შორის. ამ განცხადებებს დიდი ხალისით იმეორებს ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი უარჰყოფს არბიტრაჟის პრინციპს მას და ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის,—უარჰყოფს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეიძლება იყოს ნამდვილად ნეიტრალური მიუდგომელი მოსამართლე საბჭოთა სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის არსებულ დავაში,—ეს ფაქტი ზემოთ აღნიშნულ პრესას, აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს მეტად ადვილად გამოჰყოფს ისე, თითქოს საბჭოთა კავშირი უარჰყოფს ყოველგვარ საშუალებას კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის. როგორც ვიცით, სწორედ ამაზეა აგებული ის საბოტაჟის სისტემა, რომლითაც ხვდებიან საბჭოთა კავშირის წინადადებას პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები. კონვენცია სადავო საკითხების შეთანხმებით განხილვის შესახებ, რომელიც დაიდო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, ყველა ამ უაზრო და ღვარძლიანი განცხადების საუკეთესო და დამაჯერებელი პასუხია.

ეს კონვენცია ამტკიცებს, რომ თუ მხარეებს შორის ადგილი აქვს კეთილ სურვილებსა და ურთიერთ გაგებას, შეიძლება დაწესებულ იქნას შემარიგებელ-შემათანხმებელი პროცედურა, რომელიც საკმაო გარანტიებს იძლევა აღძრული კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრისათვის. ამ კონფლიქტების გადაჭრის ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია გუშინ ხელმოწერილ კონვენციაში, რაიმე ახალსა და უნახავ რამეს არ წარმოადგენს. ასეთი კონვენციები არსებობენ და მათ უკვე გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, საკმაოა, მაგალითად, აღვნიშნოთ, რომ ასეთი კონვენცია მრავალი წლის განმავლობაში არსებობს კანადასა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ეს კონვენცია იმავე პრინციპებზეა აგებული, რა პრინციპებიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ კონვენციას.

ასეთი შეთანხმების ძირითად პირობას, თავის თავად ცხადია, წარმოადგენს არა მარტო მრავალფეროვანი აქტუალური ურთიერთობა ორივე მხარეს შორის, არამედ ურთიერთი ნდობაც, რომელიც მათ შორის არსებობს. მხოლოდ ურთიერთისადმი ნდობა ჰქმნის იმ აუცილებელ ატმოსფერას, რომელიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, ხელს შეუწყობს იმას, რომ შემათანხმებელი კომისიის მუშაობა იყოს ნაყოფიერი და შეეფერებოდეს ორივე მხარის ინტერესებს.

იმ დადებითი როლის გარდა, რომელსაც თამაშებს გუშინ ხელმოწერილი კონვენცია გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, იგი წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის საერთო სამშვიდობო პოლიტიკის გზებზე, უაღრესად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა დიპლომატიის მშვიდობიან ნაბიჯებს სისტემატიურად უქმნიან დაბრკოლებებს ისინი, ვის მიმართაც გადადგმულია ეს ნაბიჯები, სწორედ ამ მომენტში ორი სახელმწიფო ხელს აწერს ახალ სამშვიდობო აქტს. ეს ორი სახელმწიფო მთელი რიგი წლების განმავლობაში თანამშრომლობს ერთმანეთთან არა მარტო საკუთარი ურთიერთობის განმტკიცებისათვის, არამედ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის დამშვიდებისათვისაც. ნაყოფიერი მუშაობა ამ დარგში წარმოადგენს იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს, თუ რა წარმატებით შეიძლება განვითარდეს სამშვიდობო პოლიტიკა, თუ კი არსებობს გულწრფელი სურვილი ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ამ კონვენციას ფართო მასები ჩასთვლიან საბჭოთა კავშირის ღრმა სამშვიდობო პოლიტიკის ახალ დამამტკიცებელ საბუთად და რომ ეს კონვენცია ხელს შეუწყობს იმათი ნამდვილი ზრახვების მორიგ გამოაშკარავებას, ვინც დაჟინებით უწევს წინააღმდეგობას საბჭოთა დიპლომატიის ასეთ მისწრაფებებს.

„იზვესტია", 26 იანვარი.

მზადება გაზაფხულის თესვისათვის

1000 ტრიერი—10.000-ის მაგიერ —ამხ. რუძუტაკი მოითხოვს ზომების მიღებას ტრიერების დამზადების გეგმის შესასრულებლად

მოსკოვი, 26 იანვარი. საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებული გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად ამხ. რუძუტაკი თავის წერილში საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რეხიმოვიჩის სახელზე აღნიშნავს, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1928 წლის ნოემბერში საჭიროდ სცნო ტრიერების დამზადება „მელსტროი"-ს ქარხანაში 1928-29 წლის განმავლობაში გადიდებულ იქნას 10.000 ცალამდე, სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრინციპიალურად წინააღმდეგი არ იყო ამისა. მან მოითხოვა მხოლოდ საწარმოო პროგრამის შემცირება 7.600 ცალამდე წელიწადში. როგორც ეხლა გამოირკვა, ვორონეჟის ქარხანა მინიმალურ რაოდენობის 4—5 ათასი ტრიერის ნაცვლად, რომელიც აუცილებლად უნდა დამზადებულიყო გაზაფხულის კამპანიისათვის, დაამზადებს მხოლოდ 1.000 ცალს. ამის მიზეზების გამორკვევის დროს აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭომ ვორონეჟის ქარხნის ლიმიტის ფონდები დაამტკიცა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების დღიდან. ამასთან ლიმიტებს ქარხანას არანორმალურად აწოდებენ.

რუძუტაკი წინადადებას იძლევა—გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული ტრიერების მაქსიმალური რაოდენობით დასამზადებლად მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის.

ამავე დროს ამხ. რუძუტაკმა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრს ამხ. შლეიფერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მიაქცევს მის ყურადღებას იმაზე, რომ ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ საზღვარ-გარედ შეძენილი ტრიერების მიტანა ადგილზე ძალიან გვიანდება. ამხ. რუძუტაკი წინადადებას აძლევს ამხ. შლეიფერს—მიიღოს ზომები საზღვარ-გარეთ შეძენილი ტრიერების თავის დროზე მისატანად და მისცეს ახსნა-განმარტება დაბრკოლების მიზეზების შესახებ

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

ნიკიტინისა და კირეევის საქმის შესახებ

სარატოვი, 26 იანვარი. დამთავრდა სარატოვის მანუფაქტურის ოსტატის ნიკიტინსა და შეგირდის კირეევის გასამართლება. ისინი აიძულებდნენ მუშა ქალებს—იცხოვრეთ მათთან, სამაგიეროდ პირდებოდნენ კარგ ბინებსა და საუკეთესო ხარისხის ნართებს. ნიკიტინს გადაუწყვიტეს 5 წლით დაპატიმრება, ხოლო კირეევს—3 წლით. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უთანხმოება ერთა ლიგის ოპიუმის კომისიის სხდომაზე

ბერლინი, 26 იანვარი. ერთა ლიგის ოპიუმის კომისიის სხდომაზე ჩინეთის, იაპონიის და ინგლისის წარმომადგენელთა შორის მოხდა მძაფრი შეტაკება. ჩინეთის დელეგატმა ვან-ცზინ-ჩუნმა განაცხადა, რომ ჩინეთის ნაციონალურმა კრებამ (პარლამენტმა) ხელისუფლების მიღებისთანავე გამოსცა კანონი ოპიუმით ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ჩინეთს არ შეუძლია ცხოვრებაში გაატაროს ეს დადგენილება თავის საკუთარ ტერიტორიაზე, იმისათვის, რომ ჩინეთმა ოპიუმის ხმარებასთან ბრძოლაში მიაღწიოს დადებით შედეგებს, უპირველესად ყოვლისა აუცილებლად საჭიროა გაუქმებული იქნეს საზღვარგარეთელი კონცესიები, რომლებიც ფარულად აწარმოებენ ოპიუმით ვაჭრობას. ინგლისის წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთის წარმომადგენელი ოპიუმის კომისიაში აყენებს პოლიტიკურ საკითხებს და მოითხოვა სხდომის ოქმიდან ამოღებული იქნეს ვან ცზინ-ჩუნის სიტყვის პოლიტიკური ნაწილი. იაპონიის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ამ მოთხოვნილებას. იტალიის წარმომადგენელმა პირიქით გაილაშქრა ინგლისელების და იაპონელების მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. კომისიამ ყველა ხმის უმრავლესობით, ჩინეთის წარმომადგენლის ხმის წინააღმდეგ, მიიღო ინგლისის წარმომადგენლის წინადადება. გერმანიის წარმომადგენელმა კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა. (ადს).

ლოკაუტი განახორციელეს

ბერლინი, 26 იანვარი. საქსონია-ტიუ[illegible]ს საფეიქრო მრეწველობის მეწარმეებმა განახორციელეს ლოკაუტი მთელ საფეიქრო წარმოებებში. ლოკაუტი შეეხო წარმოებებში დაქირავებულ 27.000 მუშას და 8.000 სახლში მომუშავეს. გერმანიის კომპარტია მოუწოდებს ორივე რაიონის ფეიქრებს უზრუნველჰყონ ბრძოლის გამარჯვებით დასრულება, საგაფიცვო ფრონტის რევოლიუციონური ხელმძღვანელობის გზით. (ადს).

ახალი პრეზიდენტის არჩევნები მექსიკაში

მექსიკო, 26 იანვარი. დანიშნულია ახალი პრეზიდენტის არჩევნები რომლის პოსტიც თავისუფალია ობრეგონის მოკვლის შემდეგ. (ახლანდელი პრეზიდენტი სილი ამ მოვალეობას ასრულებს დროებით). მექსიკის მუშათა და გლეხთა ბლოკმა თავის კანდიდატად არჩევნებში წამოაყენა რევოლიუციონური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე ტრიანი. მუშათა და გლეხთა ბლოკმა არჩევნებისთვის წამოაყენა მექსიკაში მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობის შექმნის პროგრამა. მუშათა და გლეხთა ბლოკში ამჟამად შედიან მთელი რიგი ორგანიზაციები და პარტიები და მექსიკის კომუნისტური პარტია. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიამ კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინა

პრაღა, 25 იანვარი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კელოგის პაქტის რატიფიკაციის აქტს. (ადს).

ბრძოლის ახალი საშუალება გაფიცვის წინააღმდეგ

პარიზი, 26 იანვარი. ალიუენის საფეიქრო მრეწველებმა შემოიღეს ახალი ზომა გაფიცვების წინააღმდეგ. რომელიც 1928 წლის მარტში დაიწყო ალიუენის რამოდენიმე წარმოებაში, ხოლო იმავე წლის სექტემბერში მოიცვა რაიონის ყველა საფეიქრო წარმოებებს. მრეწველებმა ყოველ გაფიცულ მუშას დაუგზავნეს ფურცლები, რომლითაც წინადადებას აძლევენ განაახლონ მუშაობა არა უგვიანეს 28 იანვრისა წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან სამუშაოდან დათხოვნით. საგაფიცვო კომიტეტმა, რომლის სათავეშიაც სდგანან უნიტარულ პროფკავშირის მოღვაწენი, მიმართა მუშებს მოწოდებით—განაგრძონ გაფიცვა სრულ გამარჯვებამდე. (ადს).

ლებეს განკარგულება

ბერლინი, 26 იანვარი. 24 იანვარს რეიხსტაგში მომხდარ უმუშევართა დემონსტრაციასთან დაკავშირებით, რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატებს, რეიხსტაგის თავმჯდომარის სოციალ-დემოკრატ ლებეს განკარგულებით, ჩამოართვეს ყველა დეპუტატისთვის მინიჭებული რეიხსტაგში სტუმრების მოწვევის და რეიხსტაგის ტრიბუნებზე ასასვლელ ბილეთების დარიგების უფლება რეიხსტაგის კომფრაქცია მოითხოვს უხუცესთა საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევას ლებეს განკარგულების განსახილველათ. (ადს).

მნიშვნელოვანი ნაბიჯი

ბერლინი 26 იანვარი. გერმანიის პრესაში დაწვრილებით არის მოყვანილი ცნობები 25 იანვარს მოსკოვში შემდგარ გერმანია-საბჭოთა კავშირის კონვენციაზე ხელის მოწერის შესახებ.

„ფოსიშე ცეიტუნგი" კომენტარიებს უკეთებს ამ ცნობას და აცხადებს, რომ კონვენცია შეთანხმებითი გარჩევის შესახებ გერმანია საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას პერიოდში არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ სადაო მომენტების დამშვიდებით გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რომლებიც გამომდინარეობენ ცალკე საკითხების სხვადასხვანაირი ახსნა-განმარტებიდან. (ადს).

კონფერენცია მრეწველობაში „მშვიდობიანობის" წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 26 იანვარი. გაიხსნა პროფმოძრაობის გაერთიანებისთვის მებრძოლ კომიტეტის მიერ მოწვეული კონფერენცია „მრეწველობაში მშვიდობიანობის" კონფერენციაზე მონაწილეობს 270 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ 480 პროფესიონალურ ორგანიზაციას 95.000 წევრით. კონფერენცია აღფრთოვანებით შეხვდა პროფინტერნისაგან მიღებულ მისალმებას. (ადს).

სასიხარულო დღესასწაული

ბერლინი 26 იანვარი. „კელნიშე ცეიტუნგი"-ს მოსკოველი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს გერმანიის ტეხნიკის კვირეულს და უწოდებს მას „სასიხარულო დღესასწაულს, რომლის მსგავსი შეიძლება არ ყოფილა გერმანია-საბჭოთა კავშირის მთელი ურთიერთობის განმავლობაში". (ადს).

ხანძარი ბიბი-ეიბათის საწარმოებში

ბაქო, 26 იანვარი. დღეს, საღამოს 8 საათზე ბიბი-ეიბათის რაიონში (პორტში) ცეცხლი გაუჩნდა მე-305 ჭაბურღილს, რომელშიაც ამოხეთქილი იყო ნავთი. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა მეზობლად მდებარე ნავთის კოშკებზე. 9 საათზე, მიუხედავად მიღებული ზომებისა ცეცხლი დაემუქრა მთელ სარეწაოს, ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობას იღებს ქალაქის და რაიონების ყველა ნაწილები. (ადს).

აზერბეიჯანის ჰიდრო ცენტრალი

ბაქო, 26 იანვარი. ელექტრონის მთავარმა სამმართველომ დაადგინა საკავშირო ელექტრო მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში შეტანილი იქნეს აზერბეიჯანის 32.550 კილოვატის სიძლიერის ჰიდრო ცენტრალის აგება. ჰიდრო ცენტრალის აგება დაიწყება 1930 წელს და დამთავრდება 1933 წლის აპრილში. სადგური იაფ ელექტრო-ენერგიას მიაწოდებს მთელ დასავლეთ აზერბეიჯანს. სადგურის აგება დაჯდება დაახლოვებით 22 მილიონი მანეთი. (ადს).

ხანძარი საბავშვო სახლში

გუშინ, ღამის პირველ საათზე, ზურაბოვის ქუჩაზე, 14 ნომერში მოთავსებულ საბავშვო სახლს გაუჩნდა ხანძარი, რაც ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ ერთი საათის განმავლობაში იქნა ჩაქრობილი. დაიწვა შენობის უკანა ნაწილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

უკრაინელ მეცნიერთა კავშირი თურქ მეცნიერებთან

ხარკოვი, 26 იანვარი. თურქეთიდან დაბრუნებულმა უკრაინელ მეცნიერთა დელეგაციის თავმჯდომარემ პროფესორმა გლადსტენმა მეცნიერების მთავარ სამმართველოს პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთა მოხსენება თურქეთში მგზავრობის შესახებ. დელეგაციამ მჭიდრო კავშირი დაამყარა თურქ მეცნიერებთან და მწერლებთან. დელეგაცია თურქ მეცნიერებს და ლიტერატორებს შეუთანხმდა უკრაინელ ჟურნალებში თანამშრომლობის შესახებ. მეცნიერების მთავარმა სამმართველომ გადასწყვიტა—უკრაინელ მეცნიერებს ურჩიოს თურქული ენის შესწავლა. შესდგა კომისია უკრაინისა და თურქეთის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. კომისიას დაევალა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ უკრაინელი მეცნიერები რეგულიარულად იგზავნებოდნენ თურქულ სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობისათვის. (ადს).

მებამბეობის მთავარი კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 26 იანვარი. დაიწყო მებამბეობის მთავარი კომიტეტის გაფართოვებული პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის მებამბეობის ორგანიზაციების წარმომადგენლები (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის ნამდვილი ზრახვანი

მოსკოვი, 26 იანვარი. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

პოლონეთის გარ. საქ. სამინ. ოფიციოზ „მესსაჟე პოლონე"-ში დაბეჭდილია ცნობა, გადმოცემული ჰელსინგფორსიდან (ფინეთი) იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში უნდა შესდგეს ბალტიის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენცია. ამ ცნობამ ვარშავის პოლიტიკურ წრეებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. თვით გაზეთი „მესსაჟე პოლონე" ჰელსინგფორსიდან მიღებულ დეპეშას უძღვნის მოწინავე წერილს, რომელშიაც სხვათა შორის აცხადებს: „ყველასათვის გასაგებია თუ რამდენად არის დამოკიდებული ბალტიის ქვეყნების კონფერენციაზე პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება კელოგის პაქტის ნიადაგზე".

ამნაირად, როგორც სჩანს, ბალტიის ქვეყნების კონფერენციის მოწვევა თვით პოლონეთის მთავრობისათვისაც უკვე გადაწყვეტილ საკითხს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი კვლავ ძველ პოზიციაზე სდგას საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ მან ოფიციალურად თანხმობა განაცხადა ამაზე. პოლონეთი ეძებს ახალ საბაბს და საშუალებას იმისათვის, რომ გააჭიანუროს ომის აკრძალვის ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან.

მრეწველობის მართვა-გამგეობის გამიჯვნის შესახებ

მოსკოვი, 26 იანვარი. ამ დღეებში სრულიად საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კუიბიშევმა, რომელიც შეეხო მრეწველობის მართვა-გამგეობის საკითხების მოწესრიგების აუცილებლობას. მომხსენებელმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მრეწველობის მართვა-გამგეობის საქმეში საჭიროა შეტანილ იქნას მნიშვნელოვანი კორექტივები. რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები უკვე იმდენად განმტკიცდნენ და ჩამოყალიბდნენ, როგორც ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანოები, რომ სრულიად დროულად უნდა ჩაითვალოს საკითხის დასმა მრეწველობის მართვა-გამგეობის საქმეების გამიჯვნის შესახებ. რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები უკვე დამოუკიდებლად უძღვებიან მრეწველობის იმ დარგებს, რომელნიც მათ განკარგულებაში იმყოფება.

16 მილიონი მუშათა საბინაო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 26 იანვარი. 25 იანვარს შესდგა ცენტრალურ კომუნალურ ბანკის გამგეობის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი მუშათა საბინაო მშენებლობაზე გადადებულ ასმილიონიან ფონდის განაწილების შესახებ. გამგეობის დადგენილების თანახმად აღნიშნულ ფონდიდან ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისათვის გადადებულია 16 მილიონი მანეთი. ამ თანხის უდიდესი ნაწილი—14,7 მილიონი მანეთი უნდა მოხმარდეს რესპუბლიკანურ მრეწველობათა მუშების ბინებით დაკმაყოფილების საქმეს.

„კაბუკი"-ს გმირების გასამართლება

მოსკოვი, 26 იანვარი. დასრულდა სასამართლოს ორგანოების მიერ წარმოებული კვლევა-ძიება „კაბუკი"-ს (ლოთობისა და გარყვნილების ორგანიზაცია მშენებელთა კავშირის მოსკოვის საგუბერნიო განყოფილებაში) საქმეზე. პასუხისგებაში მიცემულთ ბრალად ედებათ მფლანგველობა და საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხა მშრომელ მასების თვალში.

პროცესი დაიწყება ახლო მომავალში მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოში. მუშათა მრავალი ორგანიზაციები მოითხოვენ დამნაშავეთა მთელი სისასტიკით დასჯას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს პარტიული კონფერენცია

კამათი ბაილოვის ორგანიზაციის საქმეზე

ბაქო, 26 იანვარი. ბაქოს პარტიულ კონფერენციაზე ბაქოს კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში ბაილოვის ორგანიზაციაში მომხდარი ამბების საკითხს შეეხო 40-ზე მეტი კაცი. ორატორების დიდი უმრავლესობა აღნიშნავდა—საერთოდ ამ საკითხზე გამოსვლა არ ღირდა, რომ არ ელაპარაკნათ იმათ, ვინც ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ ილაშქრებსო.

დელეგატების საერთო აზრით, ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა.

იმ ამხანაგებიდან, რომლებიც არ ეთანხმებიან ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებას, გამოვიდნენ ამხ. ავეტისიანი, შაუმიანი, ფორონინი და არტაკი.

ამხ. არტაკის სიტყვა

ამხ. არტაკი ამბობს: „მე ბრალს მდებენ იმაში, თითქოს საეჭვოდ მიმაჩნდეს ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხაზი მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლაში და თითქოს უპრინციპო კინკლაობა დამეწყოს ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ. მე დავწერე კრიტიკული წერილი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შესახებ. ეს წერილი არავითარ საბაბს არ იძლეოდა ზემოდ აღნიშნულ ბრალდებისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს უმნიშვნელოვანესი იყო საკითხი მემარჯვენე საფრთხის შესახებ. ჩემს წერილში მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩვენ ეს საკითხი კამპანიას ვერ დავუკავშირეთ.

ჩემი წერილიდან სავსებით გარკვევით ჩანს, რომ საეჭვოდ არ მიმითვლია ბაქოს კომიტეტის პოლიტიკური ხაზი მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლაში.

მე მეუბნებიან: „შენ, ამ წერილის დამოუკიდებლადაც საერთოდ გინდოდა უპრინციპო კინკლაობა ვეწარმოებია, ჩვენ გაფრთხილებდით, მაგრამ არ იშლიდიო".

შემდეგ ამხ. არტაკი ამბობს, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა „ბაკინსკი რაბოჩი"-ს რედაქციასთან. ამ მოლაპარაკებიდან მას ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „რედაქციაც არ სთვლიდა, თითქოს ჩემს წერილში მე ბაქოს კომიტეტის პოლიტიკური ხაზი მიმაჩნდეს საეჭვოდ".

„ვინაიდან ამ საკითხში მე ბაქოს კომიტეტთან უთანხმოება არ მქონია—განაგრძობს ამხ. არტაკი—მე უნდა დავებარებინე ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმში და ეთქვათ: „რამდენადაც თითონ შენ სწორად მიგაჩნია ბაქოს კომიტეტის ხაზი, ჩვენ კი მაინც შენგან გამოთქმული აზრები სხვანაირად გვესმის, სხვანაირად დასვი საკითხიო".

მაგრამ ამხანაგები ასე არ მოიქცნენ. მათ საქმე რაიონულ აქტივებზე გადაიტანეს. სწერს საპასუხო წერილს ამხ. ეფენდიევი, სურახანის ორგანიზაციას გამოაქვს რეზოლიუცია, რომლის მთელი კილო ისეთია, რომ არაფრით ჩამოუვარდება იმ რეზოლიუციებს, რომლებიც გამოაქვთ პარტიის ხაზთან მებრძოლი ელემენტების წინააღმდეგ. ამ საკითხით დაინტერესდნენ ამხანაგები ბაილოვის ორგანიზაციიდანაც, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ საკითხი რაიკომის პრეზიდიუმში დასმულიყო. რაიონული კომიტეტის წევრები ასე სვამდნენ საკითხს: „თუ მართლაც ადგილი აქვს რამე გადახრას, რაიკომის მდივანი (არტაკი) გაძევების ღირსია. თუ სხვა რაიონული ორგანიზაციები არჩევენ ამ წერილს, რატომ ჩვენს პრეზიდიუმს არ შეუძლია მისი განხილვაო".

ამბობენ, რომ რაიონული კომიტეტის რეზოლიუცია ჩხუბის კილოზე იყო შედგენილი. ეს არ არის მართალი.

ამ რეზოლიუციაში ჩვენ ვთხოვდით ბაქოს კომიტეტს გამოესწორებია ცალკე ამხანაგების მიერ დაშვებული შეცდომები. ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა კი არავის სურდა.

მაგრამ ჩვენ გაგვიცხადეს, რომ უნდა მოგვეხსნა ეს რეზოლიუცია. ამბობენ, რომ თითქოს ჩვენ რეზოლიუციის მოხსნის საკითხში შევთანხმდით. მე ვაცხადებ: არავითარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ ამხ. მირზოიანთან კერძო საუბრის დროს, როდესაც მან განმიცხადა, რომ საჭიროა რეზოლიუციის მოხსნაო, მე ვუპასუხე—კარგი, ვიმსჯელებთ და შეიძლება მოვხსნათ-თქო. კონფერენციის წინ ბაქოს კომიტეტის პლენუმზე გადაწყდა ამ საკითხს არ შევხებოდით და მე ჩემს მოხსენებაში მას გვერდი აუხვიე, მხოლოდ აღვნიშნე, რომ ამ საკითხზე დადგენილება გამოტანილი აქვს ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმს-თქო, მაგრამ კონფერენციის დელეგატები გამოდიოდნენ და ეხებოდნენ ამ საკითხს. მიუხედავად კონფერენციის ასეთი განწყობილებისა, როგორც კი ამხ. მირზოიანმა განაცხადა, რომ იგი „ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად" ხსნის ამხ. ნიკიშინის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას, მე მთლიანად მოვხსენი პრეზიდიუმის რეზოლიუცია.

დასასრულ—ამბობს ამხ. არტაკი, მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ამხანაგები ვერ იტანენ ხელმძღვანელობის შეცდომებისა და დეფექტების კრიტიკას".

ამხ. შაუმიანი

ორატორი აცხადებს, რომ ამხ. არტაკის წერილი არ წარმოადგენდა მავნე დოკუმენტს, მას საკმაო საფუძვლები ჰქონდაო.

„არავინ, არც ამხ. არტაკი, არც სხვა ვინმე—ამბობს ამხ. შაუმიანი—არ ამბობდა, რომ თვითკრიტიკა ჩვენში საკმაოდ არ არის გაშლილი. ლაპარაკი იმაზეა რომ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობას არ უყვარს თავისი დეფექტების გულახდილი თვითკრიტიკა".

ამხ. შაუმიანი აცხადებს, რომ ახსნა-განმარტების კამპანიის დროს ამხ. არტაკის წერილს სწორად აფასებდენ და ამ საკითხის განხილვას დაუშვებელი ელფერი მიეცა. ბაილოველ ამხ-ბის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და ლაპარაკი ფრაქციულობის, ჯგუფების და სხვ. შესახებ, ამხ. შაუმიანის სიტყვით, მოკლებულია ყოველ საფუძველს.

ამხ. ავეტისიანი

ამხ. ავეტისიანმა აღნიშნა, რომ რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმი და ამხ. არტაკი არა ერთხელ აცხადებდნენ, რომ მათ სწორად მიაჩნიათ ბაქოს კომიტეტის პოლიტიკური ხაზი მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საკითხში, და თუ ბაქოს კომიტეტი ამ საკითხში მაინც ამტყუნებს არტაკს, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აწარმოოს მისი დევნა.

შემდეგ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ნიკიშინი:

ამხ. ნიკიშინის სიტყვა

თქოს ამხ. არტაკის წერილში არაფერია ისეთი, რომ ბაქოს კომიტეტის საწინააღმდეგო ბრალდებათ ჩაითვალოსო. ნამდვილად კი ეს ასე არ არის".

ამხ. ნიკიშინს მოჰყავს არტაკის წერილიდან ის ადგილი, სადაც აღნიშნულია, რომ „უჯრედთა ბიუროების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას ვიწრო-პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა", რომ „ამჟამად, როდესაც სავსებით ნათლადაა გამოსახული მემარჯვენე გადახრა, მთავარ საკითხად უნდა დასმულიყო საკითხი პარტიის სწორი პოლიტიკური ხაზის დაცვისათვის ბრძოლის შესახებ", რომ „ბაქოს კომიტეტმა და სარაიონო აქტივებმა ორგანიზაციას სრულიად ნათელი და მკაფიო ხაზი მისცეს მხოლოდ კამპანიის ბოლოს". რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბაქოს კომიტეტი თითქოს მხოლოდ მაშინ გაერკვა საქმეში, თითქოს მხოლოდ მაშინ მისცა მან ორგანიზაციას მკაფიო პოლიტიკური ხაზი, როდესაც გარეშემო უკვე ყველამ იცოდა მემარჯვენე გადახრის შესახებ.

ასეა თუ არა ეს ნამდვილად? ფაქტები სულ წინააღმდეგს გვეუბნებიან".

ამხ. ნიკიშინი აღნიშნავს, რომ საკითხი მემარჯვენე საფრთხისა და მასთან შემრიგებლობას წინააღმდეგ ჯერ კიდევ 4 ოქტომბერს იდგა აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცკას პლენუმზე, ხოლო 11 ოქტომბერს ამხ. მირზოიანმა, ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის დავალებით, უჯრედების მდივანთა კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ხსენებული საკითხის შესახებ, „ამნაირად, ეს საკითხი ჩვენი ორგანიზაციის მიერ დროზე იქნა დასმული".

„შემდეგ,—ამბობს ამხ. ნიკიშინი,—დაიბეჭდა ამხ. ეფენდიევის საპასუხო წერილი და მოხდა აქტივების კრებები საკავშირო კომ. პ. (ბ) ცკას ნოემბრის პლენუმის შედეგების დასამუშავებლად. გამოტანილ რეზოლიუციებში აქტივები, სხვათა შორის, ამხ. არტაკის წერილსაც ეხებოდნენ. აქტივები აღნიშნავდნენ, რომ მემარჯვენე საფრთხისა და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ ბაქოს კომიტეტმა თავის დროზე მისცა ორგანიზაციას გარკვეული ხაზი.

თუ ამხ. არტაკი ფიქრობდა, რომ მან თავისი წერილი სწორად დასწერა, ხოლო მის წინააღმდეგ ამხანაგები უმართებულოდ ილაშქრებენ, ის უნდა გამოცხადებულიყო ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმში და იქ დაესვა ეს საკითხი. ამხ. არტაკი ასე არ მოიქცა. მან წინდაწინ იცის, რომ ბაქოს კომიტეტს ეს საკითხი არ განუხილავს და. მიუხედავად ამისა, მაინც იწვევს სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელსაც ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის რეზოლიუცია გამოაქვს. რეზოლიუციაში ბრალი ედება ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმს, იმაში, რომ თითქოს ის გასაქანს არ აძლევს თვითკრიტიკას.

როგორი შეიძლებოდა ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული რეზოლიუციის გამოტანა, როდესაც ამ საკითხზე ბაქოს კომიტეტს ჯერ გადაწყვეტილება არ ჰქონდა გამოტანილი? შემდეგ, როდესაც სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმზე ასეთი რეზოლიუცია იქნა მიღებული, სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრი ბაქოს კომიტეტში მიიწვიეს. იქ, მოლაპარაკების შემდეგ ამხ. არტაკმა განაცხადა, რომ ის დარწმუნდა იმაში, რომ მისი წერილის ზოგიერთი ადგილი არ არის სისწორით ჩამოყალიბებულ. ამხ. არტაკმა სთქვა, რომ დასწერს ახსნა-განმარტებითს წერილს. რამდენადაც ამხ. არტაკმა ეს სცნო, სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა შეეცვალა თავისი რეზოლიუცია, ხოლო ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმმა აღუთქვა მას, რომ აღნიშნავს სხვა ამხანაგების შეცდომასაც. შეთანხმდით აგრეთვე იმაში, რომ ამხ. არტაკი ამხ. მირზოიანთან ერთად შეიმუშავებს რეზოლიუციას და მეორე დღეს წარმოადგენს მას სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმზე.

რა მოხდა მეორე დღეს?

მეორე დღეს,—ამბობს ამხ. ნიკიშინი,—აღმოჩნდა, რომ ამხ. არტაკს შეუკრებია სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმი და გაუტანია იგივე რეზოლიუცია ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ, და ის მას შემდეგ რაც მან აღიარა, რომ საჭიროა მთელი საქმის ლიკვიდაცია. ამნაირად, ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის მხრივ ყოველივე ზომა იყო მიღებული, ამ საქმის ლიკვიდაციისათვის, როგორც ვხედავთ, საქმე ამხ. არტაკის წერილში არ ყოფილა. ამხ. არტაკის წერილს ბაილოველმა ამხანაგებმა ხელი ჩასჭიდეს იმისათვის, რომ უპრინციპო ბრძოლა დაეწყოთ ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ.

მას შემდეგ რაც რაიონულ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მეორეჯერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმმაც მიიღო რეზოლიუცია. რეზოლიუცია, ერთის მხრით, აღნიშნავდა ამხ. არტაკისა და ბაილოვის სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმის შეცდომებს, მეორეს მხრით, შეცდომებს სურახანის ამხანაგებისა, „რომელთაც სარაიონო კომიტეტის რეზოლიუციაში დაუშვეს გადაჭარბება და ზედმეტი სიმკაცრე", აგრეთვე შეცდომებს „ბაკინსკი რაბოჩი"-ს, რომელმაც „არ მიიღო წინასწარი ზომები იმისათვის, რომ გამოსწორებული ყოფილიყო წერილის ის ადგილები რომლებიც ნამდვილ ფაქტებს ეწინააღმდეგებიან". უნდა გვეფიქრა, რომ ასეთი რეზოლიუცია დააკმაყოფილებდა ამხ. არტაკსა და ამხ. შატუნოვსკაიას.

მაგრამ საქმემ სულ სხვა ხასიათი მიიღო, იმის მაგივრად, რომ მოეწვიათ სარაიონო კომიტეტის პლენუმი, ბაქოს კომიტეტის რეზოლიუციის განსახილველად, ბაილოველმა ამხანაგებმა მოიწვიეს ფართო აქტივი და ამ კრებაზე ნამდვილი დემონსტრაცია მოაწყვეს ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ. განა ამას ჰქვია ბრძოლის შეწყვეტის ნამდვილი სურვილი, ბრძოლის გაღრმავებაზე უარის თქმა?

ასეთივე დემონსტრაცია ბაქოს კომიტეტის წინააღმდეგ გამართა სარაიონო პარტიულ კონფერენციაზედაც, თუმცა ბაილოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მიუთითეს, რომ მათ უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ კონფერენციას ხელი არ შეეშალონ საქმიანი საკითხების განხილვის დროს. კონფერენციის განწყობილება შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახსნა-განმარტებით გამოვიდა ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. სარაიონო პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე შემოტანილი იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ კონფერენციაზე წამოყენებული იქნას რეზოლიუციის პროექტი ბაქოს კომიტეტის საკითხის შესახებ; მაშინ ამხ. არტაკი გამოვიდა თავისი რეზოლიუციით. რეზოლიუციის პირველ მუხლში,—სადაც ნათქვამი იყო, რომ „მიენდოს ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმს და სარაიონო კომიტეტის ახალ შემადგენლობას მოაგვარონ ეს საკითხი". ამხ. არტაკმა შეიტანა შესწორება: „ეთხოვოს ბაქოს კომიტეტსა და სარაიონო კომიტეტს წერილის განხილვის მეთოდთა უარყოფის საფუძველზე" და სხვ.

კონფერენციის პრეზიდიუმმა მიიღო ამხ. არტაკის რეზოლიუცია. მაგრამ როდესაც თვით კონფერენციაზე წამოყენებული იქნა პირველი რეზოლიუცია, და როდესაც ამხ. არტაკმა შეატყო, რომ კონფერენცია მის წინააღმდეგ იყო განწყობილი, იძულებული შეიქნა მოეხსნა თავისი რეზოლიუცია.

რაც შეეხება იაროსლავსკის წერილს, ამხ. ნიკიშინი აღნიშნავს, რომ ამხ. იაროსლავსკის არ ჰქონდა მეორე მხარის დოკუმენტები, რომ მოეცა ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობის სრული სურათი.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. **გუტინმა, ამირ ასლანოვმა** და სხვ.

ამხ. შკირიატოვის სიტყვა

24 იანვარს, საღამოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მდივანი ამხ. შკირიატოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენციაზე კამათს საქმიანი ხასიათი ჰქონდა, და თვითეული ორატორი თავის სიტყვაში საკითხს არსებითად ეხებოდა. „ამჟამად მე,—სთქვა ამხ. შკირიატოვმა,—შემიძლია დასკვნა გამოვიტანო თქვენი კონფერენციის შესახებ. აქ საკუთარ ნაკლთა ნამდვილ თვითკრიტიკას ჰქონდა ადგილი. რასაკვირველია, ამხანაგებო, ვინმე თქვენგანს რომ ჩემთვის ეთქვა—ჩვენში თვითკრიტიკის საქმე მშვენივრად მიმდინარეობსო, მე ამას არ დავიჯერებდი. საბჭოთა კავშირის თვითეულს ნაწილში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დეფექტებს თვითკრიტიკის განვითარების საქმეში".

შემდეგ ამხ. შკირიატოვი შეეხო დაწინაურებისა და ბაქოს ორგანიზაციის აქტივის ზრდის საკითხებს და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ის უკანასკნელად ბაქოში იყო, პარტიულ ორგანიზაციაში მუშათა აქტივობა მნიშვნელოვნად გაზრდილა.

ბაქოს კომიტეტის ანგარიშის გამო კამათი ბაქოს მე-18 პარტკონფერენციაზე 24 იანვარს საღამოს დასრულდა. სულ ჩაწერილი იყო 365 კაცი, აქედან სიტყვით გამოვიდა 150-მდე.

25 იანვარს, დილის სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **მირზოიანი**. ამხ. მირზოიანის საბოლოო სიტყვის დასრულების შემდეგ კონფერენციამ, საერთო ტაშის კვრით, ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სწორად სთვლის ბაქოს კომიტეტის პოლიტიკურსა და ორგანიზაციულ ხაზს და იწონებს ბაქოს კომიტეტის მუშაობას (ადს).

გერმანელთა რესპუბლიკის გლეხებმა დაპირება შეასრულეს

მოსკოვი, 26 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის სახელზე მიღებულ იქნა შემდეგი დეპეშა:

„გერმანელთა რესპუბლიკის გლეხებმა დაპირება შეასრულეს. 24 იანვარს ჩვენ მეორე გაერთიანებულმა წითელმა რაზმმა, 691 ურმით, „სოიუზხლებ"-ის საშუალებით სახელმწიფოს გადავეცით 279 ტონამდე პური. გერმანელთა რესპუბლიკის გლეხები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის მთავრობას და პირობას სდებენ, რომ მომავალში 164 ტონამდე პურს კიდევ გამოიტანენ. მეორედ ვიწვევთ სხვა რაიონების გლეხებს შეჯიბრებაზე". (ადს).

თათბირი კოოპერატიული მებამბეობის შესახებ

მოსკოვი, 26 იანვარი. 25 იანვარს თათბირზე მოსმენილ იქნა ამხ. გრიგორიევის მოხსენება 1929 წლის კამპანიის შესახებ. მან, სხვათა შორის, სთქვა: ბამბის მთესველებს ავანსები უნდა მიეცეთ კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით.

მინერალური სასუქის შემოტანა მიმდინარე წელს საკმარისი არ არის ბამბის მთესველთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას, რომ ბამბის მთესველების მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს.

რადგან მებამბეობისათვის საჭირო ინვენტარი ძვირად ღირს და მას ვერ შეიძენენ ღარიბი მებამბეები, ამიტომ უნდა გაძლიერდეს სამანქანო ამხანაგობათა ორგანიზაცია.

მიმდინარე კამპანია 100 პროცენტით უზრუნველყოფილია ხარისხოვანი თესლით. მაგრამ თესლის ნახევარს გაწმენდა ესაჭიროება. 1928 წელს ბამბის მთესველებისათვის 51 აგროპუნქტი იყო, მიმდინარე წელს 119 აგროპუნქტი იმუშავებს. განსაკუთრებით გაძლიერდება აგრონომიული დახმარება კოლექტიურ მეურნეობათათვის (ადს).

კოლმეურნეობათა ცენტრის საბჭოს მეორე სესია

მეორე დღე

გუშინ სესიის მეორე და მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ქანთარიას მოხსენება შემდეგ საკითხებზე: გლეხთა წევრობის საკითხი კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობათა ურთიერთობა კოლმეურნ. ცენტრისა, სას.-სამ. და სამომხმარებლო კოოპერაციასთან; კოლექტივიზაციის ფონდი, განუყოფელი კაპიტალების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში; კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობის ფორმები მაზრის ფარგლებში.

კოლმეურნეობისა და მარტივ საწარმოო განაერთებში წევრად შესვლის პირობები

დღემდე,—ამბობს მომხსენებელი,—კოლმეურნეობათა წევრად ითვლებოდა მეურნეობა და ამ უკანასკნელის წარმომადგენელი—ოჯახის მეთაური მამაკაცი. იმ მიზნით, რომ სავსებით იქნეს გამოყენებული ოჯახის ყველა წევრების შრომა და უზრუნველყოფილი მათი აქტიური მონაწილეობა კოლექტივის სამეურნეო საქმიანობაში, უმჯობესი იქნება კოლმეურნეობაში წევრებად შევიყვანოთ ოჯახის ყველა წევრი, რომელთაც 15 წელი შესრულებიათ. კოლექტივში შესვლისას საპაიო გადასახადს და საწევროს უნდა იხდიდეს მხოლოდ ოჯახის უფროსი. დანარჩენები კი მარტო საწევრო შესასვლელ გადასახადს, უფლებებში კი ყველა გათანასწორებულნი უნდა იქნენ. საპაიო გადასახადათ უნდა დაწესდეს 50 მან., ხოლო საწევრო შესასვლელ გადასახადათ 5 მანეთი.— მარტივ განაერთებში, ხოლო კომუნებში მინიმუმ 10 მან. საწევრო საპაიო კი—კომუნაში შემავალ გლეხის მთელი ქონება. პაის შეტანა უნდა ხდებოდეს, როგორც ფულად, ისე ნატურით. საპაიო გადასახადის შეტანისათვის უნდა დაწესდეს ვადები მეურნეობის ქონებრივი შეძლების მიხედვით 5-დან 10 წლამდე. ღარიბთა შესაყვანად კოლექტივებში გამოყენებული უნდა იქნეს კოლექტივიზაციის ფონდი, რომელიც იქმნება კოოპერატივებისა და კოლმეურნეობათა მოგების ანარიცხებით.

კოლექტივებისა და მარტივ საწარმოო განაერთთა წევრობა კოლმეურნ. ცენტრში

კოლმეურნეობის ცენტრად შეიძლება გახდეს, როგორც სას.-სამ. კომუნები და სას.-სამ. არტელები, ისე მარტივი საწარმოო განაერთები. ვიდრე მათი მიღება მოხდებოდეს, საჭიროა წინასწარ გამოკვლეული იქნეს მათი მდგომარეობა და შემდეგ მიღებული კოლმეურ. ცენტრში, რომელიც მას გაუწევს იდეურ ორგანიზაციულ და აგროკულტურულ დახმარებას და მისცემს სესხს. ცენტრში შესასვლელი გადასახადი უნდა განისაზღვროს კოლექტივის მიერ აკრეფილ საწევრო გადასახადების 20 პროც., ხოლო საპაიო გადასახადათ კოლექტივის წლიური საერთო შემოსავლის ერთნახევარი პროცენტით.

კოლექტივების წევრობა სას. სამ. კოოპერაციაში

ყველა სახის კოლექტიური მეურნეობანი, გარდა თავისი ცენტრისა, წევრებათ შედიან ადგილობრივ სას.-სამ. საკრედიტო და სპეციალურ სას.-სამ. კოოპერატიულ ამხანაგობებში. საწევრო გადასახადის საერთო ნორმათ კოლექტიურ ერთეულებისათვის უნდა დაწესდეს ფიზიკური პირისათვის დაწესებული საწევრო გადასახადის სამმაგი რაოდენობა. საპაიო გადასახადი კომუნებისა და არტელებისათვის კი უნდა განისაზღვროს თვითეულ ათ წევრზე ინდივიდუალურ წევრისათვის დაწესებული პაის რაოდენობით, ხოლო მარტივ განაერთებში ამდენითვე ყოველ 15 წევრზე. კომუნებისა და არტელების წევრები თავიანთ წევრობას ანხორციელებენ მხოლოდ კოლექტ. საშუალებით ხოლო მარტივი ფორმის საწარმოო განაერთების წევრებს შეუძლიათ შევიდნენ ამხანაგობებში ინდივიდუალურად.

კოლექტივების წევრობა სამომხმარებლო კოოპერაციაში

კოლექტივები და მარტივი განაერთები სამომხმარებლო კოოპერაციაში წევრად უნდა შედიოდნენ, როგორც იურიდიული ერთეულები, მათი წევრები კი ინდივიდუალურად არ უნდა შედიოდნენ! მარტივი განაერთების წევრებს შეუძლიათ შევიდნენ ინდივიდუალურად. კომუნები და არტელებისთვის ყოველ ათ წევრზე უნდა დაწესდეს ერთი საპაიო გადასახადი, ხოლო საწევრო გადასახადი ფიზიკურ პირთათვის დაწესებულ ნორმის სამმაგი რაოდენობით. საპაიო გადასახადის ვადა კოლექტივებს უნდა გაუგრძელდეს ერთიდან სამ წლამდე. თანახმად კანონისა, სამომხმარ. კოოპერაციამ მოგებიდან უნდა გადარიცხოს ღარიბთა შესაკავშირებელ ფონდში 15 პროცენტი. ანარიცხების ნაწილი უნდა მოხმარდეს მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობის შეყვანას კოლექტივებში.

ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე მაზრის ფარგლებში

დღეს-დღეობით,—ამბობს მომხსენებელი,—ისეთ მსხვილ რაიონებშიდაც კი, სადაც კოლმეურნეობათა ქსელი საკმაოდ განვითარებული და ეკონომიურად შედარებით ძლიერია, შეუძლებელი ხდება რაიონული კავშირის დაარსება. რადგან კოლმეურნეობათა ქსელს არა აქვს საშუალება შეინახოს რაიონული კავშირის აპარატი და მეორე მხრით არ მოიპოვება კოლექტიურ მშენებლობაში საკმაო გამოცდილი მუშაკები, ვიდრე ასეთი რაიონული კავშირები მოეწყობოდეს, საჭიროა მაზრის მიწათმოქმედების ორგანოებმა გააძლიერონ მუშაობა კოლექტივიზაციის დარგში.

კოლმეურნეობებზე გეგმიანი მუშაობის განსახორციელებლად საჭიროა მაზრა დაიყოს რაიონებად, რომლებიც უნდა განაწილდეს მაზრის ინსტრუქტორებსა და კოლმეურნ. ცენტრის ინსტრუქტორებს შორის, კოლექტივების ჯგუფზე უნდა მიმაგრებული იქნეს სპეციალური აგრონომი, რომელსაც კავშირი უნდა ექნეს, როგორც კოლცენტრთან, ისე მაზრასთან. მაზრა თავის აგროპერსონალის საშუალებით მიწათმოწყობასა და აგროკულტურულ საქმიანობას კოლმეურნეობებში უნდა აწარმოებდეს კოლცენტრის ინსტრუქტორებთან შეთანხმებით. ეს უკანასკნელნიც მოვალენი არიან თავიანთი მუშაობის გეგმა შეუთანხმონ საადგილ-მამულო განყოფილებას.

ღარიბ გლეხთა კოლექტივებში შესაკავშირებელი ფონდი

დღემდე ღარიბთა შესაკავშირებელი ფონდი თითქმის არ ხმარდებოდა ღარიბებისა და მოჯამაგირეების გაერთიანებას კოლმეურნეობებში. თვით კოლმეურნეობებშიდაც არ იყო დაწესებული ანარიცხები კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. კანონის ძალით ყველა სახის კოოპ. ორგანიზაციებმა თავის წლიურ მოგების 15 პროცენტიან ანარიცხებიდან ნაწილი ანარიცხისა უნდა მოახმარონ ღარიბ გლეხთა შეკავშირებას კოლმეურნეობებში. სას. კოოპერაციამ კი ამ მიზნისთვის უნდა გადასდოს ამ ფონდის 50 პროცენტი. თვით კოლექტივებს და მარტივ განაერთებს კი უნდა მიეცეთ წინადადება მოგების ხუთი პროცენტი მოახმარონ ღარიბთა შეკავშირებას კოლექტივებში. ეს ფონდი უნდა იმყოფებოდეს თვით კოლმეურნეობებში და უპროცენტო გრძელვადიან სესხად მიეცეს მოჯამაგირე და ღარიბ გლეხს საპაიოს შესატანად კოლექტივში წევრად შესვლის დროს.

განზოგადოებულ საშუალებათა და განუყოფელ კაპიტალის ორგანიზაცია

დღემდე საქართველოს კოლმეურნეობებში არ იყო შემუშავებული თანხების დაგროვება და მათი განაწილების სისტემა. ამავე დროს კოლმეურნეობათა საგრძნობი ნაწილი უკვე სდგას სამეურნეო დაგროვებისა და გაფართოების გზაზე. დაგროვება სწარმოებს ერთი მხრივ, განზოგადოებულ საშუალებათა მოზიდვით, ხოლო მეორე მხრივ ინდივიდუალური გზით, რამდენად მაღალია კოლმეურნეობას ფორმა და უფრო მსხვილია იგი, იმდენად მეტია მასში დაგროვება. ამიტომ დაგროვება მიმართული უნდა იქნეს საწარმოო საშუალების უფრო მეტი განზოგადოებისაკენ. კოლმეურნეობებში განზოგადოებულ საშუალებათა გაძლიერებისათვის საჭიროა: საპაიო და საწევრო გადასახადების ნორმის გადიდება—პირველის 50 მანეთამდე, ხოლო მეორის—5—10 მანეთამდე; ღარიბთა შეკავშირების გაძლიერება კოლექტივიზაციის ფონდის საშუალებით; სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისაგან მიღებული სესხის გამოყენება მხოლოდ განზოგადოებულ მეურნეობისათვის და სხვ.

დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აგრეთვე განუყოფელი კაპიტალის შექმნას. განუყოფელ კაპიტალს კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ამაგრებს კოლმეურნეობას იზიდავს ახალ წევრებს და წარმოადგენს საშუალებას წევრების კოლექტივიდან გასვლის წინააღმდეგ. ამიტომ განუყოფელ კაპიტალის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მიზნით გასაყოფ თანხაზე უნდა გადაირიცხოს არა უმეტეს 25 პროცენტისა. დანარჩენი თანხა უნდა შედიოდეს განუყოფელ კაპიტალში, რომელიც არ უნდა მცირდებოდეს და არ უნდა ხდებოდეს მისი გასაყოფ კაპიტალად გარდაქმნა. განუყოფელი კაპიტალი უნდა დარჩეს ხელუხლებლად და არ უნდა გაიცეს კოლმეურნეობის წევრთა შორის, არც კოლმეურნეობის ლიკვიდაციის დროს, არც წევრთა პრეტენზიების ან დავალიანების დასაფარავად.

—:—

ამავე დღის მოსმენილ იქნა კიდევ ერთი მოხსენება კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და მოსავლის განაწილების შესახებ. შემდეგ გაიხსნა კამათი.

პარტიაში

მოიწონეს ტროცკისტული ორგანიზაციის ლიკვიდაცია

ლენინგრადი, 25 იანვარი. ლენინგრადში „კრასნი პუტილოვეც"-ის მუშების საამქრო კრებებმა, ბალტიის ქარხნის, ლითონისა და პროლეტარული ქარხნების პარტიულმა კრებებმა მიიღეს რეზოლიუციები, რომლებიც მთლიანად იწონებენ ღონისძიებებს ტროცკისტული ორგანიზაციის ლიკვიდაციისა და ტროცკისტების იზოლაციისათვის. რეზოლიუციები საჭიროდ სცნობენ აგრეთვე, რომ პარტიამ ფხიზლად ადევნოს თვალყური ოპოზიციის ნამსხვრევების მოქმედებას (ადს).

შჩეგლოვსკი, [illegible] იანვარი. [illegible] მაღაროს და [illegible] ლექტივების კრებები [illegible] ერთად, მოითხოვენ მკაცრი ზომების მიღებას ტროცკისტების ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ პროლეტარიატის დიქტატურას. ტროცკისტების საპასუხოდ 122 მუშამ განაცხადა პარტიაში შესვლის სურვილი. (ადს).

მისალმება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს კომპარტიის ცკას სახელზე ცხინვალიდან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სამხრეთ-ოსეთის მეათე საოლქო პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელს—ცკას. კონფერენცია აცხადებს, რომ მის წინაშე დასმულ ამოცანებს ის მტკიცედ, ლენინურად გადასწყვეტს და ამით მკაცრ პასუხს გასცემს როგორც განადგურებულ ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთებს, ისე მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლებს. კონფერენცია მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის შემდგომი მუშაობა თქვენი ნაცადი ხელმძღვანელობით, თქვენი გადაწყვეტილებების ნიადაგზე, სწრაფი ტემპით წაიყვანს სამხრეთ-ოსეთის მეურნეობას სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

გაუმარჯოს ჩვენი რიგების დარაზმულობას, გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას!

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ადგილების განაწილება ა.-კ. კომუნივერსიტეტში

1929—30 სამოსწ. წლისათვის

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში 1929—30 სასწავლო წლისათვის ადგილები შემდეგნაირად ნაწილდება:

თბილისის კომიტეტს ეძლევა 8 ადგილი, მათ რიცხვში აუცილებლად უნდა იყოს: 3 ქალი, 1 თურქი, 1 ქართველი ებრაელი, 1 ბერძენი, 1 ხევსური.

აჭარისტანის საოლქო კომიტეტს—2 ადგილი (1 ქალი, ეროვნებით: აჭარლები).

აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—2 ადგილი (1 ქალი, 1 აფხაზი, 1 მეგრელი).

სამხრეთ-ოსეთს—2 ადგილი (1ქალი, ოსები).

გორის სამაზრო კომიტეტს—2 ადგილი (1 ქალი, ქართველები); კახეთის სამკომს—1 ადგილი (ქართველი); ბორჩალოს—2 ადგ. (1 ქალი, თურქები); ახალ ციხის მაზრას—2 ადგ. (1 ქალი, თურქები); ახალქალაქს—1 ადგილი (სომეხი); შორაპნის სამკომს—1 ადგ. (ქართველი); რაჭა-ლეჩხუმს—1 ადგ. (ქართველი); ქუთაისის სამნაკის მაზრას—1 (ქართველი); ზუგდიდის სამკომს—1 ადგ. (ქართველი); ოზურგეთის მაზრას—1 ადგილი (ქართველი); ფოთის კომიტეტს—1 ადგილი (ქართველი); სვანეთს—1 ადგილი (სვანი); საქ. ა. ლენ. კომკავშირის ცკას—5 ადგილი (2 ქალი).

კომკავშირში

ბავშვთა შორის მუშაობის საკითხი თბილისის კონფერენციაზე

ა. ლ. კ. კ. თბილისის კონფერენციის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. აბესაძის მოხსენება ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ.

— დღეს, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით სოც. მშენებლობის პერიოდში, პარტიისა და ხელისუფლების წინაშე ისმება საკითხი მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის შესახებ. ბავშვთა მასებზე პროლეტარული გავლენის ზრდასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ მათი ნაწილის წვრილბურჟუაზიულ გავლენის ქვეშ მოქცევის შემთხვევასაც. მაგალითად ქ. თბილისში ამოქმედებულია რელიგიური ჯგუფები, რომლებიც თავისკენ იზიდავენ მუშათა შვილების საგრძნობ რიცხვს.

ჩვენ წინაშე ისმება საკითხი იმის შესახებ თუ როგორი მდგომარეობაა ნ. პ. ქალაქის ორგანიზაციაში. უნდა განვაცხადოთ, რომ ქალაქად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევა. ნ. პ. კოლექტივებმა მუშათა რაიონებში კულტურული ლაშქრობა ბრწყინვალედ ჩაატარა; ლენინის რაიონში შექმნილ იქნა პიონერთა ჯგუფები მშრომელთა შორის წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. კომკავშირის მიერ მოწყობილ შაბათობაში პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მესამე რაიონში პიონერებმა რამდენიმე ათეული ფუთი ლითონის ნატეხი შეაგროვა და სხვ.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს სპეციალური საბავშვო კინო-თეატრები; მომავალში ეს საკითხი უნდა დაისვას სათანადო ორგანოების წინაშე.

მე-15 კონფერენციისათვის, ნ. პ. ორგანიზაციაში გვყავდა 9158 პიონერი და 3564 ოქტომბრელი. ამჟამად კი გვყავს 11842 პიონერი და 4.648 ოქტომბრელი. ორგანიზაციის ასეთი ზრდა ნაწილობრივ დუშეთის მაზრის შემოერთების შედეგია. ორგანიზაციის ზრდა ხელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ბავშვთა შორის სუსტი მუშაობა და ხელმძღვანელთა სათანადო კადრის უქონლობა.

სათემო ორგანიზაციებში ჩვენ არა გვყავს ჯამაგირიანი მუშაკები, რაც ხელს უშლის ორგანიზაციის ზრდას და მუშაობის გაძლიერებას.

ნ. პიონერთა კოლექტივების მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ხშირად ზოგიერთი კოლექტივი სახელს იცვლის, რომ ამით მეტი თანხა მონახოს. სალხინის შესაძენად კოლექტივები ზოგჯერ უფრო სათაკილო ნაბიჯსაც არ ერიდებიან. აი მაგალითიც: თბილისში არსებობს გერმანელ ნ. პ. კოლექტივი. ამ კოლექტივმა დელეგაცია გაგზავნა გერმანელ კონსულთან—ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წარმომადგენელთან, თხოვნით, რომ მას კოლექტივისათვის ბერლინიდან ბარაბანი გამოეწერა; ამავე კოლექტივმა ფული მოაგროვა პიონერთა ფორმის შესაძენად: ქალაქში შესაფერი მატერია ვერ იშოვეს და დელეგაცია გაუგზავნეს გერმანელ კონსულს განცხადებით: „თბილისში ვერ ვიშოვნეთ მატერია ფორმისათვის და გერმანიიდან გამოგვიწერეო".

ყოველივე ზემოდ აღნიშნული ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს იმის შესახებ, ჩვენ მობილიზაცია უყოთ კომკავშირელთა საზოგადოებრივ აზრს პიონერ-მოძრაობის გარშემო, სათანადოთ აღვზარდოთ მოზარდი თაობა და კომკავშირის ორგანიზაციას მივსცეთ საუკეთესო ძალები, რომლებიც აქტიურად ჩაებმევიან ჩვენი ქვეყნის სოც. მშენებლობაში.

ამხ. აბესაძის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ:

ამხ. კაპანაძე—მოითხოვს პიონერთათვის სახელოსნოების მოწყობას და ოქტომბრელთათვის სპეციალურ რადიო-გაზეთის გამოცემას.

ამხ. ბოკერია ამბობს, რომ სოფლის ზოგიერთი მასწავლებელი გაურბის ბავშვთა შორის მუშაობის წარმოებას; პიონერთა შორის არ არის ამხანაგური დამოკიდებულება, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. ავაქოვმა სთქვა, რომ სათემო კომიტეტში არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პიონერ-კოლექტივებს, ნ. პ. თბილისის ბიუროსა და სათემო ორგანიზაციებს შორის ცოცხალი კავშირი მოისუსტებს. პიონერთა კოლექტივების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ადგილებზე ნ. პ. კოლექტივები და ხელმძღვანელები უფულობის გამო ცუდ მდგომარეობაში არიან.

ამხ. გულიევი ჩერდება პიონერთა ლიტერატურის უქონლობაზე და მოითხოვს მეტ სახელმძღვანელო წიგნების გამოცემას.

ამხ. ლაზარტყავა ამბობს, რომ სკოლებში ბავშვთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებს. მასწავლებლებმა არ იციან ან მათ არ ესმით თუ რა მნიშვნელობა აქვს პიონერთა შორის მუშაობას. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით საკმაოდ ვერ გაძლიერდება თუ სოფლად არ გვეყოლა ფასიანი მომუშავეები.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

პოლონეთის მეორე პასუხი.—შეთანხმების სურვილი თუ მანევრი?—ისევ რეხბერგის გეგმის შესახებ.—იტალიის და სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა.—ბრძოლა რეაქციასთან ავღანისტანში

პოლონეთის მთავრობა თავის მეორე ნოტაში აცხადებს, რომ მას „ამჟამად თავისუფლად" შეუძლია დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ომის ამკრძალავ ოქმზე ხელის მოწერის ფორმის და პროცედურის შესახებ. ეს უეჭველად გვიჩვენებს პოლონეთის უკან დახევას თავის წინანდელ პოზიციიდან ამ საკითხში. მართალია, პოლონეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ იგი უკვე პირველ ნოტაში დასთანხმდა საბჭოთა წინადადების მიღებაზე, მაგრამ მის „პრინციპიალურ თანხმობას" თან ახლდა ისეთი შენიშვნები, რომელნიც არსებითად უარყოფდნენ ამ წინადადებას. ამავე დროს ჩვენ ვიცით, თუ რა გააფთრებული კამპანია წარმოებდა ჩვენი სამშვიდობო ნაბიჯის წინააღმდეგ პოლონეთის, საფრანგეთის და რუმინეთის პრესაში.

ყველა ამის შემდეგ რამ აიძულა პოლონეთი ერთგვარ დათმობაზე წასულიყო? უდავოა, რომ ამ მხრივ ვარშავაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა კელოგის პაქტის რატიფიკაციამ ამერიკის სენატის მიერ. პოლონეთის მთავრობა ამ პაქტის დაუყონებლივ ძალაში შეყვანის წინააღმდეგ ერთ მთავარ „არგუმენტად" ხომ იმას ასახელებდა, რომ მისი რატიფიკაცია იმაზე პირვანდელ ხელის მომწერ სახელმწიფოებს არ მოუხდენიათო. ეს „არგუმენტი" მას ხელიდან გამოეცალა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ „არგუმენტს" თავის თავად არავითარი ღირებულება არ ქონდა: არსად არ არის ნათქვამი, რომ კელოგის პაქტის დამტკიცება დამოუკიდებლად თვითეულ სახელმწიფოს არ შეუძლიაო. ამერიკის სენატის ნაბიჯიც ამას ადასტურებს. აშკარაა, რომ ხსენებული „საბუთი" პოლონეთს ესაჭიროებოდა მხოლოდ საქმის გასაჭიანურებლად და საბჭოთა პროექტის მიღებისგან თავის დასაღწევად. ამერიკის მიერ პაქტის რატიფიკაციის შემდეგ პოლონეთის მდგომარეობა შეირყა. მით უმეტეს, რომ ვაშინგტონი დაინტერესებულია, რათა კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინონ დანარჩენმა ქვეყნებმაც. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მას ამოძრავებს მოტივები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმესთან. ამერიკას ეს პაქტი სურს გამოიყენოს თავის მსოფლიო ჰეგემონიის განსამტკიცებლად და იარაღად ინგლისის წინააღმდეგ. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, პოლონეთს, რომელიც სესხს ეძებს ამერიკაში, არ შეეძლო მისთვის ანგარიშები არ გაეწია, პაქტის რატიფიკაციის წინააღმდეგ აშკარად გამოსულიყო და უარეყო ჩვენი წინადადება, რომელიც ხსენებული პაქტიდან გამომდინარეობს. საგულისხმოა, რომ საბჭოთა წინადადებასთან დაკავშირებით, კელოგი „სიამოვნებით ეგებება პაქტის ადგილობრივ გამოყენების ყოველგვარ განზრახვას". ეს არა მარტო პაციფისტური თვალთმაქცობაა, არამედ ამ შემთხვევაში ინგლისის გავლენისაგან პოლონეთის ჩამოშორების ცდაც. პოლონეთის უკანასკნელი პასუხი ერთგვარად შედეგია ვაშინგტონის და ლონდონის დიპლომატიის ბრძოლისა ვარშავაში.

პოლონეთის მთავრობა „დიდ კმაყოფილებას" გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირს არაფერი აქვს ოქმში რუმინეთის და ბალტიის მხარის ქვეყნების მონაწილეობის საწინააღმდეგო. საბჭოთა მთავრობამ თავის წინადადებაში გარკვევით აღნიშნა, რომ ოქმს შეუძლია შეუერთდეს ყოველ სახელმწიფოს, რომელიც ამას მოისურვებს. ასე რომ ამ მხრივ სრულიად არაფერი შეცვლილა, და ამაოდ ცდილობს ვარშავა შექმნას შთაბეჭდილება, თითქო საბჭოთა მთავრობას მის გავლენით ამ საკითხში თავისი შეხედულება გადაესინჯოს და ვითომ ამას პოლონეთისთვის საშუალება მიეცეს პაქტის ძალაში შეყვანის შესახებ მოლაპარაკების დასაწყებად.

რა თქმა უნდა, არა ესაა პოლონეთის ეხლანდელი პოზიციის მიზეზი. ამ მხრივ გადამწყვეტ გარემოებად არც სენატის მიერ პაქტის რატიფიკაცია ჩაითვლება. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ამხ. ლიტვინოვის მეორე ნოტამ მჭერმეტყველურად გამოაშკარავა მთელი უმწეობა პოლონეთის მთავრობის არგუმენტაციისა, რომლითაც იგი ლამობდა ოქმის ხელის მოწერიდან თავის დაძვრენას. ამის შემდეგ ჩვენი წინადადების უარყოფა საჯაროდ გააშიშვლებდა პოლონეთის მთავრობის აგრესიულ ზრახვებს, და ჩვენ ვხედავთ, რომ იგი უკან იხევს.

მაგრამ ეს თავის თავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ვარშავა მიიღებს ჩვენს წინადადებას და კვლავ არ შეეცდება ამა თუ იმ საბაბით საქმის გაჭიანურებას და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ღონისძიების ჩაშლას. ყოველ შემთხვევაში, ვარშავის იძულებითი თანხმობა ოქმის გარშემო ჩვენთან მოლაპარაკების დაწყებაზე საბჭოთა მთავრობის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს.

⁂

რომ პოლონეთის მთავრობა მოინდომებს ომის აკრძალვის საბჭოთა ოქმზე ხელის მოწერის საქმის გართულებას, ამას ბევრი რამ მოწმობს. ამ მხრივ აღსანიშნავია კელოგის განცხადება: „ჩემი აზრით, სთქვა მან, ომის ამკრძალავი პაქტის რატიფიკაცია უფრო ადრე მოხდება და უფრო ადრე შევა ძალაში, ვიდრე იმ შეთანხმების რატიფიკაცია, რომელიც შეეხება პაქტის განხორციელებას საბჭოთა კავშირისა, პოლონეთსა და რუმინეთს შორის"-ო. ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს არ დავუჯეროთ ამ შემთხვევაში ისეთ ავტორიტეტულ პირს, როგორიცაა ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრი.

ვარშავის ფარულ ზრახვებს ფარდას ხდის ის კამპანია, რომელიც კვლავ გაჩაღდა პოლონეთის პრესაში საბჭოთა იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ოქმზე ხელის მოწერის ფორმას და პროცედურას. პოლონელი გაზეთები პირველ ყოვლისა „აღშფოთებული" არიან იმის გამო, რომ ეს წინადადება, რომელიც ამხ. ლიტვინოვმა გააცნო პატეკს საუბარში, გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა პრესაში. „გლოს პრავდი"-ს ეს მიაჩნია „კეთილ დიპლომატიურ ჩვეულებათა" დარღვევად. ეს „ჩვეულებები" ცნობილია. იმპერიალისტური დიპლომატია მზის სინათლეს გაურბის და საიდუმლოდ აჩხრიკებს ბნელ საქმეებს. „გლოს პრავდი" იმიტომაა უკმაყოფილო, რომ ჩვენი წინადადება ფართო მასებისათვის მისაწვდომი გახდა და შეუძლებელია მისი დასამარება ისე, რომ პოლონეთის მთავრობის აგრესიულობა საჯაროდ არ გამომჟღავნდეს. ის, რა თქმა უნდა, არჩევდა მოლაპარაკება ფარულად წარმოებულიყო, რომ პოლონეთს უფრო ადვილად შესძლებოდა საქმის გაჭიანურება და ჩაფუშვა. მაგრამ საბჭოთა მთავრობას, რომელიც მტკიცედ ემსახურება მშვიდობიანობის განმტკიცებას, არაფერი აქვს დასამალი, იგი იმ თავითვე გადაჭრით უარყოფს საიდუმლო დიპლომატიის „კეთილ ჩვეულებებს", რომ ყველასათვის ნათელი იყოს, თუ ვინ არის მშვიდობიანობის მტერი თუ დამცველი, რათა ამით იმპერიალისტების ხრიკებს ნაკლები გასავალი ჰქონდეთ და მასების დახმარებით შესაძლებელი შეიქნეს მშვიდობიანობის საქმის წინ წაწევა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პატეკთან ამხ. ლიტვინოვის საუბრის შინაარსის გამოქვეყნება არ შეცავს რაიმე არაკორექტულ ნაბიჯს პოლონეთის მიმართ. და თუ „გლოს პრავდი" ამის გამო „საყვედურს" გამოსთქვამს, ამით ის მხოლოდ ამხელს პოლონეთის იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს.

ამხ. ლიტვინოვმა წინადადება მისცა პატეკს, რომ ომის ამკრძალავი ოქმი დაუყოვნებლივ იქნეს დამტკიცებული საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მხრით, რომლებმაც შემდეგ ბალტიის მხარის ქვეყნებსა და რუმინეთს (უკანასკნელს პოლონეთის საშუალებით) უნდა მიმართონ წინადადებით შეუერთდნენ ამ ოქმს. გაზ. „ჩას"-ს არ მოსწონს ასეთი სისწრაფე—„სიჩქარისათვის არავითარი საბაბი არ არსებობს"-ო, აცხადებს ის. არის თუ არა საჭირო სისწრაფე, ამას გვიჩვენებს ის საფრთხე, რომელსაც მშვიდობიანობას აღმოსავლეთ ევროპაში უმზადებს პოლონეთი და ის მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც პოლონეთი აწარმოებს. მაგრამ სწორედ ამიტომ პოლონეთის იმპერიალისტებს სურთ აღმოსავლეთ ევროპის ოქმის დამტკიცების გაჭიანურება და მის გარშემო დაუსრულებელი ლაპარაკით თავისი ანტისაბჭოთა ნაბიჯების დაფარვა.

„ჩას" პირდაპირ ამბობს: „პოლონეთს არ შეუძლია პაქტს ხელი მოაწეროს, სანამ არ შეუთანხმდება საფრანგეთს და სანამ არ გამოირკვევა, რომ ოქმზე ხელის მოწერა არ ეწინააღმდეგება პოლონეთ-საფრანგეთის კავშირს"-ო. გაზეთი ამით ადასტურებს, რომ პოლონეთ-საფრანგეთის კავშირი მიმართულია საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და რომ პოლონეთი ხელს არ იღებს ჩვენზე გამოლაშქრებისათვის ცდაზე.

ამიტომ, ვიმეორებთ, პოლონეთის თანხმობა ჩვენთან მოლაპარაკების დაწყებაზე არ ნიშნავს, რომ იგი საბჭოთა ოქმს ხელს მოაწერს. ესაა ვარშავის მხრით იძულებითი ნაბიჯი, რომლის მიზეზებს ზევით შევეხეთ. პოლონეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ მოახერხებს მომავალ მოლაპარაკების ჩაფუშვას, მაგრამ ისე, რომ ამისათვის პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირს დააკისროს, ან, ყოველ შემთხვევაში თვითონ აიცილოს პასუხისმგებლობა. შესაძლებელია ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს ბესარაბიის საკითხი: მოსალოდნელია, რომ რუმინეთი მოითხოვს ბესარაბიის დაპყრობის დაკანონებას საბჭოთა მთავრობის მხრით—ოქმში მონაწილეობის საკომპენსაციოდ. ეს კი მოლაპარაკების ჩაფუშვას გამოიწვევს. შესაძლებელია, რომ ბალტიის რომელიმე სახელმწიფოს ამა თუ იმ საბაბით უარი ათქმევინონ ოქმის მიღებაზე, რაც პოლონეთს „საბუთს" მისცემს საბჭოთა წინადადების რატიფიკაცია გადასდოს.

გარდა ამისა, ვარშავის „მზრუნველობას" რუმინეთის და ბალტიის სახელმწიფოების მიმართ სხვა მიზანიც აქვს. მას სურს მოგვევლინოს ამ ქვეყნების „მფარველის" როლში, განამტკიცოს მათზე თავისი გავლენა და მოლაპარაკება გამოიყენოს ანტისაბჭოთა ბლოკის შესაკოწიწებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მანევრი მიზანს ვერ მიაღწევს. თუ პოლონეთის მთავრობა მოიწადინებს მოლაპარაკების ხელოვნურად გართულებას და საბჭოთა წინადადების მიკიბულ-მოკიბულ გზით, მაგრამ არსებითად უარყოფას, ამით იგი ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ცხადყოფს თავის იმპერიალისტურ მისწრაფებებს. ვერავითარი ფანდებით ვერ შესძლებს ვარშავა თავი დააძვრინოს პასუხისმგებლობას ჩვენი სამშვიდობო ნაბიჯის ჩაშლისათვის. ახლო მომავალი გვიჩვენებს, გაბედავენ თუ არა პოლონეთის მმართველები ამაზე წასვლას.

⁂

წინანდელ მიმოხილვაში ჩვენ შევეხეთ ცნობილ გერმანელ კაპიტალისტის რეხბერგის მორიგ გამოსვლას გერმანია-საფრანგეთ-ინგლისის ეკონომიურ-პოლიტიკურ კავშირის შექმნის საჭიროების შესახებ. მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ კავშირის განხორციელება შეუძლებელია გერმანია-საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობის დაუძლევლობის და მთელ რიგ სხვა მიზეზების გამო. რეხბერგის გამოსვლას გამოეხმაურა „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ" (ორგანო სახალხო პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელ როლს თამაშობს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში). გაზეთი გადაჭრით უარყოფს ასეთი კავშირის შესაძლებლობას.

მართლაც, როგორც ხსენებული ორგანო ამბობს, ძნელია ლაპარაკი ამ ქვეყნების კავშირზე, როცა მათ შორის „უბრალო თანამშრომლობაც ვერ განხორციელდა". ამისათვის დღესდღეობით ნიადაგი არ არსებობს. ვერსალის „ზავით" დამცირებული და დაზიანებული გერმანია რევანშზე ოცნებობს და არა კავშირზე საფრანგეთთან. ეს დამცირება მით უფრო საგრძნობი ხდება, რომ საფრანგეთი და ინგლისი მსოფლიო ომის 11 წლის შემდეგაც არაფერს უთმობენ გერმანიას და ცდილობენ დამამცირებელი პირობები მოახვიონ მას (მოლაპარაკება რეპარაციების გარშემო). ლონდონი და პარიზი გერმანიისაგან მოითხოვენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ უმნიშვნელო კომპენსაციას პირდებიან, რომ გერმანიის ბურჟუაზია ამ მოთხოვნაზე ვერ თანხმდება. სამართლიანად წერს სახალხო პარტიის ორგანო, რომ თუ გერმანია წამოაყენებს წინადადებას კავშირის შესახებ, „ინგლისის და საფრანგეთის წრეები საბოლოოდ გადასწყვეტენ, რომ გერმანიის ბედი მთლად მათ წყალობაზეა დამოკიდებულიო". აშკარაა, რომ გერმანია ამით დაკარგავს თავის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობას და ბრმა იარაღად გახდება პარიზისა და ლონდონის ხელში.

გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირველ ყოვლისა ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება და განმტკიცება. საბჭოთა კავშირთან, რომელთან დამოკიდებულების გართულება, რასაც უეჭველად გამოიწვევდა გერმანია-საფრანგეთ-ინგლისის კავშირის შექმნა, გერმანიას აურაცხელ ზიანს მიაყენებს. ამავე დროს ასეთ კავშირის შექმნას ვერ მოითმენენ ამერიკა და იტალია, ვინაიდან გერმანია ამ შემთხვევაში მათ წინააღმდეგაც იქნება გამოყენებული. თავის თავად ცხადია,—და „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-იც ამას აღიარებს,—რომ ამ სამ სახელმწიფოს გადაკიდება ვერაფერ სახეიროს უქადის გერმანიას. ამით გამოწვეულ მძიმე შედეგებს ოდნავადაც ვერ აუნაზღაურებს მას საფრანგეთთან და ინგლისთან საეჭვო დაკავშირება.

გაზეთი, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ „დასავლეთის ქვეყნების მრეწველობის დაკავშირება გერმანიის მრეწველობასთან" ვერ მოგვცემს მშვიდობიანობის სრულსა და საბოლოო გარანტიასო. ჩვენ ამას დავსძენთ, რომ ეს დაკავშირება, როგორც იგი მის მომხრეებს ესმით, როდია მშვიდობიანობის მოსაზრებებით განზრახული, პირიქით, მისი მიზანია იმპერიალისტური სახელმწიფოების ახალ გადაჯგუფებათა გზით ომის მომზადება.

გარდა ამისა, საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველობის მტკიცე დაახლოებას დიდი დაბრკოლებები ეღობება წინ. მართალია, ორივე ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთი დარგები დაინტერესებული არიან ამ დაახლოებით, მაგრამ საკითხი, თუ რომელი ქვეყნის მრეწველობამ უნდა ითამაშოს ხელმძღვანელი როლი, თუ რომელ მათგანს უნდა მიეცეს უპირატესობა, შეუძლებელს ხდის მათ შორის ფართო და სერიოზულ შეთანხმებას.

ბოლოს, რეხბერგებს სრულებით „ავიწყდებათ" ერთი „წვრილმანი", სახელდობრ ის, რომ გერმანიის მშრომელი მასები ვერ შეურიგდებიან თავის ქვეყნის გადაქცევას იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

და თუ გერმანიის მთავრობა ამყარებს ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულებას, ეს ცხადია, აიხსნება არა გერმანიის ბურჟუაზიის სიმპატიით მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსადმი, არამედ ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობით ნაკარნახევი აუცილებლობით.

მაინც ცდები და ვაჭრობა გერმანიის ჩაბმისა ანტისაბჭოთა ბლოკში, რა თქმა უნდა, კვლავ გაგრძელდება, როგორც ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების, ისე გერმანიის ზოგიერთ წრეების მხრით. ეხლა ამ ცდების განხორციელებისათვის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ თუ კავშირი არა, დროებითი კომბინაცია ამ მიმართულებით, თუ ძალთა განწყობილება მომავალში შესაფერისად შეიცვალა, თავის თავად არ არის შეუძლებელი. ამ გარემოებას საბჭოთა კავშირი ყოველთვის უწევს ანგარიშს.

⁂

სერბიელი ბურჟუაზია და მემამულენი, როცა სამხრეთ სლავიაში გადატრიალებას ახდენდენ, მიზნად ისახავდენ სამხედრო დიქტატურის გზით სხვა ეროვნებათა განმათავისუფლებელ მოძრაობის მოსპობას, სახელმწიფოს შინაგან მთლიანობის დაცვას და მის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. თავის თავად ცხადი იყო, რომ ასეთი მეთოდით ისინი მიზანს ვერ მიაღწევდნენ. ოპოზიციონურ ელემენტების სასტიკმა დევნამ, რომელიც დღესაც სწარმოებს, ვერ შესძლო დაჩაგრულ ხალხთა ნებისყოფის გატეხვა. თვით ეს რეპრესიები მოწმობენ, რომ უკმაყოფილების ტალღა სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ იზრდება.

ამავე დროს სამხრეთ-სლავიის საგარეო მდგომარეობა უფრო შეირყა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია, რომ მარცხით დამთავრდა იტალიისა და სამხრეთ სლავიის მოლაპარაკება იმ „მეგობრულ" ხელშეკრულების განახლების შესახებ, რომელსაც ვადა გაუვიდა. „ბელგრადსკიე ნოვოსტი"-ს გადმოცემით, „სამხრეთ სლავიაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას იტალია სთვლის ახალ ფაქტორად, რომელიც მოითხოვს არსებულ ურთიერთობის გადასინჯვას". რომის მთავრობა კერძოდ მოითხოვს, რომ ახალ ხელშეკრულებაში სამხრეთ-სლავიამ გადაჭრით იცნოს იტალიის პროტექტორატი ალბანეთზე.

ალბანეთი ის მთავარი ობიექტია, რომლის გამო იტალია და სამხრეთ-სლავია ერთმანეთზე გადაკიდებული არიან. ორივე მიილტვის მის დამორჩილებისაკენ. იტალიის იმპერიალიზმმა კარგა ხანია ამ მხრივ დიდ გამარჯვებას მიაღწია და ალბანეთი თავის გავლენას დაუმორჩილა. ეხლა ის სარგებლობს სამხრეთ-სლავიის შინაურ მდგომარეობის გართულებით და უფრო შორს მიდის. თუ მუსოლინის მთა- [illegible] ვრობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, ეს ნიშნავს იტალიის მძლავრ შეჭრას თვით სამხრეთ-სლავიაში და მთელ ბალკანეთში მისი პოზიციების განმტკიცებას. ალბანეთის დაუფლება მას ამის შესაძლებლობას აძლევს.

მაგრამ ეს მოასწავებს დამოკიდებულების გამწვავებას არა მარტო სამხრეთ სლავიასთან, არამედ უფრო მის მფარველ საფრანგეთთან, რომელსაც ბალკანიის ნახევარ კუნძული თავისი იმპერიალისტური ექსპანსიის უდავო ასპარეზად მიაჩნია. ამგვარად, ჩვენ ბალკანეთში ახალი იმპერიალისტური შეხლა-შემოხლის მოწმენი ვხდებით.

⁂

თავის დროზე ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ბანდიტ ბაჩა-საკაოს გამეფებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ბრძოლის კვლავ გაჩაღება ავღანისტანში. რეაქციონურ აჯანყებას ასეთ დაბოლოვებას ვერ შეურიგდებოდნენ ზევრი ის ჯგუფებიც, რომელნიც ამანულა ხანის რეფორმებს ვერ ურიგდებიან. ასეც ხდება.

ამანულას და მის მომხრეებს იარაღი საბოლოოდ სრულიად არ დაუყრიათ. ამანულამ გააუქმა თავისი გადადგომა ტახტიდან, ის გამაგრდა ყანდაჰარში (ავღანისტანის პროვინცია ინდოეთის საზღვართან) და იწყო ძალების მობილიზაცია რეაქციონური ქაბულის წინააღმდეგ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მის მომხრეებს უერთდებიან ახალ ახალი ტომები და შეიარაღებული რაზმები. ამანულას ჯარები უკვე წარმატებით უტევენ ხაბიბულა ხანის (ბაჩა-საკაოს) ბანდიტურ რაზმებს და სასტიკად ამარცხებენ. ალაგ-ალაგ ისინი ქაბულს დაუახლოვდნენ.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას დიდად უწყობს ხელს ის გარემოება, რომ ქაბულში უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება ხაბიბულას რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ეკონომიურ კრიზისის გამო, რომელიც მოყვა რეაქციის გამეფებას (უპურობა ქაბულში, ვაჭრობის შეჩერება საბჭოთა კავშირთან მიმოსვლის შეწყვეტის გამო და სხვ.) ისე იმიტომაც, რომ ახალი ხელისუფალნი და მათი მფარველი ინგლისელები უხეშად ექცევიან ხალხს და აბუჩად იგდებენ მას.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ თავითვე ეხლანდელი ბრძოლის შედეგების გათვალისწინება, ინგლისი, ცხადია, ყოველ ზომას იხმარს, რომ თავისი გამარჯვება შეინარჩუნოს და განამტკიცოს. მაგრამ მდგომარეობა ისეთია, რომ სრულებით არ არის მოულოდნელი რეაქციის დამარცხება, თუ ამანულა ხანი და პროგრესიული წრეები საჭირო ენერგიას განავითარებენ და განვლილი ბრძოლის გაკვეთილებს გამოიყენებენ.

ყოველ შემთხვევაში, ეხლანდელი ამბები მოწმობენ, რომ ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის და ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობა მტკიცე და ხანგრძლივი ვერ იქნება, რომ დამოუკიდებელ და განახლებულ ავღანისტანისათვის ბრძოლა დღეს თუ არა, ახლო მომავალში გამარჯვებით დამთავრდება.

ვ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

ყოფილი ადამიანი გამარჯვებას ზეიმობს

მანგლისის რაიონში ყველა იცნობს თვითმპყრობელობის დროს ერთგულ სამსახურისათვის დიდათ დაჯილდოვებულ მაზრის უფროსს მირონოვს. არა ერთ გლეხსა და მუშას მოხვედრია მისი სუსხიანი მათრახი.

მირონოვმა 1921 წელში მოტყუების გზით, თითქოს საცდელ მინდვრის მოსაშენებლად მანგლისის ცენტრალურ ადგილას ჩაიგდო ხელში 1.200 კვ. საჟ. სამოსახლო მიწა, რომელზედაც თავისუფლად შეიძლებოდა ოთხი ღარიბი გლეხის დასახლება. ყოფილ გენერალ-გუბერნატორმა მანსვეტოვმა შესძლო 300 კვ. საჟ. სამოსახლო მიწის მისაკუთრება, რომელიც დღემდე გამოუყენებელი აქვს, რომ საქმე კარგათ გამოიძიონ, მირონოვები და მანსვეტოვები უთუოდ კიდევ მოიძებნებიან.

უკანასკნელად აღმასკომის და თემკომის მომუშავეებმა მიაქციეს ამ მოვლენას ყურადღება და აღძრეს საკითხი მირონოვისაგან მიწის ჩამორთმევის შესახებ. 1927 წ. 21 დეკემბერს მანგლისის აღმასკომს მიწის მზომლის მომართვის განხილვის შემდეგ გამოაქვს სათანადო დადგენილება მირონოვის შესახებ. აქედან იწყება ამ საქმის წალმა-უკუღმა ტრიალი..

23 დეკ. 1927 წ. თემაღმასკომი გზავნის ოქმის ამონაწერს მაზრის სადგილ-მამულო განყოფილებაში დასტურისათვის. ერთი თვის შემდეგ მანგლისის აღმასკომი ღებულობს შემდეგ პასუხს: „თბილისის აღმასკომის სადგილ-მამ. განყ. ამით გაცნობებთ სახელმძღვანელოთ და შესასრულებლად, რომ კომისიის და მანგლისის აღმასკომის დადგენილება მოქ. მირონოვისაგან ადგილის ჩამორთმევის შესახებ განყოფილების მიერ მიღებული და დამტკიცებულია“.

აღნიშნული დადგენილების შესრულებისა და მირონოვისეულ მიწის ღარიბ გლეხებზე გადაცემის დროს, აღმასკომი წააწყდა სასტიკ წინააღმდეგობას. აღმასკომი იძულებული ხდება უკვე სამი თვის შემდეგ, 21 აპრილს 1928 წ., მიმართოს რაიმილიციის უფროსს, რათა დადგენილება მირონოვის მიწის შესახებ ადმინისტრატიული წესით იქნეს შესრულებული.

მაგრამ მირონოვი რის მირონოვია, თუ ასე ადვილად დასთმო თავისი „უფლებები“. ის განცხადებით მიმართავს სადგილ-მამულო განყოფილებას, რათა შეჩერებულ იქნას „უკანონო“ განკარგულება და საქმე გადაეცეს სასამართლოს. 24 აპრილს თბილისის აღმასკომის სად.-მამ. განყოფ. წინადადებას აძლევს თემ აღმასკომს საქმე მიწის ჩამორთმევის შესახებ სასამართლოში გარჩევამდე შეაჩეროს.

მირონოვმა თავისუფლად ამოისუნთქა. მიმოწერამ კი დაიწყო ახალი წრით სვლა. 28 აპრილს თემ აღმასკომი სთხოვს რაიმილიციის უფროსს, შეაჩეროს მიწის ჩამორთმევა. 28 აპრილსვე აღმასკომი ეკითხება სასამართლოს, აქვს თუ არა მირონოვს საქმე შეტანილი სასამართლოში. 29 აპრილს სასამართლო იტყობინება, რომ მირონოვს არავითარი განცხადება სასამართლოში არ შეუტანია. გამოდის, რომ მირონოვს სადგილ-მამულო განყოფ. გაუცრუებია და განცხადება საქმის გაჭიანურების მიზნით პროკურატურაში შეუტანია.

ჩვენი ორგანიზაციებიც არ ზოგავენ ენერგიას. მიმოწერა დაიწყო ახალი გზით.

30 აპრილს საპროკურატურო განყოფილება სთხოვს თემ-აღმასკომს, აცნობოს მას რა წესით და ვისი დასტურით ერთმევა მიწა მირონოვს. 13 მაისს თემ-აღმასკომი საპროკურატურო განყ. აძლევს ვრცელ ახსნა-განმარტებას.

ამის შემდეგ გადის დრო და ფაქტიც. საქმე სასამართლოებში დატრიალდა. კიდევ აპრილდა მრავალი ფურცლები: აღმასკომიდან სასამართლოში, სასამართლოდან სადგილ-მამულო განყოფილებაში, ისევ სასამართლოში და ასე „ჯადოსნური“ წრით. ბოლოს, როგორც იყო, ჩამოჰკრა აღსასრულის ზარმა, სასამართლოსთან არსებულ სადგილ-მამულო კოლეგია ადგენს ჩამოერთვას მირონოვს მიწა. ეს დადგენილება დაადასტურა სამაზრო კოლეგიამ. საქმე გათავდა და ამოდენა შრომის შემდეგ ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. მემანქანე ულოცავდა აღმასკომის მდივანს, მდივანი თავმჯდომარეს, რომ ბოლოს მაინც სიმართლემ გაიმარჯვა. შეისვენეს კალმის წვერებმაც, საბეჭდი მანქანა მოითხოვდა გენერალურ რემონტს, ხოლო ღარიბი გლეხი, რომელსაც მირონოვისეული მიწა გადაეცა, შეუდგა საცხოვრებელი ქოხის აგებას. მაგრამ წუთიერი აღმოჩნდა ეს ზეიმი. მირონოვმა საქმე შეატრიალა და ისეთი ქახრაკით, რომ ყველამ ფარ ხმალი დაჰყარა მის წინაშე.

ერთი წლის შემდეგ, უკვე 1928 წელს 6 დეკემბერს, მირონოვს თბილისიდან მოაქვს მისი გამარჯვების მაუწყებელი დადგენილება და თავმჯდომარის მოადგილეს მედიდური სახით უკითხავს:.

მიწადმოქმედების კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭომ დაადგინა: რაიონულ სადგილ-მამულო სასამართლოს გადაწყვეტილება მირონოვისაგან მიწის ჩამორთმევის შესახებ გაუქმებულ იქნას. საქმე მოისპოს. მთელ ამ ისტორიაში საგულისხმოა ის, რომ მითვისებული მიწის ჩამორთმევა ჭიანურდება წელიწადზედ მეტი და ბოლოს მაინც „ყოფილ ადამიანის“ სასარგებლოდ თავდება. ამ საქმეზე წარმოებული მიმოწერა ერთ დიდ ტომ „ნაშრომს“ შეადგენს, ხოლო შედეგი ასეთი „დიდი“ შრომისა, ერთი კალმის მოსმით ქარწყლდება.

8 დეკემბერს გამართულ ღარიბთა ჯგუფების სათემო თათბირზე კატეგორიულად მოითხოვდნენ მირონოვებისა და მანსვეტოვების ალაგმვას და მიწსახკომთან არსებულ საბჭოს მიერ გამოტანილ ზემოდ აღნიშნულ დადგენილების გაუქმებას.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ მიწსახკომი აქ უთუოდ შეცდომაშია შეყვანილი ან შეიძლება მირონოვს იქ მოუნახავს „თავისი-კაცი“.

მრ. ბორდელაძე.

უთავბოლობა, დაუდევრობა და ბოროტმოქმედება

თბილისის მაუდის ქარხნის აღმშენებლობაში უკვე დახარჯულია ხარჯთაღრიცხვის ზევით ერთი მილიონი მანეთი—სამუშაოთა ხელმძღვანელები უგეგმოთ და იულბრილად აწარმოებენ აღმშენებლობას. — სამუშაოთა შესრულების [illegible]რული ვადა ქაღალდზე რჩება. საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს კვლევა-ძიება

თბილისის მაუდის ქარხნის აღმშენებლობას აწარმოებს სმუს ახალშენებათა სამმართველო.

საბოლოო ხარჯთ-აღრიცხვით მაუდის ქარხნის აგებისათვის გათვალისწინებული იყო 5.425.412 მან. ამ თანხაში შედის 1.420.000 მან. როგორც საბრუნავი თანხა პირველ ხანებში და სათანადო კვალიფიკაციური მუშების მოსამზადებელი ხარჯები. ამრიგად პირდაპირ აღმშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 4.005.412 მან.

ქარხნის აღმშენებლობის დასრულების ვადა უკვე გავიდა. ქარხანა დაახლოვებით დამთავრებული იქნება მიმდინარე წლის ზაფხულისათვის. მაგრამ მარტო კალენდარული წესის დარღვევაში როდია საქმე, მთავარი ისაა, რომ ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული თანხა თითქმის დახარჯულია. 4.005.412 მანეთიდან დახარჯულია უკვე 3.336.000 მანეთი. დარჩენილი კი არის მხოლოდ 650.000 მანეთამდე. ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შეუსრულებელ სამუშაოებისათვის საჭიროა დიდი თანხები. ასე, მაგალითად, წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობა დაჯდება 360.000 მან., საამშენებლო საქმეები 500.000 მან., ვენტილიაციის მოწყობა 400.000 მან., გათბობის საქმის მოწესრიგება 150.000 მან., ელექტრო-მექანიკური მოწყობილება 250.000 მან. და სხვადასხვა წვრილმანებს და ეზოს მოწესრიგებას დასჭირდება 100.000 მან..

ამ სამუშაოთა შესრულება აუცილებელია, რომ ქარხანამ იმუშაოს. ამ რიგად ჩვენ უკვე ვდგევართ ფაქტის წინაშე—დახარჯული უნდა იქნეს ერთი მილიონი მანეთი ხარჯთაღრიცხვის ზევით.

ადვილი შესაძლებელია, რომ გამოჩნდება ხარჯები, რომელიც ამ ერთ მილიონ მანეთს კიდევ უფრო გაადიდებს.

ასეთი არანორმალობის ნამდვილი მიზეზები უნდა ვეძიოთ უგეგმო მუშაობაში, ცალკე მუშაობის მწარმოებელთა დაუდევრობაში და უყაირათობაში.

მოვიყვანთ მაგალითებსაც.

მუშაობის მწარმოებელს არა აქვს სწორად შედგენილი გეგმები და თუ აქვს, ისინი შეუმოწმებელი და დაუმტკიცებელია. ასეთი გეგმებით მუშაობა იწვევს იმას, რაც მოხდა ქარხნის კაპიტალური კედლის ამოყვანის დროს. კედელი მთელი 100 მეტრის მანძილზე დანგრეულ იქნა და ხელახლა იქნა გაკეთებული. სამუშაოთა მწარმოებელს უხდება საფუძვლების ჩაყრის დროს რამდენიმე ვარიანტით ხელმძღვანელობა, ეს იმიტომ, რომ არ არის გარკვეული გეგმა. ახალ შენებათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი ხან წერილობით და ხან ტელეფონის საშუალებით იძლევა განკარგულებებს ვარიანტის შესახებ. რაც იწვევს ზედმეტ არევ-დარევას საქმეში.

დაუდევრობას ჰქონდა ადგილი მუშაობათა მწარმოებლების მხრივ. მაუდის ქარხანამ გამოიცვალა მუშაობის 4 მწარმოებელი. თვითეულმა ცალ-ცალკე საკმაო ზარალი მიაყენა ქარხნის აღმშენებლობას. მაგალითად, მუშაობის მწარმოებელმა ინჟ. პოპოვმა, რომელიც განაგებდა ქარხნის აღმშენებლობას 1927 წ. 1 ოქტომბრიდან 1928 წ. თებერვლამდე, ე. ი. 4 თვის განმავლობაში, აზარალა ქარხანას 15.000 მანეთი. მან სამუშაოები გადასცა კერძო მოიჯარადრეებს და ისეთ არტელებს, რომლებიც წარმოშობისთანავე გაქრენ.

უყაირათობა ქარხანაში საერთო სენი იყო ყველა პასუხის მგებელ პირებისა. არავინ აქცევდა ყურადღებას მომჭირნეობას. ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი საჭიროზე ბევრად მეტი იყო. ქარხნის ეზოში უთავბოლოდ ეყარა მრავალი საამშენებლო მასალა, რომელიც მოუვლელობით ფუჭდებოდა და იკარგებოდა. რკინის გზის ვაგონები, რომლითაც ქარხანას მოსდიოდა მასალა, თავის დროზე არ იცლებოდა და იხდიდენ გაჩერების ფულს. მოტანილი უცხოეთის მანქანები უპატრონოდ ეყარა ტალახში.

ქარხნის ადმინისტრაცია და ახალშენებათა სამმართველო არ აქცევენ ყურადღებას პირობის შესრულებას. მთავარ სამუშაოს ასრულებს საქკირო საზ-ბა „სამშენი“, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად ქარხნის მთელი შენობების მინების ჩაყენება უნდა დაესრულებია დეკემბრის დამლევამდე. „სამშენმა“ პირობა არ შეასრულა და პასუხის მომთხოვიც არავინ არის. „სამშენთან“ დადებულ პირობაში არ არის გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების ვადა, არ არის ჯარიმა პირობის არშესრულებისათვის და სხვა.

რამდენიმე სიტყვა „ზაკგოსტორგ“-ის შესახებ, რომელიც აბარებს ქარხანას საიმპორტო მანქანებს. ყუთები, რომელშიაც მოთავსებულია გამოგზავნილი მანქანები, გზაში ხშირად იმტვრევა და მანქანებიც ზიანდება.

ისე როგორც „სამშენ“-თან, არც „ზაკგოსტორგ“-თან ამ შემთხვევაში ახალშენებათა სამმართველოს არავითარი საგარანტიო პირობა არა აქვს დადებული.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და სმუს სარევიზიო განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს თუ რამ გამოიწვია 1.000.000 მან. გადახარჯვა. აქ დაუდევრობას გარდა ბოროტ-მოქმედებასაც აქვს ადგილი, რაც გამოურკვეველი ვერ დარჩება. დამნაშავენი უნდა იქნენ მიცემული სასტიკ პასუხის[illegible]

ნიკ.

თავისებური რაციონალიზაცია

(ზემო-სვანეთი)

რაციონალიზაცია, როგორც მოგეხსენებათ, მეტად სასარგებლო საქმეა. კარგია ის ჩვენი დაწესებულების მუშაობაშიც. რაციონალიზაცია ბიუროკრატიზმის მტერია, ამიტომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ აპარატის მუშაობაში. ჩვენ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ ამ ღონისძიებების ჩატარებაზე, ითხზება გეგმები რაციონალიზაციის განსახორციელებლად, იწერება პროექტები და ესკიზები, ერთი სიტყვით გაცხოველებული სამზადისია. საქმე კი ერთ ადგილას დგას. მიღწევები არც იმდენია, რამდენიც ფუსფუსი და ხმაურობა.

ამავე დროს რაციონალიზაციის საქმე იჩარხება იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებ მოველოდით. საკითხი მარტივად და მოკლედ სწყდება. ყოველივე გენიალური მარტივია. ასევე მარტივად მოაწესრიგა მიწერ-მოწერის საქმე ზემო სვანეთის მაზრაღმასკომის კანცელარიამ.

ერთ დღეს მოხდა ასეთი უცნაური ამბავი: ზემო-სვანეთის სატყეომ, რომელიც მოთავსებულია სოფელ ჯვარში (ზუგდიდის მ.), მიიღო მიწადმოქმედების კომისარიატის სატყეო სამმართველოდან 27 მიწერილობა. ყველაზე ნაადრევ მიწერილობას ამ 27 ქაღალდიდან აქვს 1928 წლის 17 აგვისტოს თარიღი, ხოლო ყველაზე უფრო გვიან შედგენილს—ამავე წლის 29 სექტემბრის თარიღით. ამრიგად თვენახევრის განმავლობაში შეკრებილი მიწერილობანი ერთბაშად მიიღო ზემო-სვანეთის სატყეომ. როგორ მოხდა ეს? რა აზრი აქვს ასეთი წესით მიწერ-მოწერის წარმოებას?

მართალია, ეს ყოვლად დაუშვებელი დაუდევრობა საქმისათვის მეტად საზარალოა, მაგრამ საქმეც არის და საქმეც. მიწადმოქმედების სატყეო სამმართველოს და ზემო-სვანეთის სატყეოს საქმეები თავის საქმეთ არ მიაჩნია ზემო-სვანეთის აღმასკომის ჩინოვნიკს, რომელსაც ევალება თბილისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციის გადაგზავნა ს. ჯვარში სატყეოს სახელზე. თვითონ გასინჯეთ, 27 მიწერილობას 27-ჯერ უნდოდა რეგისტრაციაში გატარება, 27-ჯერ ჩასვლა-ამოსვლა სოფელ ჯვარში. გაცილებით უკეთესი არაა წერილების ერთად დაგროვება და 27-ჯერ თავის შეწუხების ნაცვლად ერთჯერ გარჯა?

რა გეჩქარება, თავზე არ გვაწვიმს, დღეს თუ არა—ხვალ გაკეთდება საქმე. აგვისტო და სექტემბერიც ხომ ორივე ერთი და იმავე წლის თვეებია! ასეთია ზემო-სვანეთის მაზრაღმასკომის ორიგინალურ რაციონალიზაციის თეორეტიული საფუძველი. ყოველივე სასარგებლო აზრის დაყვანა შეიძლება აბსურდამდეო, იტყვიან ხშირად ზოგიერთები. ზემო-სვანეთის შემთხვევა იმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, თუ რა უმზგავსობამდე მიიყვანა რაციონალიზაციის თავისებურად გაგებამ მაზრაღმასკომის მუშაკი. ის შეიძლება ვერც ამჩნევს ამ უბედურებას, მაგრამ ერთი ზემო-სვანეთის სატყეოსაც ჰკითხეთ!

ალე.

ვინ გაიტაცა კედლის გაზეთი?

(დ. ჩოხატაური, გურია)

მუშკორების დევნა საკმაოდ გავრცელებული და ნაცნობი სენია. არის მუშკორის დევნის მრავალი ფორმა. მათ შორის მეტად საგულისხმოა ის, რაც ამ უკანასკნელად მოხდა დაბა ჩოხატაურში.

ცენტრალურ სამკითხველომ გამოსცა კედლის გაზეთის მორიგი ნომერი. გაზეთის ეს ნომერი ერთობ შინაარსიანი და სუსხიანი კრიტიკული მასალებით იყო სავსე. მან ბუნებრივად მიიპყრო დაბის მოწინავე მოსახლეობის ყურადღება. მით უფრო „საყურადღებო“ აღმოჩნდა კედლის გაზეთის ეს ნომერი იმათთვის, ვისაც შეეხებოდა გაზეთში მოყვანილი კრიტიკული კორესპონდენციები. და აი, მოხდა ის, რაც ხშირად ზღაპარში გაგვიგონია: იყო და აღარ არის კედლის გაზეთი. სად გაჰქრა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ—არავინ უწყის. დარბიან ობლად დარჩენილი სარედაქციო კოლეგიის წევრები და ეძებენ გაზეთს, მაგრამ მისი კვალი არსად სჩანს. უკეთ რომ ვთქვათ, კვალის პოვნა ადვილია, მაგრამ მისი მიმყოლი და ენერგიული მძებნელი არსად არის.

ბოროტმოქმედის კვალის აღმოსაჩენად საუკეთესო მასალას წარმოადგენს თვით გაზეთში დაბეჭდილი მამხილებელი მასალა. ასე მაგალითად, ჩოხატაურის კედლის გაზეთი მოუთხრობდა თავის მკითხველებს მოხდენილი კარიკატურებითა და მოსწრებული ირონიით იმ თავაწყვეტილ ხულიგნობის შესახებ, რომელსაც სისტემატიურად სჩადიან გაუსწორებელი ივანე მეგრელიშვილი და თეკლე ბენდელიანი. გაზეთმა გამოამჟღავნა ჩოხატაურის მეეტლეების ცნობილი გაუმაძღრობა და ოინბაზობა, მათი ქცევები გლეხკომის ავტომობილის წინააღმდეგ. უყურადღებოდ არ იყო დატოვებული სოფელ ზემოფარცხმის სამკითხველოს გამგე, რომელმაც თავის დაუდევრობით სამკითხველო სალორედ გადააქცია. კრიტიკის წნელი მოხვდა ფოსტა-ტელეგრაფის ჩოხატაურის განყოფილებასაც, რომელიც ცნობილია დაუდევრობით და კერძოდ ჟურნალ-გაზეთების მიწოდების დაგვიანებით. კედლის გაზეთს „გულნატკენად“ არ დაუტოვებია ადგილობრივი მცხოვრები არტემ ჩიგოგიძე, რომელმაც თავი ისახელა კორესპონდენტთა ლანძღვა-გინებით. გაზეთში მოთავსებული იყო აგრეთვე შენიშვნა ჩოხატაურის გლეხკომის მეურმეთა არტელის უწესო მუშაობის შესახებ და სხ.

როგორც ხედავთ, ნომერი მეტად შინაარსიანი და საქმიანი იყო. ამიტომ გასაგებია, რომ კედლის გაზეთის ახალი ნომრის გამოსვლამ აალაპარაკა მთელი ჩოხატაურის თემი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. და აი, გაზეთის ასეთ შინაარსიან ნომერს იტაცებს უხილავი ხელი. დიდი გულთმისნობა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ძებნის პრაქტიკა არაა საჭირო იმისათვის, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ მამხილებელ კორესპონდენციების შემდეგ მიაგნო ბოროტმოქმედების კვალს და თვით ბოროტმოქმედების ჩამდენსაც.

ეს არც თუ ისე უბრალო საკითხია, როგორც შეიძლება ზოგიერთებს მოეჩვენოს. ნაბეჭდი გაზეთის მხილებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი საქმეა, ნაბეჭდი გაზეთი ათასობით ვრცელდება, გაზეთის ყველა ეგზემპლიარებს ვერ შეაგროვებ, ყველას ვერ გააქრობ, ამიტომ მთელი რისხვა ასეთ შემთხვევაში თავს ატყდება კორესპონდენციის ავტორებს. სულ სხვაა კედლის გაზეთი. აქ კორესპონდენციის ავტორის ძებნა იმდენად საჭიროც არ არის. აიღე და გაიტაცე მთელი გაზეთი! ამ ხერხს ხშირად მიმართავენ კედლის გაზეთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩოხატაურის მაგალითი ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია. ადგილობრივ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად და სამაგალითოდ უნდა დასაჯონ ის. სწორედ ასეთ კონკრეტულ და საჭირბოროტო საკითხებში უნდა ცხადვყოთ ჩვენ, რომ ენერგიულად მართლაც ვიბრძვით მასიური თვითკრიტიკის განვითარებისათვის.

ჩოხატაურის კედლის გაზეთის გამტაცებელი უნდა მოიძებნოს!

ფარცხმელი.

ქურდი ქურდზე ზის, ქურდითვე მიერეკება

(ქუთაისი)

ქუთაისის ბარიტის, ძაფ-საღებ და კირის ქარხნის შენობათა აგება ხარჯთ აღრიცხვის გათვალისწინებით უნდა დამჯდარიყო 1.300.000 მანეთამდე, მაგრამ ის, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, უკვე დაჯდა ორი მილიონ მანეთამდე.

რატომ ხდება ეს? აღმშენებლების მთავარ როლებში ჩვენ ვხედავთ ძველ ოფიცრებს, ყოფილ თავად-აზნაურთა ტიპებს, რომლებიც სახაზინო ფულებს გულუხვად იწილებენ და ოფიციალურად ატარებენ საბუთებში.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ინჟინერ გაუსმანმა გასწია უკანონო ხარჯები, რომელიც სახელმწიფო კონტროლმა თვით მას დააკისრა გადასახდელად. ეს თანხა უდრის 2.654 მანეთს.

ინჟინერ შენგელიძეს ასეთივე წესით დაედვა გადასახდელად 2.015 მანეთი, სამხალო ნაწილის გამგეს ნაზაროვს —2.517 მანეთი, კანტორის მართველს ყოფილ პოლკოვნიკს ქუთელიას—1.452 მანეთი, ბუხჰალტერ სირიძეს —1.501 მანეთი, მოანგარიშე იოსელიანს—987 მანეთი, მოანგარიშე მოსეშვილს—1.014 მ., მოლარე ნიჟარაძეს—2.520 მან., ბუხჰალტერის თანაშემწეს პატარიძეს—1.470 მანეთი, ლენინგრადიდან მოწვეულ გაუსმანის ძმა ბიჭებს: პეტუხოვს 2.249 მანეთი, ზაიცევს 3.597 მ., ერშოვს 1.424 მანეთი, კორპუშინს 476 მანეთი, გლაზუნოვს 1.956 მანეთი, ვასილიევს 1.424 მანეთი ახალ ბუხჰალტერს მაისურაძეს 400 მანეთი.

დანარჩენ წვრილმანებს თავი დავანებოთ. მაგალითად, ბევრია ისეთი თანამშრომელი, რომელსაც აქვს 100—300 მანეთამდე დავალიანება. საყურადღებოა სამხალო აგენტის კაკაბაძის მოქმედება: ქუთაისიდან მოწამეთა—გელათი, მოგზაურობისთვის ის იღებს დღიურებს. კაკაბაძეს აქვს წარმოების 300 მანეთამდე ვალი. ალბად ამ ვალის დასაფარავად თუ იღებდა ასე უკანონო დღიურებს.

კანტორა და ბუხჰალტერია, თითქოს უპატრონოთ იყო მიტოვებული. ერთი აქტიდან, რომელზედაც ხელს აწერს ბუხჰალტერის თანაშემწე პატარიძე და ორიოდე მოანგარიშე, სჩანს თითქოს საწყობში მიღებულია 900 ცალი აგური. სინამდვილეში ეს აგური საწყობში არ შესულა, არამედ სახლში წაიღო ინჟინერ შენგელიძემ.

როგორც სჩანს, კომბინაციების მთავარი დირიჟორი იყო სამხალო ნაწილის გამგე იურისტი ნაზაროვი, რომელიც თვეში იღებდა 275 მანეთს და თან „ნაგრუზკათ“ ასეული მანეთები მოჰქონდა იურისტ-კონსულტის მოვალეობის ასრულებისათვის.

აღმშენებლობას სჭირდებოდა 275.000 ცალი აგური. გაუსმანი და ნაზაროვი სდებენ შინაურულ ხელშეკრულებას ვაჭარ-მოიჯარადრე ვარდანაშვილთან და აძლევენ 1.000 ცალ აგურში 50 მანეთს, როდესაც ბაზრის ფასები 35 მანეთს უდრის.

აგური ბუხჰალტერიამ ჩასწერა შემოსავალში და ფულიც ვარდანაშვილს ჩაუჩხრიალეს. მიღების აქტზე კი ხელს არ აწერს საწყობი, რადგან აგური არ შემოსულა. სახელმწიფო დოვლათით გამდიდრდა ვარდანაშვილი და სხვა კომბინატორები.

თანამშრომლები გამოიწერდნენ ავანსს ჯამაგირის მიღების წინა დოის, რათა მეორე დღეს არ დაეკავებიათ მათთვის დავალიანება. ამ რიგად დღესაც ირიცხება თანამშრომლებზე ავანსის სახით 3.000 მანეთამდე.

ანგარიშვალდებულ პირებზე კი ირიცხება 5.000 მანეთზე მეტი. მრავალი ბოროტმოქმედებაა ჩადენილი. ჩვენ გვაეჭვებს: ვაი, თუ კიდევ შეაგვიანდეს მათ დასჯას და მათ ქუთაისის ფართო ქუჩებზე ჩვეულებრივად თავისუფლად ისეირონ.

რჩინა.

გაპარტახებული ქარხანა

(თბილისი)

თბილისში სწარმოებს გაცხოველებული საბინაო აღმშენებლობა, რაც ბუნებრივად ბადებს დიდ მოთხოვნილებას საამშენებლო აგურზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თბილისში არსებული თითქმის ყველა აგურის ქარხნები ამუშავებულია; მაგრამ დაუშვებელ შეცდომასა და დაუდევრობას აქაცა აქვს ადგილი. მოვიყვანოთ საამისო მაგალითი:

პირველი უბნის განაპირა ადგილას—სახელდობრ: ყიზლიარის შესახვევის თავში მდებარე აგურის ქარხანა, რომელიც 1925 წლამდე მუშაობდა, ეკუთვნოდა კერძო პირს—აბდულაჰ გეიდარ-ოღლის. 1925 წლიდან მას ქარხანა ჩამოერთვა და გადაეცა აღმასკომს.

უნდა გვეფიქრა, რომ აღმასკომი ქარხნის მუშაობას გააფართოებდა და აგურის წარმოებას რაციონალურად დააყენებდა. მაგრამ ქარხნის აღმასკომის ხელში გადასვლის შემდეგ მუშაობა აქ შეჩერდა სავსებით, რის შემდეგაც იწყება ქარხნის შენობის გაპარტახება: სახურავის გაფუჭება, კედლების ნგრევა, სახურავის ფიცრების დატაცება. ქარხანა იქცევა ბოსლად. მაგრამ ეს კიდევ არაფერი! საამხანაგო არტელმა, რომელიც ამუშავებს ვერის ახალ სასაფლაოსთან მდებარე აგურის ქარხანას, მოინდომა აღნიშნული ქარხნის ამუშავება. ამისათვის მან მიზნად დაისახა უპირველეს ყოვლისა — ქარხნისათვის სახურავი გამოეცვალა. დაიწყო ძველი სახურავის გადახდა, მაგრამ სახურავის $^{3}/_{4}$-ის გადახდის შემდეგ მუშაობა შეაჩერა—და მას შემდეგ უკვე 8—9 თვეა რაც ქარხანა, სახურავ გადახდილი უმოწყალოდ ინგრევა-ნადგურდება და ყურადღებას კი არავინ აქცევს, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არტელის მიერ ქარხნის ასეთ მდგომარეობაში მიტოვება დაუშვებელი ბოროტმოქმედებაა, ხოლო ქარხნის—საბჭოთა სახელმწიფოს ქონებისადმი ასეთი უყურადღებობა — ქალაქის აღმასკომისა და მისი განყოფილების—აგურის ქარხნების სამმართველოს მიუტევებელ დაუდევრობის ნიმუშია.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სათანადო ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ამ არანორმალურ მდგომარეობას და შესაფერის ზომებს მიიღებენ, როგორც ქარხნის აღსადგენად, ისე დამნაშავეთა დასასჯელად.

ირაკლი აბესალაშვილი.

კაცი პარტბილეთით

ანუ

დეკანოზის, კულაკის და კომუნისტის კავშირი

იმისათვის, რომ პარტიის ხაზი ყველგან და ყოველთვის მტკიცედ ტარდებოდეს, საჭიროა თვითეული პარტიული ორგანიზაცია, ყოველი კომუნისტი თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. არ კმარა მარტო რიხიანი სიტყვები და ოფიციალური პარტიულობა, კომუნისტი თავის პირად ცხოვრებაში, თავის შინაურულ ყოველდღიურობაში მუდამ და ყოველთვის კომუნისტი უნდა იყვეს. ასეთია ეს მოვალეობა, რომელსაც აკისრებს პარტიის თვითეულ წევრს ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი ტრადიცია და მუშაობის პრაქტიკა.

ჩვენ ვიცით, რომ ყველას არ შესწევს ღონე იყვეს მტკიცე კომუნისტი, ზოგიერთები უკან იხევენ, ხასიათის სისუსტის, ნათესაური გრძნობით თუ სხვა მიზეზით ისინი ვერ უძლებენ წვრილბურჟუაზიულ, მეშჩანურ ტალღის ჩვეულებრივ შემოტევასაც კი და ყურებამდე ეშვებიან ანტიპარტიულობის ჭაობში. სწორედ ამიტომ არის,, რომ პარტია დროგამოშვებით ამოწმებს თავის რიგებს. ერთ-ერთი ასეთი მორიგი თვითშემოწმება მოხდება უახლოესი ხნის განმავლობაში. გადაგვარებულები, მერყევი ელემენტები, პარტიისათვის ჩირქის მომცხებნი — უნდა ჩამოშორებულ იქნან ლენინური რაზმებიდან. ჩვენი პარტია პროლეტარიატის ავანგარდია, ჩვენი პარტია დიდათ აფასებს თავის მორალურ ავტორიტეტს და მუდამ იმაზე ზრუნავს, რომ გააძლიეროს საკუთარი რიგების რევოლუციონური გამობრძმედა.

სჩანს, პარტიის ყველა წევრისათვის ყველა ეს თავისთავად მარტივი და უდაო ჭეშმარიტება გასაგები არაა. ასეთ კომუნისტების რიცხვს ეკუთვნის ვინმე გაბრიელ დავითის ძე ლეშკაშელი, კაცი განათლებული, ცენტრში მომუშავე, „კაი ოჯახის“ შვილი და სხვა ასეთი ღირსებით დაჯილდოვებული. ასეთ კაცს ყოველგვარი სახის კომბინატორები და გაქნილი ელემენტები, როგორც ბუზი თაფლს, ისე ეხვევა. განსაკუთრებით ბევრი მუშტარი გაუჩნდება მას, თუ ის სასიძოა. გ. ლეშკაშელი სწორედ ამ ბედნიერი კაცის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან იცის ხაჭაპურისა და ცივი მჭადის გემოც, ლეშკაშელი სიცივეს, სითბოს ამჯობინებს. ამიტომ არჩევანი მაინცა და მაინც არ გაძნელებია. ადგა და მოყვრული კავშირი გაება შეძლებულ ოჯახთან, ლეჩხუმის მაზრაში საყოველთაოდ ცნობილ მეფის პროვოკატორ, ჯალათ დეკანოზ ივანე მარგიანთან.

მღვდელ მარგიანის ჯაშუშობამ შეიწირა ლეჩხუმის მრავალი რევოლიუციონერი, მათ შორის შამშე გელოვანი და ზურაბიანი. მარგიანის მითითებით სასიკვდილოდ სცემეს მეფის ჯალათებმა რევოლიუციონერ პაროდი ჩაკვეტაძეს. დეკანოზ ივ. მარგიანის პროვოკაციით დაღუპულ - დაზარალებულთა ჩამოთვლა შეუძლებელია. გლეხობაც იცნობს მას, დეკანოზი ივანე მარგიანი ჯაშუშისა და შავრაზმელის სინონიმია მთელ რაიონში. და აი, ასეთ კაცს ესიძება კომუნისტი გაბრიელ ლეშკაშელი.

რომ ლეშკაშელი მხოლოდ ფორმალურად დამოყვრებოდა პროვოკატორის ოჯახს, ფაქტიურად კი ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა მასთან, თავის ცოლთან, ერთად განშორებოდა ივანე მარგიანს. ეს დანაშაულს კიდევ შეამსუბუქებდა. არა, ლეშკაშელი, როგორც თავმომწონე და სახელიანი სიძე, როგორც მოყვარისათვის თავდადებული კაცი, იშვიათ მფარველობას უწევს ძველ პროვოკატორს. ამის დამამტკიცებელ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა:

რაღაც გაუგებრობით და ვიღაცას გავლენიანი ხელის დახმარებით ჯაშუში „ბლალოჩინი“ მარგიანი მოეწყო სახალხო განათლების ინსპექტორად ზემო-სვანეთში. მამამ არ დაივიწყა საკუთარი ქალიშვილი თამარ მარგიანი და ისიც ზემო-სვანეთში მოაწყო მასწავლებლად. ამის შემდეგ მარგიანები ინათლებიან ზემო-სვანებათ და საბჭოთა მოსამსახურეებათ. მალე ჭამაში მოდის. მარგიანის ქალიშვილი კომკავშირშიც შედის. აქედან გამოჭქნილი ძველი დეკანოზი შესაფერ პრაქტიკულ დასკვნას აკეთებს. გაიარა ცოტა ხანმა და თამარ მარგიანი მიეშურება თბილისისაკენ სიძე—თვალის სინათლესთან. მას განზრახვა აქვს უნივერსიტეტში შევიდეს. „ზემო-სვანი“, ისიც ქალი, კომკავშირის წევრი, აბა ვინ ჰკრავდა მას გულზე ხელს, ვინ ეტყოდა უარს უნივერსიტეტში მიღებაზე? თამარ მარგიანს დიდი მოწიწებით ღებულობენ სტუდენტათ, თან მეტი წახალისებისათვის სტიპენდიასაც კი უნიშნავენ სახელმწიფოს ხარჯზე.

მაგრამ ძნელი იყო ბოროტმოქმედების დაფარვა ივანე მარგიანისათვის. მას ჭრელ გოჭივით ყველა იცნობდა ლეჩხუმში. რამდენი კომკავშირელი ღარიბი სტუდენტი სიმშილში და სიცივეში სწავლობს, რამდენი უადგილობის გამო, უნივერსიტეტის გარეთაც დარჩა. აქ კი პროვოკატორის, კულაკ მარგიანის ქალი უნივერსიტეტშიაც მიიღეს და სტიპენდიის ღირსიც გახადეს.. ამის შესახებ გაიგო უნივერსიტეტის სათანადო ორგანიზაციამ. დაისვა საკითხი მარგიანისათვის სტიპენდიის გაცემის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ აქ უკვე დაფაცურდა სიძე გ. ლეშკაშელი. ის მსახურობს ტეხნიკურ მუშაკთა ცაკში. რატომ არ უნდა გამოიყენოს ასეთ დროს ავტორიტეტულ დაწესებულების სახელი და პარტიული ბილეთი?

და აი, ლეშკაშელი ცაკის საორგანიზაციო განყოფილების ბლანკზე სწერს უნივერსიტეტის საყურადღებოდ შემდეგ ცნობას:

„თამარ მარგიანის შესახებ, რომელიც სტუდენტი სტიპენდიანტია, შემიძლია შემდეგი დახასიათების მიცემა. ის ცაგერის ცხრაწლედის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ზემო - სვანეთში (არის ზემო სვანი), საიდანაც მოვლინებულ იქნა, როგორც ღარიბი..,

მისი ოჯახური მდგომარეობა დღეს-დღეობით (!) მეტად მძიმეა. მამა უმუშევრად ყავს, არსაიდან შემოსავალი არა აქვს, მიწა-წყალს არ ამუშავებენ, ყიდულობენ სიმინდს და ლობიოს მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ცხოვრობენ და ის ცნობა, რომელიც თქვენ მიგიღიათ, ჩემი აზრით, მოკლებულია სინამდვილეს და მისი სტიპენდიის მოხსნა იქნება უკანონო. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თამარ მარგიანს, როგორც კომკავშირელს და ღარიბი ოჯახის შვილს, აღუდგენთ სტიპენდიას.

პარტიის წევრი გ. ლეშკაშელი.

14 ნოემბერი, 1928 წელი.

იქნებ ლეშკაშელი მართალია, იქნებ ივანე მარგიანი თუ წარსულში არა, „დღეს-დღეობით“ მაინც ღარიბი და ლატაკი კაცია. თუმცა არც ამ შემთხვევაში შეიძლება დასაშვებად ჩათვალოს, რომ პროვოკატორის შვილს სახელმწიფომ სტიპენდია დაუნიშნოს, მაშინ, როცა მარგიანის გვერდით მცხოვრები, მარგიანის მიერ წარსულში არა-ერთხელ განაწამებ გლეხების შვილები ან უნივერსიტეტის გარედ დაიჩეტებოდნენ ან მშიერ - მწყურვალნი მეცადინეობდნენ. უბედურება იმაშია, რომ ლეშკაშელი ურცხვად სტყუის თავიდან ბოლომდე. ივანე მარგიანის დღევანდელ მატერიალურ მდგომარეობის შესახებ ყველაზე უკეთ მოწმობს მაზრის საფინანსო განყოფილების ცნობა:

„მცხოვრებს სოფ. ცაგერში, ივანე გიორგის ძე მარგიანს 1928-29 წლის სასოფლო - სამეურნეო გადასახადი შეწერილი აქვს 67 მან. და 27 კაპეიკის რაოდენობით“. ასეთ ცნობას იძლევა საფინანსო განყოფილება.

ამნაირი გადასახადი ლეჩხუმის პირობებში საკმაოდ ნათელს ხდის, თუ რამდენად ძლიერია დაბეგრილი მეურნეობა. ლეშკაშელის მოწმობით კი გამოდის, რომ ცაგერის მუდმივი მცხოვრები და ამავე დროს „ზემო სვანი“ მარგიანი მოკლებულია ყოველგვარ შემოსავალს, „მისი ოჯახური მდგომარეობა მეტად მძიმეა“. თუ ასეთ უმწეო და ყოველ შემოსავალს მოკლებულ მეურნეობას ჩვენი საფინანსო ორგანოები 67 მანეთს აწერენ გადასახადს, დღესვე დასაშლელი ყოფილა ლეჩხუმის მაზრის საფინანსო განყოფილება.

სინამდვილეში ეს ასე არ არის. ეს ასე არ არის თვით ლეშკაშელის მეურნეობის დახასიათების დროსაც. ლეჩხუმის მაზრის საფინანსო განყოფილების ოფიციალური ცნობით „კომუნისტ“ გ. ლეშკაშელის მეურნეობა მუდმივად „სარგებლობს დაქირავებული მუშა-ხელით“, ეს მეურნეობა განსაკუთრებით განირჩევა თავის სიმძლავრით დანარჩენ მეურნეობებისაგან და მიტომ ლეშკაშელის მეურნეობას სასოფლო - სამეურნეო გადასახადი შეწერილი აქვს ინდივიდუალური ბეგარის სახით 474 მანეთისა და 45 კაპეიკის რაოდენობით.

ამ ოფიციალური ცნობების შემდეგ ყველაფერი გასაგებია. გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ, საიდან შეძვრა პარტიის რიგებში ასეთი ელემენტი? ადვილი წარმოსადგენია, რა აზრი იქმნებოდა მთელი წლების განმავლობაში კომუნისტურ პარტიაზე მშრომელი მოსახლეობის იმ ჩამორჩენილი ელემენტების შორის, რომელნიც იცნობდნენ და იცნობენ გ. ლეშკაშელის ასავალ-დასავალს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე, როცა ლეჩხუმის ორგანიზაციამ გაიგო, რომ თბილისში მცხოვრები გ. ლეშკაშელი პარტიაში შედიოდა, პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ. მაგრამ ეს პროტესტი დარჩა ხმად მღაღადებლისა...

ლეშკაშელმა შესძლო პარტიაში შეძრომა.

ეს შეცდომა ახლა მაინც უნდა გამოსწორდეს. ლეშკაშელის მაგალითი ერთხელ კიდევ მოწმობს, რამდენად დროული და მიზანშეწონილია პარტიის რიგების მორიგი თვითშემოწმება.

ვ. ბეშიძე.

12 ათასი მანეთი უსაყოფოდ დაიკარგა

(ხეთა, ზუგდიდის მაზ.)

ხეთის თემის მშრომელი გლეხობის დიდი ხნის სურვილი იყო, რომ ამ თემს ქონოდა საკუთარი სახალხო სახლი.

თემში აღმოჩნდა ამ საქმის ინიციატორები. სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების შემოწირულების სახით აკრეფილ იქნა 12 ათასი მანეთი. ამის შემდეგ გლეხებმა აირჩია საამშენებლო კომისია. შედგენილი იქნა გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვითაც შენობა უნდა დამჯდარიყო 9.700 მანეთი. საამშენებლო კომისია არ დასჯერდა ამას და შეადგინა ისეთი გეგმა, რომ სახლის აშენება დაჯდებოდა 38 ათასი მანეთი.

კომისიას იმედი ქონდა, რომ კიდევ შეკრეფდა ფულს. სახლის აშენების საქმე იჯარით გაიცა, ვინმე ჯალალონიაზე, რომელმაც საძირკვლის ჩაყრის შემდეგ მიატოვა მუშაობა და სადღაც გაიქცა. საძირკველი ინგრევა თანდათანობით. საამშენებლო კომისია ყურადღებას არ აქცევს ამას.

ჯალალონიას მითვისებული აქვს 5.000 მან.-დე. ამას გარდა არსად სჩანს 700 მანეთის გასამართლებელი საბუთები. კომისიას მუშაობა უწარმოებია სრულიად უგეგმოთ.

ასეთ მდგომარეობაშია ხეთის სახ. სახლის აშენების საქმე 5.700 მანეთი მოიჯარადრემ და საამშენებლო კომისიამ გაფლანგა. რაც შეეხება დაწყებულ შენობას, ისიცა ნადგურდება. საჭიროა გამორკვეულ იქნეს საამშენებლო კომისიის მუშაობა და დამნაშავე პირს მოეთხოვოს პასუხი.

კარ. ნარი.

ბოროტმოქმედის დაწინაურება

(თბილისი)

თბილისის წყალსადენის მთავარ ბუხჰალტრად მსახურებდა „სპეცი“ მოქ. კორძაია, რომელიც დიდი მადის პატრონი აღმოჩნდა.

მან არ იკმარა ჯამაგირი 300 მან. რომელიც იგი თვიურად ღებულობდა წყალსადენიდან და მიმართა სხვა ხრიკებსაც. წყალსადენთან არსებობდა ახალი (ნატახტარის) წყალსადენის სამმართველო, რომლის საანგარიშო საქმეებსაც ხელმძღვანელობდა კორძაია, როგორც წყალსადენის მთავარი ბუხჰალტერი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მუშაობა შეადგენდა მის პირდაპირ მოვალეობას, კორძაიამ მოახერხა ამისთვის დამატებითი ჯილდოს მიღება 300 მან რაოდენობით. ამის შემდეგ მას მადა უფრო გაეხსნა.

1927 წლიდან ნატახტარის ახალი წყალსადენის საანგარიშო საქმეები გამოყოფილ იქნა. იქ დაინიშნა დამოუკიდებლად მომუშავე სხვა ბუხჰალტერი.

1928 წლის იენისში კორძაია ახერხებს დამატებით ჯილდოს — 800 მანეთის მიღებას, თითქოს ნატახტარის ბუხჰალტერიის ხელმძღვანელობისათვის. ფაქტიურად კი მას ნატახტარის ბუხჰალტერიაში არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. ამის გამო აღმასკომის პრეზიდიუმმა მას დააწერა გადასახდელად 800 მან.. მაგრამ პრეზიდიუმის დადგენილება კორძაიამ არ შეასრულა და ამის გამო იგი მოხსნილ იქნა სამსახურიდან.

კორძაიამ ეს საქმე გაასაჩივრა შრომის სასამართლოში, რომელმაც დანაშაულად სცნო მისი მოქმედება, დაადასტურა მის მიერ 800 მ. უკანონოდ მიღება და სამსახურში აღდგენაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ კორძაია დანიშნულ იქნა ახალ წყალსადენის (ნატახტარის) მთავარ ბუხჰალტრად უფრო მეტ ჯამაგირზე. ცხადია, რომ „ბებიების“ წყალობით მოხდა ეს. როგორც ვიცით, ახალ წყალსადენის აღმშენებლობაზე ათეული მილიონები იხარჯება, ასეთ საპასუხისმგებლო ადგილზე იმ პირის დანიშვნა, რომელსაც ჩვევია სხვადასხვა მახინაციები, ყოვლად მიუღებელია; ამასთან გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით იყო გამოწვეული ბოროტმოქმედის ერთი ადგილიდან მოხსნა და მეორეზე — უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა.

ნ. ბ.

მომჭირნეობა სტატისტიკის წინააღმდეგ

(ახალქალაქის მ.)

არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის სტატისტიკის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

კერძოდ აუცილებელია მიუთითონ საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაზე საქართველოს კომპარტიის ცეკას მუშაობის შესახებ, სადაც ლაპარაკია სახალხო მეურნეობის გეგმიანობისა და ხელმძღვანელობის ნაკლულოვანებებზე. საკავშ. კომპ. ცეკა მოითხოვს ჩვენგან, რომ გაუმჯობესებულ იქნას გეგმიანობა, რისთვისაც გაძლიერებულ უნდა იქნან საგეგმო და ეკონომიური ორგანოები: ს. მ. უ. ს., ეკონ. საბჭო, სახ. საგეგმო კომისია და საქარ. სტატ. ცენტრ. სამმართველო.

ამის შემდეგ ადგილობრივი მუშაკები სერიოზულად უნდა ეკიდოდნენ ადგილობრივ სამაზრო სტატორგანოების საქმიანობას და ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ გააუმჯობესონ მათი მუშაობის პირობები. ამის გარდა არსებობს დადგენილება გასულ წლის სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირის, რომ გაძლიერებულ იქნან ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები კვალიფიციური პერსონალით.

მაგრამ აღმოჩნდა ისეთი სამაზრო აღმასკომი, რომელიც საკვირველებას ახდენს! საკვირველებას საკავშირო მასშტაბით, რადგან ისეთი რამ, რაც ამ აღმასკომმა მოიმოქმედა, აზრათაც არავის მოსვლია ჯერ, მთელ კავშირში. ლაპარაკია ახალქალაქის სამაღმასკომზე. ა.-წ. 8 იანვარს საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველო ღებულობს ასეთ ცნობას: „გაცნობებთ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტის შემცირებასთან დაკავშირებით, სამაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სტატგანყოფილება ერთიანდება ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებასთან.

ჩემი მოვალეობა ეკისრება ამ უკანასკნელის გამგეს შეთავსებით თავის მოვალეობასთან. სტატ. განის გამგე მანოსიანი“.

აი, ნამდვილი რაციონალიზაცია ზემოთ მოყვანილი დადგენილების გასატარებლად. როგორ შეაფასებთ ამ გამოსვლას? ახალქალაქის მაზრაში დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მომჭირნეობა დიდებული საქმეა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ სად და როდის არის ის საჭირო.

სტატმუშაკები.

მილიციის მუშაკი—მევახშე

(არგვეთის თ., შორაპნის მ.)

ჩვენ თემში მოიპოვებიან შეძლებული გლეხები, რომლებმაც მევახშეობას მიჰყვეს ხელი. ათ მანეთზე თვეში ერთ მანეთ სარგებელს ღებულობენ. სამწუხაროდ კულაკებს აყვნენ ზოგიერთი მოსამსახურეებიც. ამის დამამტკიცებლად მომყავს უცვლელად ერთი წერილის ტექსტი, რომელიც საბჭოთა მოსამსახურემ მევახშემ მოვალეს გაუგზავნა. წერილი ასე იწყება:

„ბატონო შალვა! კმარა ამდენი მოცდა, კეთილ ინებეთ და გამომიგზავნეთ ჩემი ფული. მე შენთან პატიოსნად მოვიქეცი და შენ კი ეს პატივისცემა არ მიიღე. ეხლა მე შენ ჯამაგირს ვერ უყურებ. მე უკანასკნელად გთხოვ 10 დეკემბრამდე გამომიგზავნე ფული. თუ ამ აღნიშნულ ვადაზედ არ მომცემ, იმ შემთხვევაში მე ვიყო დაკარგული ადამიანი თუ ასე არ გათქმევინო: ნეტავი ჩემი ცხოვრება მიმეცაო. აგისრულებ, იცოდე, იმიტომ რომ ჩემი ფული მე მამწარებს. კარტში მოგებული არ მქონია“. მიხაკო.

ასეთი წერილი მოსწერა ქ. ჭიათურის რაიმილიციის თანამშრომელმა მიხაკომ სოფელ სავანეში 7 წლედის მასწავლებელს, რომელსაც ორმოცი მანეთი აქვს აღებული სესხად და 45 მანეთი კი უკვე მიცემული აქვს სარგებლის სახით. ვინ, არის ეს მიხაკო გვარად, ჩვენ არ ვიცით, ამას გამოარკვევს პროკურატურა.

აბუზარა.

საბჭოების საანგარიშო კამპანია

ახალი საბჭოების კანდიდატთა შერჩევა

საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, არჩევნებში მუშათა და გლეხთა მასების მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმასთან ერთად არის სასოფლო საბჭოების, საუბნო-დაბარა ალმასკომების, სამაზრო ალმასკომების, რესპუბლიკების ცაკების და ამიერ-კავკასიის ცაკის კარგი შემადგენლობის შერჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პრაქტიკაში დღემდე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა კანდიდატების თავის დროზე მომზადების საკითხს, და ეს იმ დროს, როცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოების,—დაწყებული სასოფლო საბჭოდან და გათავებული ამიერ-კავკასიის ცაკით,—წევრებად წამოყენებულ კანდიდატთა ზედმიწევნით მომზადებას და შერჩევას. საკითხის ამ მხარეს მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში. მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

საბჭოები, როგორც მშრომელთა ხელისუფლების მასიური ორგანოები, პირველ რიგში არიან პასუხისმგებელნი ყველა მიღწევებისა და დეფექტებისათვის სახალხო მეურნეობის და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ დარგში. ეს გარემოება გვავალებს კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით მოვეკიდოთ ახალი საბჭოების კანდიდატების შერჩევას, რომლებზედაც ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული.

არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ წარსულ არჩევნებში საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ არა მარტო ადგილობრივი სასოფლო საბჭოების, ქალაქის საბჭოების და სამაზრო ალმასკომების კანდიდატების შერჩევას, არამედ თუმც ბევრი ასეთი შემთხვევაც, როცა რესპუბლიკების ცაკებს და თვით ამიერ-კავკასიის ცაკის შემადგენლობაში შემთხვევით მოხვდნენ პასიური, ავტორიტეტს მოკლებული წევრები რომლებსაც ამ ორი წლის განმავლობაში არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ. განა ამას არ მოწმობს ის ფაქტი, რომ სასოფლო საბჭოების სხდომებს, სამაზრო ალმასკომების პლენუმებს, ცაკების სესიებს და ამიერ-კავკასიის ცაკის სესიებს ესწრებოდა მათი შემადგენლობის მხოლოდ 50 პროცენტამდე? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დღემდე არავითარი ცნობები არა გვაქვს ამიერ კავკასიის ცაკის 62 წევრისა და კანდიდატების შესახებ.

დრო ცოტა დარჩა და რომ წარსული არჩევნების მსგავსად მოუმზადებელი არ შევხვდეთ როგორც ადგილობრივი საბჭოების, ისე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების კანდიდატების წამოყენებას. საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ არსებული აქტივის პარტიული, საბჭოთა პროფესიონალური და კოოპერატიული აქტივის შერჩევას, რომელსაც შეეძლება პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკისრებული ამოცანების შესრულება.

ამიერ-კავკასიის საბჭოების მუშაობაში ამჟამად ჩაბმულია უდიდესი აქტივი, რომელიც შესდგება 90 ათასი კაცისაგან. საჭიროა ამ აქტივის ზედმიწევნით შემოწმება, საფუძვლიანად გადასინჯვა, იმის გამორკვევა თუ რომელი შეხედულებისაა მოსახლეობა ამა თუ იმ პირის მოქმედების შესახებ. რამდენად არიან ისინი შესაფერი საბჭოს წევრად არჩევისათვის.

ამ ამოცანის—საბჭოს კანდიდატების წამოყენებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო კომისიებმა, ალმასკომებმა და პირველ რიგში პარტიულმა ორგანიზაციებმა. **წამოყენებული კანდიდატების შესახებ ყოველმხრივი ფართო მსჯელობა უნდა იქონიონ მასებმა.** ამ მიზნისათვის საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული კედლის გაზეთი, წარმოებებში და სოფლებში და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობამ ყოველმხრივ შეაფასოს წამოყენებული კანდიდატი.

ასეთი პირობებში ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ საბჭოებში ვერ გაძვრებიან მუშათა კლასისა და გლეხობისათვის უცხო ელემენტები და ზოგჯერ, ცალკე შემთხვევებში—ყოფილი თეთრგვარდიელები, ვაჭრები, კულაკები, მღვდლები და სხვა.

ამჟამად, როცა კლასობრივი ბრძოლა მწვავე ფორმებს იღებს, როცა კულაკები ირაზმებიან და ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ ღარიბი და საშუალო გლეხობის კანდიდატების გასაშავებლად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს კანდიდატების შერჩევას და ზედმიწევნით ფართო მსჯელობას მათ შესახებ.

სასოფლო საბჭოების კანდიდატების შერჩევის საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ ღარიბთა ჯგუფებმა; ღარიბთა ჯგუფები უნდა შეეცადონ, რომ სახელმწიფო აპარატში და საბჭოთა სამუშაოზე აქტივისტები და აქტივისტ-ქალები დაწინაურებულ იქნან მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა წრიდან. საბჭოებში და ალმასკომებში ჩაბმულ უნდა იქნან რაც შეიძლება მეტი მოჯამაგირენი. რომელთა პროცენტი დღემდე ძალიან უმნიშვნელოა (განსაკუთრებით ალმასკომებში), ამას თან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და საარჩევნო კომისიებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საშუალო გლეხთა აქტივის საკმაოდ ჩაბმას ახალ საბჭოებში და ალმასკომებში.

მთელი რიგი რაიონების და სოფლების საარჩევნო კამპანიაში 1927 წელს ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის დარღვევას: საშუალო გლეხები უყურადღებოდ დასტოვეს და საშუალო გლეხთა აქტივი საკმაოდ არ ჩააბეს საბჭოებსა და ალმასკომებში. მოსამზადებელ-საანგარიშო კამპანიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წელსაც **არსებობს საშუალო გლეხობის ჯეროვანად ვერ შეფასების ტენდენცია:** ამხანაგები ხშირად ივიწყებენ ლენინის და ჩვენი პარტიის ხაზს: **„უნდა შევსძლოთ შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხობასთან, ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას".**

ახალი შემადგენლობის სასოფლო საბჭოების და სამაზრო ალმასკომების არჩევისას ეს ხაზი ყველგან უნდა დავიცვათ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საშუალო გლეხობა ჩვენი სოფლის ძირითადი მასაა და რომ მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე, მისი დახმარების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ კულაკის დამარცხებას, ვერ შევძლებთ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას და პროლეტარიატის დიქტატურის გამტკიცებას ჩვენს ქვეყანაში.

ს. აკეროვი.

თბილისის პროლეტარიატის საარჩევნო დემონსტრაცია

საარჩევნო კამპანიამ თბილისში არაჩვეულებრივი მასიური ხასიათი მიიღო. ყოველდღე, — საშუადღევო ყველა რაიონებში მუშათა კლუბები და საზოგადოებრივ სახელმწიფო შენობათა დარბაზები გაჭედილია საარჩევნო კრებებზე მოსულ მუშა - მოსამსახურეებით. დამსწრეთა აქტივობამ გადააჭარბა მოლოდინს. არ რჩება ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელო საკითხი ამომრჩეველთა მიერ განუხილავი და გაუკრიტიკებელი. მოურიდებელი და პირუთვნელი კრიტიკით გამოდის თითოეული ამომრჩეველთაგანი, რაც საარჩევნო კრებებს მეტად გაცხოველებულ ხასიათს აძლევს.

თბილისის პროლეტარიატმა თავისი აქტივობა არ გამოხატა მარტო საარჩევნო კრებების მოწყობით და გუშინ იგი გამოვიდა დიდი მასიური დემონსტრაციით ქალაქის ქუჩებზე.

დემონსტრაციის მოწყობა ითავეს სტალინის სახელობის სარემონტო სახელოსნოების და დეპოს მუშებმა. ნაშუადღევის პირველ საათზე—მუშაობის დამთავრების შემდეგ ზემოხსენებულ სახელოსნოების და დეპოს მუშები დროშებით საარჩევნო ლოზუნგებით და პლაკატებით გამოეფინენ ქუჩებზე. მათ შეუერთდნენ სავაგონო პარკისა და სატელეგრაფო სახელოსნოების მუშა - მოსამსახურეები. დემონსტრანტების რიცხვმა 5 ათასს გადააჭარბა. დემონსტრაცია გორის, კლარა ცეტკინის, პლეხანოვის ქუჩით და ვერის ხიდზე გავლით გამოემართა რუსთაველის პროსპექტისაკენ და შეჩერდა თავისუფლების მოედანზე, თბილისის საბჭოს შენობის წინ, სადაც გაიმართა სასწრაფო მიტინგი.

დემონსტრანტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა მუშა **ლორთქიფანიძემ**, რომელმაც განაცხადა შემდეგი: სტალინის სახელობის სარემონტო სახელოსნოებისა და დეპოს მუშები არ დაზოგავენ ძალ-ღონეს და მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანია წარმატებით ჩატარდეს, რომ ამ კამპანიის შედეგად მოეწყოს ახალი საბჭოს შეხვა პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებით — ენერგიული, კლასიურ შეგნებით და გამოცდილებით აღჭურვილ მუშებით. ჩვენ წარვგზავნით საბჭოში გამობრძმედილ ამხანაგებს და ამავე დროს აღუთქვამთ მომავალ საბჭოს, რომ ჩვენ მუდამ მასთან ვიქნებით და დავეხმარებით მას დაბრკოლებათა გადალახვაში ამ გრანდიოზული მშენებლობის დროს.

საბჭოს სახელით დემონსტრანტებს მიესალმენ ამხ. **ბოლქვაძე** და ამხ. **აჯაკოვი**, მთავრობის სახელით ამხ. **ვარძიელი.** მიტინგი გაგრძელდა ნახევარ საათს. მიტინგის დამთავრების შემდეგ მუშები დაბრუნდნენ წარმოებებში.

თბ. საბჭო ამომრჩევლების წინაშე

როგორ მიმდინარეობს საანგარიშო კამპანია ლენინის უბანში

საბჭოთა საანგარიშო კამპანია ლენინის რაიონში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. თუ გადავავლებთ თვალს ლენინის უბანში დღემდე ჩატარებულ საანგარიშო კრებების ცნობებს, ვნახავთ, რომ შედარებით გასულ საარჩევნო კამპანიასთან, მიმდინარე კამპანია გაცილებით უკეთესად და ამომრჩეველთა ფართო მონაწილეობით ტარდება. საანგარიშო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 90—97 პროც. მაგალითად, 20 საანგარიშო პუნქტზე, სადაც უნდა დასწრებოდნენ 5080 ამომრჩეველი, დაესწრო 4146 კაცი, ისე, რომ საშუალოთ თითეულ საანგარიშო კრებას ესწრებოდა ამომრჩეველთა 80 პროც. ამასთან ერთად საანგარიშო კრებები ტარდება ფართო თვითკრიტიკის ქვეშ. მუშები მოურიდებლად აკრიტიკებენ როგორც საერთოდ საბჭოს მუშაობას, ისე კერძოდ თითეული დეპუტატის საქმიანობას; 20 საანგარიშო კრებაზე, რომელსაც 4146 ამომრჩეველი დაესწრო, კამათში გამოვიდა 800 მდე მუშა.

რას აღნიშნავდნენ კამათში გამოსული მუშები? ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხებს, როგორიც არის მაგალითად; სწავლა-განათლების საქმე, საბინაო მშენებლობა, კოოპერაცია და სხვ. უდაოა, რომ სწავლა-განათლების საქმე შედარებით წინანდელთან საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ ამასთან ერთად ამ დარგში ჯერ კიდევ გვაქვს საკმაოდ ბევრი ნაკლი, რომელიც ხელს უშლის განათლების საქმის სასურველ დონეზე დაყენებას. მარტო ის გარემოება, რომ ჩვენი სკოლების შენობები შეუფერებელია სკოლებისათვის და ამასთანავე შეუკეთებელიც, ამტკიცებს იმას, რომ განათლების საქმე ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მომავალმა საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მიიღოს ზომები სკოლებისათვის შესაფერი შენობების გამოსაძებნად.

საბინაო მშენებლობის შესახებ მუშები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მრავალი შენიშვნებისა ბინების უხეირო გეგმით აშენების შესახებ, მაინც განაგრძობენ ზოგიერთი სახლების ძველი ციხისებური გეგმით აშენებას. ტრამვაის მუშათა სახლების პირველი კორპუსის დამთავრებისთანავე, მუშებმა შენიშნეს, რომ ასეთი გეგმით ბინების აგება მუშებს არ გამოადგებოდათ, მაგრამ არამც თუ თავი გაანებეს ძველი სტილით სახლების აშენებას, არამედ უფრო გააფართოვეს. ეს კი გარდა იმისა, რომ აუარებელ უნაყოფო ხარჯებს იწვევს, საბინაო კრიზისსაც, შენელების მაგიერ ართულებს.

კამათში გამოსულ მუშების აზრით ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში მოკალათებული ჩინოვნიკები ანგარიშს არ უწევენ მუშათა შენიშვნებს. მომავალი საბჭოს ამოცანაა სასტიკად ებრძოლოს ასეთ უთავბოლობას და მუშების შენიშვნებისადმი უყურადღებობას.

რაც შეეხება კოოპერაციას, ორატორები ამბობდნენ, რომ იმ დროს, როდესაც ზოგიერთი კერძო სავაჭროები სავსეა მუშებისათვის პირველ მოთხოვნილებითი საქონლით, კოოპერატიულ დუქნებში ასეთ საქონელს ვერ იშოვით. ამასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ვ. წ.

საანგარიშო მოხსენება ალმშენებელთა კავშირის უმუშევართა კრებაზე

არაჩვეულებრივი ინტერესით და განსაკუთრებული აქტივობით შეხვდა ალმშენებელთა კავშირის უმუშევარი წევრები თბილისის საბჭოს საანგარიშო მოხსენებას. პროფსაბჭოს დიდი დარბაზი ვერ იტევდა კრებაზე დასწრების მსურველთ. თითქმის ორი საათი კრებაზე დამსწრეთა აღრიცხვას მოუნდა. საღამოს 7 საათზე გაიხსნა კრება, რომელზედაც საანგარიშო მოხსენება ქართულ და რუსულ ენაზე გააკეთა ამხ. ბარამოვმა. მომხსენებელი შეეხო ყველა იმ მნიშვნელოვან მუშაობას, რომელიც ჩაატარა თბილისის საბჭომ საანგარიშო ხნის განმავლობაში.

თუ რა კეთდებოდა საბინაო მშენებლობის დარგში—ამბობს მომხსენებელი, ეს თქვენ, როგორც ალმშენებელთა კავშირის წევრებს, ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ. თბილისის საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესებას. შრომის ბირჟასთან გახსნილია სასადილო, სადაც დღეში ხუთასი უმუშევარი სადილობს. საბჭოს ინიციატივით გაიხსნა მთელი რიგი კოლექტივები და არტელები, უმუშევართათვის სამუშაოს მისაცემათ. გარდა ამისა იმ დახმარებიდან, რომელსაც შრომის ბირჟა აძლევს უმუშევრებს, საგრძნობი თანხები გაუღია თბილისის საბჭოს. უმუშევართათვის იწყობოდა აგრეთვე საზოგადოებრივი სამუშაოები. ასეთმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გააუმჯობესა უმუშევართა მდგომარეობა.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ გაიხსნა კამათი. კრებამ ერთხმად მოიწონა თბილისის საბჭოს მუშაობა.

ქიმიკოსთა კავშირის უმუშევართა კრება

25 იანვარს, საღამოს 5 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა ქიმიკოსთა კავშირის უმუშევართა და მათი ოჯახის წევრების გაერთიანებული კრება რომელმაც მოისმინა ამხ. **არაქელოვის** მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად შეეხო საბჭოს განვლილი მუშაობას, აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები კომუნალური მეურნეობის, ქალაქის კეთილმოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობის, განათლების, მაზრაში სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების დარგში. კერძოდ დაახასიათა ის ღონისძიებები, რომელსაც იღებს თბილისის საბჭო უმუშევრობის შესამცირებლად და უმუშევართა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. რა ზომებს იღებს საბჭოს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რა ზომებია მიღებული მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებიდან არა მშრომელი ელემენტების გამოსასახლებლად. რატომ ერთნაირ ფასს იხდიან მშრომელი და არა მშრომელი ელემენტი ელექტრონის ენერგიაზე, რამდენად არის დატვირთული ზაგესი და სხვა მრავალი ასეთი შეკითხვები მისცა უმუშევრებმა მომხსენებელს, რაზედაც მომხსენებლის მიერ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს.

შეკითხვების შემდეგ გაიხსნა კამათი. კრებამ საბჭოს მუშაობა მოიწონა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიკოსთა კავშირის წევრებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს თბილისის საბჭოს მუშაობის შეფასებაში.

განათლების მუშაკები თბ. საბჭოს მუშაობის შესახებ

განათლების მუშაკთა კავშირის მე 58, 60 66, 71 და 76 ადგილკომებში შემავალ დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო კრებამ მოისმინა ამხ. **ასრიბეკოვის** ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. თანამომხსენებელ ამხ. **სიხარულიძემ** მოკლედ დაახასიათა თბილისის სამაზრო განათლების სექციის მუშაობა.

კრება დიდის აქტივობით გამოეხმაურა მომხსენებლებს და ცხოველი მონაწილეობა მიიღო საბჭოს მუშაობის შეფასებაში.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ საბჭოს მუშაობის დადებით მხარეებს. ამასთანავე მიუთითებს შემდეგ დეფექტებზე: ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა ძლიერებული იქნას გადამჭრელი ზომები, საცხოვრებელ შენობების შეკეთებას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. სასკოლო შენობები ზედმეტად დატვირთულია. ხშირად ორ და სამ წყებად სწარმოებს მუშაობა, რაც ხელს უშლის სწავლა-აღზრდის საქმის წესიერად დაყენებას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს და სხვა.

მრავალი შეკითხვებისა და პრაქტიკული მითითებების შემდეგ კრებამ ერთხმად სცნო საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად. განაწესის გამომუშავება მიენდო პრეზიდიუმს.

ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშებში

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სადურგლო სამქროს მუშების საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო ასამდე მუშა, თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ტორიკაშვილმა. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ საბჭოს მუშაობა და აღნიშნა ამ მუშაობის როგორც ნაკლი, ისე მიღწევებიც.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 მუშამ. ორატორები კმაყოფილებით აღნიშნავდნენ საბჭოს მიღწევებს და ამავე დროს მიუთითებდნენ მთელ რიგ ნაკლოვანებებზე, რომელსაც თბილისის საბჭო ვერ აქცევდა შესაფერ ყურადღებას. მოკამათენი განსაკუთრებით ეხებოდნენ ბოროტმოქმედებებს საბინაო მშენებლობაში და აღნიშნავდნენ, რომ ახალ ბინებში ჩასახლების დროს ადგილი აქვს პროტექციონიზმს. მუშები შეეხნენ აგრეთვე შრომის სკოლების გაფართოებისა და გარე უბნებში წყალსადენის გაყვანის საკითხს. ისინი მოითხოვდნენ, რათა მომავალმა საბჭომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს კამათში აღნიშნულ საკითხებს და მიიღოს ზომები მათ მოსაგვარებლად.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საბჭოს მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად.

საანგარიშო კამპანია ადგილებზე

ყოფილი ხალხის ოინები ქუთაისის მაზრაში

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაზრაში 5 იანვრიდან დაიწყო საანგარიშო კამპანიის ჩატარება, რომელიც დამთავრდება 25 იანვარს და პირველ თებერვლიდან კი დაიწყება არჩევნები.

საანგარიშო კამპანია, როგორც მაზრაში, ისე ქალაქში მიმდინარეობს სათანადო ხელმძღვანელობით და თუ სადმე კლასიური ხაზის გამრუდებას ჰქონდა ადგილი, დაუყოვნებლივ იღება ზომები მის გამოსასწორებლად.

სოფლად დარაზმულია მოჯამაგირეები, რომლებსაც კავშირი აქვს ღარიბებს გლეხებთან, ეწყობა წინასწარი კრებები, რომლის შემდეგ საკმაოდ ორგანიზაციულად შეკავშირებულნი გამოდიან და იჩენენ უდიდეს აქტივობას. შეძლებული ელემენტები: ვაჭრები, კულაკები, სამღვდელოება და სხვა ბნელი ძალები აშკარად გრძნობენ ღარიბ და საშუალო გლეხობის და მოჯამაგირეების დარაზმვას და თვითონაც აპირებენ კონტრ-შემოტევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთ უბანში ადგილი ქონდა კულაკების ან აშკარა, ან ფარულ შემოტევას. მაგალითად, კულაკების აშკარა გამოსვლა იყო შემდეგ თემებში:

ზოჩა-ჯიხაიში, სადაც კულაკებმა მოინდომეს საანგარიშო კრების ჩაშლა და აყალმაყალი ასტეხეს, მაგრამ ისინი გაძევებულნი იქნენ, და კრება ჩატარდა ნორმალურად.

ფარცხანაყანევის თემში 19 იანვარს მოწვეული იყო კრება დღის 12 საათზე. როდესაც საანგარიშო კომისია მივიდა აღნიშნულ დროს კრების ჩასატარებლად, მათ იქ დახვდათ ხმა აღკვეცილი კულაკები რიცხვით 20 კაცი. ამომრჩევლები თანდათან გამოცხადდნენ და როდესაც დაინახეს კულაკები, მოითხოვეს მათი გაძევება, მაგრამ ისინი გაძალიდნენ და არ წავიდნენ. ერთი კულაკი (ამავე დროს ეწევა ვაჭრობას) აკაკი შეიშვილი უყვიროდა და მუქარით, იწვევდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მიმართავდა ამხანაგს შემდეგი სიტყვებით: „რატომ შეგვიტანეთ ჩვენ შავ სიაში, რატომ არ გვაძლევთ ნებას არჩევნებში მონაწილეობის, აბა გამიდით თუ კარგი ვაჟკაცები ხართ, და მე გაგისწორდებით"-ო და სხვ.

კრებაზე დამსწრე ამომრჩევლებმა ღარიბ და საშუალო გლეხობამ აღნიშნული კულაკები გააძევეს, მაგრამ როდესაც კრება დაიწყო, ხელმეორედ მოვიდენ აღნიშნული პირები აკაკი შეიშვილის მეთაურობით და ასტეხეს ყვირილი და უნდოდათ კრების ჩაშლა. ღარიბ და საშუალო გლეხობამ მათ ამის ნება არ მისცა და კვლავ კრებიდან გააძევეს კულაკები, რის შემდეგ კრება უფრო გაცხოველებული ენერგიით ჩატარდა. ხსენებულ კრებას ამომრჩეველთა 85 პროცენტი დაესწრო.

ბაღდათის თემში საანგარიშო კრებაზე შემოპარულმა, კულაკმა ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ მეფის დროს ღარიბ გლეხობას უფრო მეტად აქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე ეხლაო. მას უნდოდა ამით შეერყია საბჭოს ავტორიტეტი, მაგრამ აღნიშნულ კულაკს ღარიბ გლეხობამ სათანადო პასუხი გასცა და ბოლოს კრებიდანაც გააძევა.

ფარული ზრახვებით გამოვიდა ხმა აღკვეცილი კულაკი **ოფურჩხეთის თემში**, რომელმაც დაიწყო თავის მოკატუნება და მტკიცება, რომ იგი კეთილად განწყობილია საბჭოებისა და ხელისუფლებასთან, მაგრამ კრებამ სათანადოდ შეაფასა მისი თვალთმაქცობა და კრებიდან გააძევა.

ასეთივე იყო **ორპირის თემში**, სადაც კულაკები აგიტაციას ეწეოდნენ, რომ ღარიბ და საშუალო გლეხები არ შეკავშირებულიყვნენ კოლმეურნეობაში.

საწირის თემში საანგარიშო კრებაზე შემოიპარა რამდენიმე კულაკი, მაგრამ ამომრჩევლებმა ეს თავის დროზე გაიგეს და კულაკები კრებიდან გააძევეს.

თვით ქალაქ ქუთაისში მესამე საანგარიშო უბანში ადგილი ქონდა ზოგიერთ ხმა აღკვეცილ ვაჭრების კრებაზე შემოპარვას. ერთმა ვაჭარმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ანაფორა გახდილი მღვდელი, გაილაშქრა კოოპერაციის წინააღმდეგ და უნდოდა დაემტკიცებინა, რომ კერძო ვაჭრობა უფრო მიზანშეწონილია კოოპერაციაზე და საბჭოთა ხელისუფლება მას არ უნდა აბრკოლებდესო მაგრამ მისი ფარული ზრახვა გამოაშკარავებულ იქნა და სათანადო პასუხი გასცეს ამომრჩევლებმა.

საერთოდ საანგარიშო კრებებზე კამათში და შეკითხვებში მონაწილეობას ღებულობენ მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები, მუშები და მოსამსახურეები, როგორც შეკითხვებში, ისე კამათში ეხებიან საჭირბოროტო საკითხებს, არსად არ სტოვებენ თემ-საბჭოს მუშაობის ნაკლს გამოურკვევლად და გამოუაშკარავებლად.

გლეხები მოითხოვენ კოოპერაციის გაძლიერებას, მასში ღარიბ გლეხობის ჩაბმას, კულაკებისათვის მიწის ჩამორთმევას, საგზაო მშენებლობას. აღნიშნავენ საკრედიტო ამხანაგობის სისუსტეს, რომელიც ზოგან კლასიურ ხაზს არ ატარებს, მოითხოვენ, რომ თემ-საბჭომ დროზე იზრუნოს ღარიბი გლეხობის სათესლე სიმინდით მომარაგებაზე. სიმინდის მიწოდებაზე.

აღნიშნავენ, რომ საჭიროა მიექცეს ყურადღება სოფლის ახალგაზრდობის და სამეურნეო სკოლების ქსელის გადიდებას და სხვ.

ქალაქად კი მეტი ყურადღება ექცევა მაგ., ქუთაისში კოოპერაციის გაძლიერებას და ახალი დუქნების გახსნას, განაპირა უბნებში საგზაო მშენებლობას, ქუჩების მოკირწყვლას, განათებას, საბინაო მშენებლობას, მუშა-მოსამსახურეთა ბინებში მოთავსებას და სხვ.

ს. მისხი.

კულაკები ჭორებს ავრცელებენ

(ბორჩალოს მაზრა)

ბორჩალოს მაზრაში წინასწარი საარჩევნო სამზადისი ფაქტიურად დაიწყო მხოლოდ იანვრიდან. დეკემბერში ჩატარდა სათემო-საარჩევნო კომისიების გამოყოფა, თუმცა კომისიების უმრავლესობას დანერგამდე ბევრი არაფერი გაუკეთებია.

ვინაიდან წინასწარი ახსნა - განმარტების კამპანია არ ყოფილა ღირსეულად ჩატარებული, საანგარიშო კამპანიის ჩატარებისას ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უარყოფითი მოვლენებს. მრავალ სოფლებში, როგორც მაგალითად, სოფ. გორენჯურში, ღუმანისში და სხვაგან ღარიბი გლეხობის ერთი ნაწილი გადაიბირა კულაკებმა და სახელიერო წრეების წარმომადგენლებმა. სოფ. ვარდისუბანში საანგარიშო კრებაზე გამოცხადდა ყოფ. სტრაჟნიკი, რომელმაც მოინდომა გახდეს საბჭოს წევრად.

ზოგიერთ სოფლებში კულაკური ელემენტები იმდენათ გათავხედებული არიან, რომ სოფ. ვარდისუბანში კრებაზე გამოცხადდა მდიდარი გლეხი-ქალი და როდესაც ამომრჩევლებმა მისი გაყვანა მოითხოვეს კრებიდან — იგი გაძალდა და დაემუქრა დამსწრე ღარიბ გლეხ-ქალებს. კულაკები დადიან გლეხებში და ხმებს ავრცელებენ, რომ თავი დაანებონ ყანების განოყიერებას, რადგან განოყიერებულ ყანაზე ბევრი მოსავალი მოვა და თუ გლეხს ბევრი მოსავალი მოუვიდა, იმას თითქოს კულაკად ჩასთვლიან. საშუალო გლეხები ყიდიან ზედმეტ მუშა - საქონელს, რადგან მოელიანი აგიტაციას ეწევიან, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ჩამოართმევს გლეხებს ზედმეტ საქონელს და უფასოდ გადასცემს ღარიბ გლეხობას. ადგილი აქვს აგრეთვე კულაკების აშკარა აგიტაციას, რომ სათესი არც შეამცირონ გლეხებმა და პირად საჭიროებაზე მეტი მოსავალი არ მოიყვანონ.

სოფ. კ. მარნეულში, შავ სიაში შეტანილები დაემუქრნენ კომკავშირელს სიკვდილით საარჩევნო ხმის უფლების წართმევისათვის ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა სოფ. შამშოლოში და სხვაგან.

ყველა ეს მასალები შეკრიბა ცაკის ინსტრუქტორმა, რომელმაც ისინი გააცნო ბორჩალოს სამაზრო საარჩევნო კომისიას. კომისიამ დაადგინა — ზოგიერთ თემებში და სოფლებში ხელახლა ჩაატაროს ახსნა-განმარტების კამპანია, ჩატარებული იქნება აგრეთვე ცალკე კამპანია კომკავშირისა და პარტიული ორგანიზაციების მონაწილეობით საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

სამღვდელოების იერიშები თელავში

20 იანვარს, დილის 10 საათზე, თელავში, სამ საარჩევნო პუნქტზე მოწვეული იყო საანგარიშო კრებები. სწორედ ამ დროს ქართველ და სომეხ მღვდლებმა ეკლესიებში მოიწვიეს მორწმუნეთა კრებები საანგარიშო კრებებისთვის ხელის შეშლის მიზნით. კრებაზე მოწვეული ყავდათ თბილისიდან ეპისკოპოზი და მოლაზონი.

ეს ამბავი თვით მორწმუნეებმა აცნობეს ადგილობრივ ხელისუფლებას, რის შემდეგ ამ დღეისთვის საეკლესიო კრებები აკრძალულ იქნა. მიუხედავად ამისა, 10 საათზე მღვდლებმა ასტეხეს ზარების რეკა, რომ ხალხი მიეზიდნათ ეკლესიებში.

მღვდლების იმედები საანგარიშო კრებებისთვის ხელის შეშლის შესახებ არ გამართლდა. სამივე პუნქტზე კრებები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა როგორც დასწრების, ისე აქტივობის მხრივ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამივე პუნქტზე კრებას ქალების უმრავლესობა ესწრებოდა.

ვ. ლუარსაბოვი.

საანგარიშო კამპანიის შედეგები

ქუთაისის მაზრაში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 26 იანვარი. მაზრიდან მიღებული ცნობებით, 26 თემში სრულწლოვან მოქალაქეთა რაოდენობა უდრის 78,755. აქედან საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობს—68957, ხმა აღკვეთილთა რაოდენობა უდრის 4798, ანუ საერთო რიცხვის 6 პროცენტს. საანგარიშო უბნებია—400. საანგარიშო კრებებზე გამოცხადდა 40 288 ამომრჩეველი, ანუ 72 პროცენტი. კრებებზე დამსწრეთა მამაკაცების რაოდენობა უდრიდა 88 პროცენტს, ქალების—55 პროცენტს.

ს. მისხი.

ქ. ახალ-სენაკში

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ახალ-სენაკი 26 იანვარი. ქალაქ ახალსენაკში დამთავრდა საანგარიშო კამპანია. ამომრჩეველთა დასწრებამ ყველა უბნებში მოლოდინს გადააჭარბა. ქალაქში სულ 2257 ამომრჩეველია, მათგან კრებას დაესწრო 1609, რომელთაგან 616 ქალია. დასწრების პროცენტი 72 უდრის. ქალაქის ალმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს თავმჯდომარე **გოგინავამ** და საბჭოს წევრმა **კიზირიამ.** მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული ამომრჩევლები აღნიშნავდნენ ქალაქში დიდი მუშაობის ჩატარებას ამ ორი წლის განმავლობაში, როგორც ალმშენებლობაში, ისე კულტურულ დარგებში, მიუთითებდნენ აგრეთვე დეფექტებზე როგორიც არის ქუჩების ნაწილობრივ მოუკეთებლობა განაპირა უბნებში, ელექტრო-სინათლის გაუყვანლობა და სხვა. ქალაქის ალმასკომის მუშაობა ცნობილ იქნა სრულიად დამაკმაყოფილებლად.

ზ. უჩანეიშვილი.

სენაკის მაზრაში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ახალ-სენაკი, 26 იანვარი. საბჭოების საანგარიშო კამპანია სენაკის მაზრაში 22 იანვარს დასრულდა. წინასწარი ცნობებით საანგარიშო კამპანიაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 65 პროცენტმა. ამომრჩეველთა დასწრების მიხედვით, ყველაზე უკეთესად ჩაატარეს საანგარიშო კამპანია მარტვილის, სამიქაოს მარინ ლეძაძის, ახალ-სენაკის, ხუნწის, ნოსირის და ონტოფოს თემებმა, სადაც ამომრჩეველთა დასწრების რაოდენობა 70-დან 88 პროცენტს უდრიდა. თემებიდან მასალების მიღებისთანავე გაცნობებთ საანგარიშო კამპანიის დაწვრილებით შედეგებს.

ზ. უჩანეიშვილი.

არჩევნები კახეთში

გურჯაანი, 25 იანვარი. საბჭოების არჩევნები მაზრაში გაჩაღებულია. მაზრა გაყოფილია 279 საარჩევნო პუნქტად, შარშან კი 289 პუნქტი იყო. საარჩევნო უფლება წართმეული აქვს 8.849 კაცს, შარშან 10.267 კაცს ჰქონდა წართმეული. საარჩევნო უფლება ბევრს აქვს წართმეული მეტადრე ქალაქებში: სიღნაღში—6.8 პროც.-ს, თელავში—13,3 პრ.-ს.; ლაგოდეხში—9,5 პრ.-ს. შედარებით ცოტას აქვს უფლება წართმეული (1,5 პროცენტამდე) ახმეტის, ვარდისუბნის, კაჭრეთის და კაკაბეთის თემებში. მთელ მაზრაში სულ 178,000 ამომრჩეველია. (ადხ).

კანდიდატების შერჩევა

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საგარეჯო, 26 იანვარი. საგარეჯოს თემსაბჭოში ასარჩევი კანდიდატები წინასწარ შერჩეულ იქნა პარტიის და კომკავშირის მიერ, რომელიც 26 იანვარს განიხილა ღარიბთა თათბირმა და სადაც მსჯელობის შემდეგ დაადასტურა. წელს თემში არჩეული იქნება საბჭოს 136 წევრი და 44 კანდიდატი.

ლევან ნადვლიშვილი.

საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები

საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ავტონომიური რესპუბლიკებისა და მაზრების საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები:

აფხაზეთის ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. სამსონ ჩანბა, აჭარისტანის ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. მოლიდინ ხურმანიძე და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. სამსონ კოზაევი.

თბილისის მაზრის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა—ამხ. შ. ბოლქვაძე, ქუთაისის—ამხ. ერ. ლვამიჩავა, კახეთის—ამხ. დ. ოფციაური, გორის—ხ. ცხოვრებაშვილი, რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. პ. წულუკიძე, ოზურგეთის—ამხ. კონსტ. გურგენიძე, სენაკის—ა. კაჭარავა, ზუგდიდის—გრ. გაბუნია, ახალქალაქის—სტ. ბაკოვოვი, ახალციხის—მუსლიმ შაბანოვი, ბორჩალოს შაბან გაპალოვი, ზემო-სვანეთის— გ. ნავერიანი, ქვემო სვანეთის—გ. ლომთათიძე და შორაპანის სამაზრო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ნიკოლოზ ნიორაძე.

ხმის უფლებაწართმეულ მოქალაქეთა სიები

თბილისის ცენტრ. საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულია საარჩევნო ხმის უფლებას აღკვეთილ მოქალაქეთა სია ყველა სამილიციო უბნებში, რაიონულ საარჩევნო კომისიებთან, წარმოება-დაწესებულებებში და სხვადასხვა თვალსაჩინო ადგილებზე.

იმ პირებმა, ვინც შეტანილია აღნიშნულ სიაში და სურთ განცხადების შეტანა საარჩევნო ხმის უფლების აღდგენის შესახებ, უნდა მიმართონ რაიონულ საარჩევნო კომისიებს შემდეგი მისამართით:

ლენინრაიონის საარჩევნო კომისიას პლეხანოვის სახელობის კლუბში, ხსენებულ რაიონში შედის მე-7, მე-8, მე-9, და მეათე სამილიციო უბნები.

26 კომუნარების სახელობის საარჩევნო კომისიას ალამბარის ალმშენებელთა კლუბში, ამ რაიონში შედის მე-4, მე-5, და მე-6 უბნები.

ქალაქის რაიონის საარჩევნო კომისიას, თბ. საბჭოს შენობაში (ოთახი № 32), ხსენებულ რაიონში შედის პირველი, მე-2 და მე-3 სამილიციო უბნები.

განცხადებების მიღება სწარმოებს რაიონულ საარჩევნო კომისიებში ყოველდღე, დილის 9 საათიდან 3 ნახ. საათამდი და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

თბ. ალმასკომის საინფორმაციო განყოფილება.

30 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე

შესდგება

თბილისის საარჩევნო კომისიის რწმუნებულებისა და იმ მუშების თათბირი, რომელნიც მიმაგრებული არიან თემებზე საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად

დღის წესრიგში სდგას:

მოხსენებები ადგილებიდან საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და წინასწარ შედეგების შესახებ.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ მოვაწესრიგოთ მოძრაობა ქუჩებში

(წინადადების სახით)

უკანასკნელ ხანებში გახშირებულ კატასტროფასთან დაკავშირებით მიღებულია მთელი რიგი ადმინისტრატიული ზომები, ქალაქში მოძრაობის მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით გზა-ჯვარედინებზე.

ეს ზომები აუცილებელია, მაგრამ, ქალაქის მოსახლეობის შეუჩერებელი ზრდის გამო ასეთი სახის ზომები ჩვენის აზრით საკმარისი არ არის. ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭიროა გამოვიყენოთ სხვა დიდი ქალაქების გამოცდილება: მაგალითად სპეციალური ფერად ფილაქნების მოწყობა გადასასვლელებზე, წარწერით: „მომყევი მე"; რასაკვირველია ჩვენს სინამდვილეში ასეთი წარწერები მიზანს ვერ მიაღწევენ, თუ მივიღებთ მხედველობაში ეროვნებათა მრავალფეროვნებას. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნულ ფილაქნების მოწყობა მიმართულების მაჩვენებელ ისრებით.

ამ ზომებით ჩვენ მივაღწევთ სასურველ შედეგს და თავიდან ავიცილებთ უწესრიგო მოძრაობით გამოწვეულ უბედურებას.



A. [illegible]

გადასასვლელ ფილაქნებისათვის მასალით შეიძლება გამოყენებულ იქნას: 1) მოზაიკური, 2) მეტლახის ან პიროგრანიტის ფილაქნები, რომელთა შორის პირველი უფრო იაფია მეორესთან შედარებით.

ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები: ბ. ჩ. და მ. ჯ.

გვირაბი ლამანშის ქვეშ

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ შესაძლებლად გახადა ის, რაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს ლამანშის სრუტის ქვეშ გვირაბის გაყვანის ინტერესანტებმა. პრემიერმა ბალდუინმა როგორც საიმპერიო თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ, განსახილველად მიიღო ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანის პროექტი.

პროექტის ავტორი, ვინმე კოლლარდი, გვირაბის გაყვანის საკითხზე მუშაობს უკვე ოცი წელიწადია. პროექტმა გაიარა სერიოზული ტეხნიკური და ეკონომიური ექსპერტიზა ინგლისში, საფრანგეთში და შეერთებულ შტატებში. პროექტის თანახმად ლამანშის გვირაბის სიგრძე შეადგენს 70 კილომეტრს. გვირაბში ივლიან ელექტრონის მატარებლები. თავისი სიგრძით ლამანშის გვირაბი სჯობნის ყველა დღემდი გაყვანილ გვირაბებს.

მთელი გვირაბი დაჯდება ორი მილიარდი მანეთამდე, მაგრამ ეს დიდი თანხა არ აშინებს არც პროექტის ავტორსა და არც მრავალრიცხოვან ექსპერტებს, რომლებიც მის გეგმას ამოწმებდნენ. ზოგიერთი გამოანგარიშებითაც კი ბარგისა და მგზავრთა მოძრაობა გვირაბით მისი აგების მომენტისათვის (5—6 წლის შემდეგ) ერთი-ორათ გაიზრდება. თუ ახლა ლამანშით ყოველწლიურად გადაჰყავთ 12 მილიონი მგზავრის (რომელთა ორი მესამედი ლონდონიდან პარიზში მიემგზავრება, ან პარიზიდან ლონდონში) 5 წლის შემდეგ ეს (ციფრი 30 მილიონამდე მაინც გაიზრდება. ასეთ პირობებში გვირაბის გაყვანაზე დახარჯულ დიდძალი თანხა რამდენიმე წლის განმავლობაში იქნება ანაზღაურებული.

ყველაზე საინტერესო, პროექტის ავტორის განცხადებით, ის არის, რომ ინგლისში და საფრანგეთში არიან კაპიტალისტები, რომლებიც მზად არიან იხლავე გაიღონ გვირაბის გასაყვანათ საჭირო თანხები. ერთად-ერთი რაც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად,—ეს ინგლისის მთავრობის თანხმობაა გვირაბის გაყვანაზე.

განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება კოლლარდის მოხსენება საქმის სამხედრო-სტრატეგიულ მხარეზე. ძლიერ საზღვაო სახელმწიფოს ფლოტს (მხედველობაშია შეერთებული შტატები.—ა. ბ.),—ნათქვამია მოხსენებაში—შეუძლია ან მთლიანად დახუროს ლამანში, ან განუწყვეტელი თავდასხმებით შეუძლებელი გახადოს მიმოსვლა სრუტეზე ინგლის-საფრანგეთის შუა. კიდევ უფრო მეტ საფრთხეს ჰქმნიან ლამანშით მიმოსვლისათვის თანამედროვე აეროპლანები, რომელთაც რამდენიმე საათის განმავლობაში შეუძლიათ ჩაჰყარონ ნაღმები და გადმოჰყარონ ბომბები ისეთ ადგილებში, სადაც მათ ყველაზე ნაკლებ მოელიან. ასეთ პირობებში ლამანშით მიმოსვლის ერთად ერთ საიმედო საშუალებას წარმოადგენს სარკინიგზო ხაზი ლამანშის ქვეშ. გვირაბს ვერავითარი ზიანს ვერ მიაყენებენ ვერც ნაღმები, ვერც აეროპლანების ბომბები და ვერც სამხედრო გემების შორსმსროლელი ზარბაზნები.

როგორც მთელ რიგ გაზეთების ცნობებიდან სჩანს, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი კოლლარდის პროექტის განხორციელებას.

ა. ბ.

ხელოვნური აბრეშუმი

ელიზაბეტოუნში (ტენესის შტატი, შეერთ. შტატები) შენდება უდიდესი ფაბრიკა (ღირებული 100.000 მანეთამდე) ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად ახალი წესით, რომელიც ერთმა გერმანელმა ქიმიკოსმა აღმოაჩინა. ახალი ხელოვნური აბრეშუმი არ ჰგავს იმას, რომელიც ამჟამად მზადდება ხელოვნური აბრეშუმის სხვა ქარხნებში. დღემდე ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად ხმარობდნენ შერქანს, ახალი ხელოვნური აბრეშუმი კი ბამბიდან მზადდება. ღირსებით ახალი აბრეშუმი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ძველი. გაზეთების ცნობით გამძლეობით, გარეგნობით და თვისებებით ახალ ხელოვნური აბრეშუმი არაფრით არ ჩამოუვარდება ნატურალურ აბრეშუმს.

ხეების ზრდა და კლიმატიური პერიოდები წარსულში

კარნეჯის ინსტიტუტმა ვაშინგტონში (შეერთ. შტატები) გამოაქვეყნა შრომა პროფ. დუგლასის, რომელიც შეეხო მისი მრავალი წლის გამოკვლევებს იმ კავშირისას, რომელიც არსებობს ხეების წლიურ რგოლებსა და კლიმატიურ პირობებს შორის. დუგლასი თავის დაკვირვებებს ახდენდა ყვითელ ნაძვზე, რომელიც ძლიერ დიდხანს ცოცხლობს. ერთიმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებულ ხეების წლიურ რგოლების ცვლილებები იმდენად მსგავსი აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი გახდა ერთი და იგივე წლის რგოლების უშეცდომოთ გამორკვევა ყველა გამოკვლეულ ხეებისათვის და ამ რგოლების ჰასაკის სისწორით დასახელება. დუგლასის დასკვნით, მშრალ ჰავაში წლიური რგოლის სისქე იმდენად მეტია, რამდენადაც დიდი იყო ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში. უახლოესი წარსული წლებისათვის შემოწმებამ 70 პროცენტით გაამართლა ეს დასკვნა. ვინაიდან, როგორც ირკვევა, ეს მოვლენა მუდმივ ხასიათს ატარებს, წლიური რგოლების მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმ კლიმატიურ პირობებზე, რომლებიც შორეულ პერიოდში არსებობდა. დუგლასმა მთელი რიგი შესაფერი ცდები მოახდინა შეერთებული შტატების დასავლეთ რაიონებისა და ევროპის ტყეებში და მისი თეორია დადასტურდა.

გამოკვლევის ასეთი მეთოდების საშუალებით დ-რმა ხენინგტონმა (იალის უნივერსიტეტი) გამოიკვლია 451 კუნძის ჰასაკი (ხეების მოჭრის წელი სისწორით იყო გამორკვეული). მრავალი მათგანი რამდენიმე ასეული წლის ჰასაკში იყო მოჭრილი, ასამდე ხე—2000 წლის ჰასაკში, სამი კი—3000-ზე მეტი წლის ჰასაკში მიღებული შედეგების მიხედვით ხენინგტონმა შეადგინა ჰავის ცვლილების მრუდე, თავის დასკვნებს ხენინგტონი სავსებით სარწმუნოთ თვლის ჩვენი ხანის წინანდელ პერიოდისათვის და რამდენიმეთ ნაკლებად სარწმუნოთ უფრო ადრინდელი პერიოდისათვის.

შვედმა დ-რმა ანტესმა შეამოწმა ხენინგტონის მასალები, რომელიც შეეხება კლიმატიური პირობების ცვალებადობას უკანასკნელ 3000 წლის განმავლობაში და ჰავის ცვალებადობის მრუდის შესადგენად სხვა მეთოდის გამოყენებით მიიღო ისეთი შედეგები, რომლებიც განსაცვიფრებლად ეთანხმება ხენინგტონის დასკვნებს.

გადატრიალება მოტორიან ტრანსპორტზე

თუ ამერიკულ გაზეთებს დაუჯერებთ, მოტორიან ტრანსპორტში ნამდვილი გადატრიალება მზადდება. შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდეს სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელმა კინმ თითქო აღმოაჩინა საავტომობილო და საავიაციო მოტორებში ბენზინის ნაცვლად გაუწმენდავი ნავთისა და ნავთის ნარჩენების გამოყენების საშუალება. ამ აღმოჩენის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები: ახალი საწვავი მასალა თითქმის ერთი მესამედით იაფი ღირს, ვიდრე ბენზინი; თუ წარმოიდგენთ, რომ ახალ საწვავ მასალაზე გადაყვანილი იქნება შეერთებულ შტატების ყველა ავტომობილები, რომელთა რაოდენობა იქ 20.000.000 უდრის, ყოველწლიური ეკონომია იძლევა ზღაპრულ ციფრს—2 მილიარდ მანეთს. ახალი საწვავი მასალის ღირსება მარტო სიიაფით არ ამოიწურება. ახალი საწვავი მასალით სარგებლობის დროს წარმოშობილი გაზები სრულიად არ შეიცავს ნახშირჟანგის ქანგს, რომელიც აუცილებლად იქმნება ბენზინზე მომუშავე მოტორებში და სწამლავს ჰაერს.

ბრძოლა მსოფლიო საავიაციო რეკორდებისათვის

ინგლისის ავიაციის მინისტრმა სამუელ ხორმა ავიამრეწველთა ბანკეტზე განაცხადა, რომ ინგლისის ავიაციას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში და განზრახული აქვს სერიოზულად დაამტკიცოს ინგლისის ავიაციის უპირატესობა.

როგორც პრესაში გამოქვეყნებული კანტი-კურტ ცნობებიდან სჩანს ინგლისის საავიაციო სამინისტრო ფარულად ინტენსიურად ემზადება ფრენის ხანგრძლიობის, სიმაღლისა და სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად.

ტრადიციული შეჯიბრება ფრენის სისწრაფეში (ე. წ. „შეჯიბრება შნეიდერის ფილაზე") მიმდინარე წელს (ზაფხულში) ინგლისში გაიმართება. უკანასკნელ შეჯიბრებაში პირველობა ინგლისს დარჩა. ახლა ავიაციის სამინისტრომ ამოცანად დაისახა არა მარტო შეინარჩუნოს პირველობა, არამედ გააფართოვოს წარსული მიღწევები. ამ მიზნით ფარულად მზადდება „სუპერმარინის" ტიპის მთელი რიგი აეროპლანები. ამ ტიპის აეროპლანით იქნა შარშან დამყარებული შარშანდელი რეკორდი. ხმებია, რომ ამ ტიპის საცდელმა მოდელებმა მიაღწიეს ზღაპრულ სისწრაფეს—500 კილომეტრს საათში. მიუხედავად ამისა, ინგლისელები სერიოზული მეტოქეობა მოელიან იტალიელებისა და განსაკუთრებით ამერიკელების მხრივ რომლებმაც, მიიღეს რა მხედველობაში წარსული წლის შეცდომები, ენერგიული ზომები მიიღეს მათ გამოსასწორებლად.

ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდის დასამყარებლად მოეწყობა გადაფრენა მონოპლანით „ფეირი-ნეპირი", მარშრუტით კეპტოუნ (სამხრეთ-აფრიკა)—ლონდონი, 9.000 კილომეტრის მანძილზე. საინტერესოა იმის მოგონება, რომ ლინდბერგმა თავისი ისტორიული გადაფრენის დროს (ამერიკიდან ევროპაში) ორნახევარჯერ ნაკლები მანძილი გაიარა. „ფეირი-ნეპირი"-ის საშუალო სისწრაფე არ აღემატება 150 კილომეტრს საათში. მთელ გადაფრენის მოუნდება სამი დღე-ღამე. აეროპლანის რაზმი შედგენილ იქნება რამდენიმე მფრინავისაგან, რომლებიც მორიგეობით იმუშავებენ.

ზაფხულში მოეწყობა ცდა სიმაღლის ახალი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად. ამჟამად რეკორდი ეკუთვნის იტალიელ მფრინავ დონატის და დაახლოებით 12 კილომეტრს უდრის. ამ სიმაღლეზე ფრენისათვის საჭირო შეიქნა მთელ რიგ არსებითი ცვლილებების შეტანა აეროპლანის კონსტრუქციაში, მოტორებში და მფრინავის კოსტიუმებში. მფრინავისათვის მზადდება სპეციალური კოსტიუმი, რომელშიც არ ატანს არც ჰაერი და არც სიცივე. [illegible] მფრინავს ექნება [illegible], რომელიც შეერთებული იქნება [illegible]. არაჩვეულებრივად დაბალი ტემპერატურა, რომელიც გამეფებულია ამ სიმაღლეზე (50 გრადუსამდი ნოლს დაბლა) სრულიად შეუძლებლად ხდის წყლის გამოყენებას მოტორის გასაცივებლად. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ზეთისა და [illegible] ნივთიერების ნარევი, რომელიც არ იყინება.

ცეპელინის მომავალი გაფრენა

თებერვლის დამლევს დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" მგზავრებით გადაფრინდება ხმელთა შუა ზღვაზე ევროპის, აზიის და აფრიკის ნაპირების გასწვრივ. გადაფრენა გაგრძელდება 3—4 დღე-ღამე. გადაფრენის მარშრუტია: მარსელი-ალექსანდრია-კაირო-იაფფა იერუსალიმი-ტრიესტი-ვენა.

შემდეგი გადაფრენა მგზავრებით მოეწყობა მარტში და აპრილში: კანარის კუნძულებზე, მადეირაზე, და ისლანდიაში. ამ გაფრენის ხანგრძლივობა 48 საათს არ აღემატება.

მაისში და ივნისში დირიჟაბლი გადაფრინდება (მგზავრებით და ფოსტით) ამერიკაში. შესაძლებელია, რომ მეორე გადაფრენის დროს დირიჟაბლი ამერიკიდან აზიაში გაფრინდება და ამრიგად გაფრენა მიიღებს დედამიწის გარშემო გადაფრენის ხასიათს.

ახალი ლითონი

კრუპის ქარხანამ ესენში (გერმანია) გამოუშვა ახალი სახის ფოლადი, რომელმაც გადატრიალება უნდა მოახდინოს ლითონების დამუშავების ტეხნიკაში. ახალი ლითონი წარმოადგენს ფოლადისა და ვოლფრამის კარბიდის ნარევს. მისი სიმაგრე განსაცვიფრებელია. ახალი ფოლადის ნაჭრით შეიძლება [illegible], რომელსაც, ალმასის შემდეგ, სიმაგრით მეორე ადგილი უჭირავს. ახალი ლითონის სიმაგრის გამორკვევის ცდა [illegible] დასრულდა, რადგან ალმასი დაიშალა ახალი ლითონის [illegible], როგორც სჩანს ახალი ფოლადი სიმაგრით მხოლოდ რამდენიმეთ ჩამოუვარდება ალმასს. ახალი ლითონის ჭრის თვისება საუცხოვოა. იგი თავისუფლად სჭრის მინას, ფაიფურს და მაგარ ნაირობებს, რომლებზედაც მუშაობის დროს ჩვეულებრივი საჭრელი ჩქარა ცვდება. ახალი ლითონი იმდენად მაგარია, რომ მისგან დამზადებული საჭრელების გალესვა არ შეიძლება ჩვეულებრივ ზუმფარაზე (наждак), რადგან ზუმფარა საჭრელის გალესვის მაგიერ თვით იშლება.

კეთრის განკურნება

ამჟამად კეთრი აღარ ითვლება განუკურნავ სნეულებათ, ხანგრძლივი და რეგულიარული მკურნალობით შეიძლება მისგან განთავისუფლება. იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია კეთრისაგან განკურნება, ამტკიცებს საქმიანობა კარვილის (ლუიზიანის შტატი, შეერთ. შტატები) ლეპროზორიუმის, რომელმაც უკანასკნელი წლის განმავლობაში გამოუშვა კეთრისაგან სრულიად განკურნებული 7 პაციენტი. სულ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ლეპროზორიუმში განიკურნა 37 კეთროვანი, რომელთაგან მხოლოდ ერთს დაუბრუნდა ავადმყოფობის ნიშნები.

მკურნალობის მთავარ საშუალებას, რომელსაც ლეპროზორიუმში მიმართავენ კეთრის სამკურნალოდ, წარმოადგენს ტროპიკული მცენარიდან—„ჩაულმოოგრიდან" დამზადებული ზეთი.

ამჟამად ლეპროზორიუმში თავმოყრილია 400 კეთროვანი, უმთავრესად ყვითელი რასის წარმომადგენლები—ჩინელები, მალაელები და სხვ.

მიმოსვლის გზათა საკავშირო მუზეუმი



მიმდინარე წლის ნოემბერში შესრულდა 115 წელი მიმოსვლის გზათა (ახლა-საკავშირო) მუზეუმის დაარსებიდან.

ეს მუზეუმი—ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში და ექსპონატების სიმრავლის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ყველა ექსპონატების ღირებულება დაახლოებით 2 ნახ. მილიონ ოქროს მანეთს უდრის. მუზეუმი დაკეტილი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში და გახსნილ იქნა იუბილეს დღეებში.

სურათზე—პირველი მატარებელი, რომელიც გაუშვეს რუსეთის რკინიგზებზე 1852 წ. მოდელი დამზადებული ნამდვილი მატარებლიდან. ორთქლმავლის მექანიზმი დღემდი მუშაობს.

საჰაერო ფორდი



ამერიკის ცნობილი საავტომობილო ფირმა „გენრი ფორდ" ამჟამად ამზადებს პატარა ორადგილიან აეროპლანებს.

სურათზე—ფორდის პატარა აეროპლანი, რომლითაც მფრინავი გარი ბრუკსი ლინდბერგის დედასთან ერთად გაფრინდა მექსიკაში.

ცეცხლ-გამძლე ქაღალდი

გერმანიაში აღმოაჩინეს ხსნარი, რომლით გაჟღენთვის შემდეგ ქაღალდი ცეცხლგამძლე ხდება. ერთი ცდის დროს ასეთი ცეცხლგამძლე ქაღალდში გამოხვიეს გაზეთი და შემდეგ შეკვრა მოათავსეს ცეცხლის ალში, რომლის ტემპერატურა 1000 გრადუსს უდრიდა. რამდენიმე წამის შემდეგ ქაღალდი გამოიღეს ცეცხლიდან და აღმოჩნდა რომ შიგ გახვეული გაზეთი არამც თუ არ დამწვარა, არამედ არც გაყვითლებულა. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ქაღალდი საერთოდ ცუდათ ატარებს სითბოს, ახლად აღმოჩენილი ხსნარით გაჟღენთვის შემდეგ, ქაღალდი არა თუ იცავს მასში გახვეულ საგანს დაწვისაგან, არამედ სითბოსაც არ ატარებს მას. ცეცხლგამძლე ქაღალდის გამომგონებელი აღნიშნავს, რომ მისი გამოგონება პირველ რიგში იქნება გამოყენებული მშენებლობაში (კედლებზე გასაკრავათ და სხვ.), ასეთ ქაღალდზე დაიბეჭდება მნიშვნელოვანი დოკუმენტები და იშვიათი წიგნები, მეხანძრეებისათვის ტანსაცმელის დასამზადებლად და სხვ.

რადიო-აპარატების დამზადება გერმანიაში



ქვედა რიგში: დამზადებული რადიო-მიმღები აპარატები. ზედა რიგში: უკვე შემოწმებული აპარატები.

საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესი

კონგრესის გახსნა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბათომის სახელმწიფო თეატრის დარბაზში 24 იანვარს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესი. კონგრესის გახსნამ მიიღო არაჩვეულებრივი საზეიმო ხასიათი. ყრილობაზე გამოცხადდენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები-ექიმები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები—რიცხვით 400 კაცამდე. საზეიმო სხდომას ხსნის კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე პროფ. ალ. ნათიშვილი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა კონგრესის წევრებს:

პროფ. ნათიშვილის სიტყვა

ამ კონგრესის მოწვევა განზრახული იყო 1927 წელს, მაგრამ წარსულ კონგრესზე არჩეული საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის პროფ. გოგიტიძის და ორი წევრის: პროფ. კახიანის და ექ. ნაზარაშვილის გარდაცვალების გამო, კონგრესის მოწვევა დაგვიანდა. (პროფ. ნათიშვილის წინადადებით კონგრესმა ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ წევრთა ხსოვნას).

მიმდინარე კონგრესის საპროგრამო საკითხებად გამოცხადებულია 3 საკითხი. პირველი ორი საკითხი კუჭის წყალი და კოლიტები უაღრესად აქტუალური საკითხებია ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ამ საკითხების მეცნიერული დამუშავება მხოლოდ ეხლა იწყება. რაც შეეხება მესამე საკითხს ქართული მოსახლეობის მოძრაობას, ამ მხრივ დღემდის არ ყოფილა წარმოებული მეცნიერული კვლევა-ძიებანი. რა თქმა უნდა ამ კონგრესით არ ამოიწურება ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ მათ შესწავლას ამიერიდან ჩაეყრება საფუძვლები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ კონგრესზე აჭარისტანში ჩიყვის გავრცელების საკითხი. ამ საკითხზე ფრიად საინტერესო მოხსენებას წარმოადგენს აჭარისტანის მთავრობის უშუალო დახმარებით მოწყობილი სპეციალური ექსპედიციის წევრები. გარდა აღნიშნულ საკითხებისა კონგრესის დღის წესრიგში დასმულია 80 მოხსენება არასაპროგრამო საკითხებზე. ბევრი მოხსენება შეეხება ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, რომელიც მომავალი კონგრესის საპროგრამო საკითხებად გადაიქცევა. საორგანიზაციო ბიუროს სახელით საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო ის უდიდესი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება, რომელიც გაგვიწია საქართველოს და აჭარისტანის მთავრობის ორგანოებმა და აგრეთვე წითელმა ჯვარმა.

თქვენი სახელით, ნება მიბოძეთ მივესალმო ჩვენს ხელისუფლებას და უშუალო მასპინძლებს აჭარისტანის მთავრობის ორგანოებს. (ტაში).

პრეზიდიუმის არჩევა

საორგანიზაციო ბიუროს წინადადებით კონგრესის საპატიო პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. სტალინი, რიკოვი, კალინინი, ორჯონიკიძე; სემაშკო; ლუნაჩარსკი; ორახელაშვილი, ელიავა; ცხაკაია, მახარაძე, ალამალი-ოღლი; კასიანი; კახიანი; სურმანიძე და გოგიბერიძე. საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ პროფ. ალ. ალადაშვილი, წევრებად: ამხ. გრ. კუტაიძე, პ. კიკალეიშვილი, დ. კანდელაკი, პროფ. ალ. ნათიშვილი; პროფ. წინამძღვარიშვილი, ამირეჯიბი; ვლ. ჟღენტი; ს. ვირსალაძე, გრ. მუხაძე, ალ. მაჭავარიანი, შ. მიქელაძე; ალ. წულუკიძე; ვლ. ცეცხლაძე; ექ. ფანცხავა, ქ. ლორთქიფანიძე, ს. ხედგინიძე; აჭარისტანიდან—ამხ. ი. ბოლქვაძე; ვ. ქორელიანი, ვ. მაქაცარია, ვ. მჭედლიძე, მ. ლოლუა; ს. ლორთქიფანიძე, ჯინჭარაძე; ხუნდაძე; გიგინეიშვილი; ფენსტერი; შუშანია; თუმანიშვილი, აფხაზეთიდან—ექ. ანჩაბაძე, შერვაშიძე, სამხრეთ-ოსეთიდან—ექ. ფიოლოვი, ქუთაისიდან—ექ. ლოსაბერიძე გორიდან—ექ. გვირდწითელი და ელიოზიშვილი, კახეთიდან—ჩიქვაიძე, ახალციხიდან—ასათიანი, ჭიათურიდან—გამრეკელი. მდივნებად: დოც. მგალობლიშვილი, ექ. ასლანიშვილი, ექ. ქავთარაძე, ჟღენტი; მერაბიშვილი: ა. უსტიაშვილი, ქ. ვეფხვაძე, ამაშუკელი; ლ. ლომთათიძე; ი. პარმა, გ. დიდებულიძე; დ. ჯავახიშვილი.

კონგრესის თავმჯდომარე პროფ. ალ. ალადაშვილი კონგრესის სახელით მადლობას უცხადებს საორგანიზაციო ბიუროს ჩატარებული მუშაობისათვის და მისასალმებელ სიტყვას აძლევს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ჯანმრთელობის სახ. კომისარს ამხ. გრ. კუტაიძეს.

ამხ. გრ. კუტაიძის სიტყვა

საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმული არიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, რომლის მიზანია აღმშენებლობის საწარმოო ძალების დაცვა და განვითარება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულ ძალების ფართო მონაწილეობით. ამ კონგრესს უხდება მუშაობა იმ დროს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა შენდება ახალ, წმინდა მეცნიერულ საფუძვლებზე, როდესაც გაძლიერებული ტემპით ტარდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის სრული გარდაქმნა. იცვლება მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, იზრდება მუშების რიცხვი მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში. ასეთ პირობებში ხალხის ჯანმრთელობის დამცველი მუშაკების წინ იშლება ახალი ამოცანები. ჩვენ გვმართებს ბრძოლის გაძლიერება პროფესიონალურ დაავადებებთან, პროფმავნებლობასთან და შრომის პირობების გაჯანსაღებისათვის და პირველ რიგში წარმოებაში ჩაბმულ ახალგაზრდათა და ქალების ჯანმრთელობის დაცვისათვის. საბჭოთა მედიცინის მთავარ ამოცანას შეადგენს დაავადებათა გამომწვევი მიზეზების გამორკვევა და თავის დროზე სათანადო ზომების მიღება. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების შესწავლას. ამიტომ, როდესაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მუშაობის ამ მხარეს უნდა მივაქციოთ.

ჩვენი მუშაობის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ფართო მონაწილეობას ამ მუშაობაში. ფართო მასებთან ცოცხალი კავშირის დაჭერა—აი, მთავარი პირობა ჩვენი მუშაობის წარმოებისათვის. მე იმედი მაქვს, რომ კონგრესი სისწორით აღნიშნავს თავის უახლოეს მეცნიერულ ამოცანებს.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მე-5 კონგრესი შეკრებილია წითელი აჭარისტანის ლედაქალაქში, იმ ქალაქში, სადაც ბარცხანის მუშებმა თვითმპყრობელობასთან თავდადებულ ბრძოლაში მტკიცე ნიადაგი მოუმზადეს მშრომელი მასების საბოლოო გამარჯვებას.

ნება მომეცით საქ. სახ. კომისართა საბჭოს სახელით გადმოგცეთ სალამი და სურვილი, რათა კონგრესმა ნაყოფიერად ჩაატაროს თავისი მუშაობა.

მისალმებები

შემდეგ კონგრესს მიესალმნენ აჭარისტანის მთავრობის სახელით ამხ. ბოლქვაძე, აფხაზეთის მთავრობის სახელით—ამხ. ანჩაბაძე, აჭარისტანის მედსანშრომის წარმომადგენელი—ამხ. ხუნდაძე, ამიერ-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წარმომადგენელი—ამხ. შტეინგერი, აჭარისტ. გლეხობის წარმომადგენელი—დ. მელაძე, ჩადრახდილი ქალების წარმომადგენელი—აიშე ქიქავა, ბათომის ექიმთა საზ-ის წარმომადგენელი ექ. ინგოროყვა, ექ. ფენსტერი და სხვ.

შემდეგ თავმჯდომარე აცნობს ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის მ. ცხაკაიას და საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის მისალმებელ დეპეშებს.

საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ კონგრესის დელეგაციებისათვის გაიმართა კონცერტი.

ექ. ქ. ვეფხვაძე.

25 იანვრის დილის სხდომა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კუჭის წყლულის კლინიკა და თერაპია

კუჭის წყლულის კლინიკა და თერაპია

კონგრესის პირველ საქმიან სხდომას ხსნის თავმჯდომარე პროფ. ალ. ალადაშვილი. მოსმენილი იქნა 6 მოხსენება პირველ საპროგრამო საკითხზე — კუჭის წყლულის კლინიკა და თერაპია. პირველ მოხსენებას კუჭის წყლულის კლინიკის შესახებ აკეთებს პროფ. ს. ვირსალაძე.

პროფ. ვირსალაძის მოხსენება

100 წელიწადი გათავდა, რაც კუჭის წყლულის შესწავლა სწარმოებს, მაგრამ ამ დაავადების ეტიოლოგია (გამომწვევი მიზეზი) და პათოგენეზი ჯერ კიდევ არსებითად გამორკვეული არ არის, რადგან დამთავრებული არ არის კუჭის ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თვისებების შესწავლა. არსებობს მხოლოდ რამდენიმე თეორია ამ დაავადების წარმოშობის შესახებ. აზოფის აზრით კუჭის წყლული ვითარდება კუჭის ლორწოვანი გარსის ადგილობრივი მკვეთრი დაზიანების ნიადაგზე, ხოლო მკვეთრი დაზიანების ქრონიკულ წყლულად გადაქცევას ხელს უწყობს სხვადასხვა გარემოება, როგორც მაგ. კუჭის წვენის და სიმჟავის მომეტებული გამოყოფა, ნერვული გავლენა, სისხლძარღვთა ცვლილებანი. სისხლძარღვთა ზოგადი სკლეროზის ნიადაგზე უფრო ხშირია წყლულის განვითარება. გარდა ამისა ზოგიერთ მეცნიერებს ხელოვნურად მიუღიათ ცხოველებზე კუჭის და თორმეტ გოჯა ნაწლავის წყლული სიმპატიური ნერვების გაღიზიანებით. აქვს მნიშვნელობა აგრეთვე შთამომავლობითისა და კონსტიტუციონალურ ფაქტორებს, ინფექციას და სხვა.

რაც შეეხება კუჭის წყლულის ამოცნობას, დღეს ამ დაავადების დიაგნოსტიკა იმდენად განვითარებულია, რომ შესაძლოა არა მხოლოდ ძირითადი ავადმყოფობის და მისი მდებარეობის გამორკვევა, არამედ სხვა მეორადი ხასიათის გართულებებისაც (კუჭის გასავლის შევიწროება, შეხორცებანი, კუჭის დეფორმაცია და სხვ.). ამ მხრივ დიდ სამსახურს გვიწევს რენტგენის სხივებით გაშუქება და სურათის გადაღება. კუჭის წყლულის კლინიკურად შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვათა შორის სათანადო კლინიკური კლასიფიკაციის დამუშავებას. რაც შეეხება ამ სნეულების მკურნალობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატიული მკურნალობა (დიეტა, პროტეინ - თერაპია, ფიზიკური მეთოდები და სხვ.) იძლევა წყლულის სრულ კლინიკურ განკურნებას 2-მესამედ შემთხვევაში. ქირურგიული მკურნალობა მიზანშეწონილია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში. კლინიკის 201 შემთხვევიდან ოპერაციული მკურნალობა ჩატარდა 43 შემთხვევაში.

პროფ. წინამძღვრიშვილის მოხსენება

მეორე მომხსენებელი ეხება კუჭის და 12 გოჯა ნაწლავის წყლულის რენტგენო - დიაგნოსტიკას. კუჭ-ნაწლავის დაავადების გამოცნობა ჩვეულებრივი ფიზიკური მეთოდებით მეტად ძნელია. ამიტომ რენტგენოდიაგნოსტიკას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. რენტგენის სხივების საშუალებით შეიძლება კუჭის და 12 გოჯა ნაწლავის წყლულის და მეორადი მოვლენების სისწორით ამოცნობა. მომხსენებელი ეხება კუჭის წყლულის რენტგენო - ანატომიურ საფუძვლებს და რენტგენო - გრაფიის ტეხნიკას. წინად აწარმოებდენ მხოლოდ პირდაპირი მიმართულებით გაშუქებას, ეხლა კი დიდ მნიშვნელობას აძლევენ აგრეთვე კუჭის გვერდითი მიმართულებით გაშუქებას. გარდა ამისა მიზანშეწონილია კუჭის გაშუქების დროსვე რენტგენის სურათის გადაღება. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ნიშის სიმპტომზე. ნიში—რენტგენოლოგიური ჩრდილის დანამატია, იგი წარმოადგენს კუჭის და თორმეტ გოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის შეშუპებული ნაოჭების სილუეტს. ნიშის მოხაზულობისა და ფორმის მიხედვით შეიძლება გამოვარკვიოთ წყლულის მიმდინარეობა. ცვლილებები, პროგნოზი და ამა თუ იმ თერაპიული საშუალების გავლენა. ყოველ ცალკე შემთხვევაში წინასწარ უნდა იყოს შედგენილი რენტგენოლოგიური გამოკვლევის გეგმა, ამიტომ საჭიროა, რათა შეთანხმებული იქნას რენტგენოლოგისა და კლინიცისტის მუშაობა. გარდა ამისა რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა კონსტიტუციონალური ტიპები.

დასასრულ მომხსენებელი ეხება რენტგენოდიაგნოსტიკაში შესაძლებელ სხვადასხვა შეცდომებს და მიუთითებს იმ საშუალებებზე, რომლითაც ზოგიერთ შემთხვევაში ადვილია ამგვარი შეცდომების თავიდან აცილება.

პროფ. გრ. მუხაძის მოხსენება

პროფ. მუხაძის ავადმყოფობის გამო, მის მოხსენებას კითხულობს პრივ. დოც. ქ. ერისთავი. მოხსენების შინაარსი მოკლედ შემდეგია: კუჭის წყლულის დროს ყოველგვარი ქირურგიული მკურნალობა უმეტეს შემთხვევაში პალიატიურია და ამიტომ მას უნდა მივმართოთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. დღეს-დღეობით არსებობს კუჭის წყლულის მკურნალობის ორი უმთავრესი ოპერაციული მეთოდი: 1) კუჭსა და ნაწლავს შორის ახალი ხელოვნური გზის შექმნა და 2) კუჭის დაავადებული ნაწილის ამოკვეთა (რეზექცია). ამ ორ მეთოდიდან უპირატესობა პირველს უნდა მივაკუთვნოთ. ყოველგვარ ოპერაციულ დახმარებას აქვს ფასი და აზრი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავის დროზე კეთდება, ამიტომ საჭიროა შეთანხმებული მუშაობა დოსტაქარისა და თერაპევტისა. კუჭის წყლულის მკურნალობის საკითხში მიუღებელია, როგორც უკიდურესი რადიკალიზმი, ისე უკიდურესი კონსერვატიზმი.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექ. თ. ქალანტაროვის მოხსენება კუჭის და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაციის შესახებ, ექ. ფროლოვის მოხსენება (რუსულ ენაზე)—„კუჭის წყლულის შემთხვევები აჭარისტანის მთავარ საავადმყოფოს მასალის მიხედვით" და ექ. ე. თოდაძის მოხსენება „კუჭის ნაწლავთა ანასტომოზის (შეერთების) შექმნა სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა საშუალებით".

ექ. ქ. ვეფხვაძე.

25 იანვრის საღამოს სხდომა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი საგან)

კამათი მოხსენების გარშემო

პროფ. ჟღენტი აღნიშნავს, რომ ჩვენში პათოლოგიურ-ანატომიური ინსტიტუტის სასექციო მასალის მიხედვით, კუჭის წყლული უფრო ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში (მაგ. გერმანიაში). გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს კუჭის წყლულის ზოგიერთ შემთხვევაში კიბოდ გადაქცევის საკითხი. პერფორაციულ და მრგვალ წყლულ შორის პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს. წყლულის გახვრეტა (პერფორაცია) ამ დაავადების ერთ-ერთი გამოსავალია. რაც შეეხება წყლულის გამომწვევ მიზეზს, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სისხლძარღვთა ორგანიულ დაზიანებას. ნევროგენიული ფაქტორები, არავითარ როლს არ თამაშობენ. ექ. პაპიტაშვილი ეხება კუჭის წყლულის მკურნალობას და აღნიშნავს უარყოფით შეხედულებას რძის დიეტაზე. ექ. კონიაშვილი—წარმოდგენილ მოხსენებაში არ იყო აღნიშნული რა პირობებში წარმოიშობა ჩვენში კუჭის წყლული, დაწვრილებით არ იყო აღნიშნული აგრეთვე, რომელ სტადიაში რა სახის მკურნალობაა მიზანშეწონილი. ექ. ივ. ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ კონგრესის დღის წესრიგში დასმული პირველი საპროგრამო საკითხი ვერ არის ყოველმხრივ დამუშავებული; აღნიშნული დაავადების შესწავლა უნდა იყოს შეფარდებული ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობებთან. არ არის გამორკვეული, რა მნიშვნელობა აქვს კუჭის წყლულის განვითარებაში პირის ღრუს დაავადებას, ხალხის კვებას, პროფესიას, შრომის პირობებს და სხვა. ექ. ე. შალამბერიძე ეხება წყლულის ეტიოლოგიას და დიდ მნიშვნელობას აძლევს ვეგეტატიურ ნერვიულ სისტემის მდგომარეობას. პრივ. დოც. ცეცხლაძე აღნიშნავს, რომ კუჭის წყლულის წარმოშობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კონსტიტუციონალურ ფაქტორებს. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფ. თიკანაძემ, ექ. ახმეტელმა, პრივ. დოც. ქ. ერისთავმა, ექ. დ. მიქელაძემ, ექ. გიგებჭკორმა, ექ. შერვაშიძემ (აფხაზეთი), დოც. ა. წულუკიძემ, ექ. ოდიშარიამ, ექ. მჟავანაძემ, ექ. მაქაცარიამ (ბათომი) ექ. ქომონზერმა (ქუთაისი). ექ. ლოსაბერიძემ (ქუთაისი).

მისალმებები კონგრესს

დასასრულ ყრილობას მიესალმა აჭარისტანის ახალგ. კომკავშირის მე-12 ყრილობის დელეგატი ამხ. ახობაძე. საპასუხო სიტყვაში პროფ. ალადაშვილმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობასა და ექიმთა შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს, რადგან ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა საწინდარია ჩვენი კულტურული და მეცნიერული წინსვლისა.

კონგრესმა აირჩია და გაგზავნა კომკავშირ-ს ყრილობაზე დელეგაცია პროფ. თიკანაძის, ექ. ივ. ლორთქიფანიძის, დოც. წულუკიძის, ექ. ფანცხავას და ქბ. ექ. ურუშაძის შემადგენლობით.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა.

ექ. ქ. ვეფხვაძე.

ბათომი, 25 იანვარი.

საქ. პროფსაბჭოს საქალაქო პლენუმი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა პროფსაბჭოს საქალაქო პლენუმი კავშირების ც. გამგეობების და ფაბ.-ქარხ.-ადგილკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი სრულიად საკავშირო პროფკავშირთა მერვე ყრილობის შედეგების შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. მაჩაიძემ.

პროფკავშირთა მერვე ყრილობის შედეგები

ამხ. გ. მაჩაიძის მოხსენება

პროფკავშირთა მერვე ყრილობა,—ამბობს ამხ. მაჩაიძე,—მოწვეული იქნა იმ დროს, როდესაც პარტიისა და ხელისუფლების წინაშე დასმულია ფრიად სერიოზული ამოცანები. რომელთა გადაჭრაში პროფკავშირებმაც მიიღეს მონაწილეობა. მე-7 ყრილობიდან მერვე ყრილობამდე პროფკავშირებს თავის მუშაობაში მრავალი მიღწევები აქვს, მაგრამ ამავე დროს არის ნაკლიც რაც უმთავრესად გამოიხატებოდა შემდეგში: ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდასთან ერთად (9½ მილიონი წევრიდან 11 მილიონამდე) სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული მის თვისობრივ გაჯანსაღებას. პროფკავშირების სუსტი მონაწილეობა კაპიტალურ მშენებლობაში და უმუშევრობის შემცირებაში. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სუსტად წარმოება. პროფკავშირული დემოკრატიის არა საკმაოდ გატარება და ზოგან მისი დარღვევა, რაც იწვევდა მასების უნდობლობას პროფორგანოებისადმი და დაშორებას, თვითკრიტიკის სუსტად გაშლას პროფორგანიზაციების მიერ. საკავშირო მასშტაბით ნახევარი წლის განმავლობაში პროფკავშირებში გაფლანგული თანხის რაოდენობა უდრის 442.000 მანეთს, რაც მოწმობს სარევიზიო კომისიების სუსტ მუშაობას და გამფლანგველების მიმართ სუსტი ზომების მიღებას (დაუსჯელობას). მუშათა დაწინაურების საქმე შემთხვევითი ხასიათის ატარებდა არ სწარმოებდა დასაწინაურებელ პირების აღრიცხვაც. აი, ამიტომ მე-8 ყრილობამ დაადგინა რომ პროფკავშირებმა შეიძინონ დასაწინაურებელი პირების საალრიცხვო ფორმა. რათა შესაძლებელი გახდეს იმის აღრიცხვა. თუ ვინ, სად ან რა თანამდებობაზე გადადგება.

შესამჩნევად ვერ მიმდინარეობდა აგრეთვე მუშაობა ქალთა და ახალგაზრდათა შორის არ სწარმოებდა ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში. ზოგ პროფკავშირთა ორგანოში შემოსავლების 50 პროც. მეტი აპარატზე იხარჯებოდა; ყრილობამ აღიარა საჭიროდ ამ ხარჯების მაქსიმალურად შემცირება. პროფკავშირებმა დახმარება უნდა გაუწიონ შრომის დაცვის კომიტეტებს შრომის კანონთა კოდექსის და კოლექტიურ ხელშეკრულებების პირობების დაცვის საქმეში. ამავე დროს საჭირო ზომები უნდა მიიღონ შრომის დისციპლინის და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის 67-ით და შრომის ნაყოფიერების 95 პროცენტით გაზრდა ისე, რომ პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია იქნეს 33 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ საშუალებას მოგვცემს რეალური ხელფასი, გავზარდოთ 56 პროცენტით. ამიტომ პროფკავშირებმა ყველა ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ: გარდა ამისა საჭიროა ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ მეშჩანობას ზოგიერთ საწარმოებში, რითაც ჩვენ შევძლებთ, უმუშევრობას შევამციროთ. პროფკავშირების ხელმძღვანელობით მუშათა მასები თვალყურს უნდა ადევნებდენ საწარმოო კომისიების და თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, ხოლო ეკონომ-კომისიების საშუალებით კი უნდა იბრძოლონ ბიუროკრატიზმის ყოველგვარ გამოხატულებას. დღემდი კულტმუშაობის დარგში ჩვენ არსებული ნაკლოვანებანი მოგვეპოვება. ჩვენი კულტურული მუშაობა ჩამორჩება მასების მოთხოვნილებას. ბევრს კავშირებს კლუბიც კი არ მოეპოვებათ. ფიზკულტურა და სამხედრო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ სდგას და მათი მნიშვნელობა ბევრს პროფკავშირსაც კი არა აქვს შეგნებული. საჭიროა ადგილობრივი პირობების მიხედვით კულტმუშაობის ისეთი მეთოდების და ფორმების გამონახვა. რომელიც დააკმაყოფილებს მუშებს.

პროფორგანოები,—სთქვა დასასრულ ამხ. მაჩაიძემ,—დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ პროფკავშირთა მერვე ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავებას ადგილებზე და შეიმუშაონ ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საზ-ბა „საქართველოს ჩაის" ექსპედიციის მუშაობა იაპონიაში და ჩინეთში

1928 წლის იანვრის პირველ რიცხვებში საზ-ბა „საქართველოს ჩაიმ" იაპონიასა და ჩინეთში გაგზავნა ექსპედიცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ორივე ქვეყანაში ჩაის მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა.

ამ რამდენიმე დღის წინად თბილისში დაბრუნდა ექსპედიციის ხელმძღვანელი და საზ-ბა „საქართველოს ჩაის" გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ქავთარაძე, რომელმაც გუშინ საღამოს მოხსენება გააკეთა საზოგადოების გაფართოებულ სხდომაზე ექსპედიციის მუშაობის შესახებ იაპონიაში და ჩინეთში.

— იაპონიაში ჩასვლისთანავე, — განაცხადა მომხსენებელმა, — ჩვენ მივმართეთ იაპონიის ჩაის მრეწველობის ცენტრალურ ასოციაციას, რომლის საშუალებითაც უნდა გავცნობოდით ჩაის მრეწველობის საქმეს იაპონიის ჩაის მეურნეობის ყველა რაიონებში.

ჩაის მეურნეობის ცენტრად იაპონიაში ითვლება სიზუოკის გუბერნია, სადაც გაშენებულია ჩაის უდიდესი პლანტაციები. პლანტაციების ცალკე ჯგუფების დათვალიერების დროს ჩვენ ვსწავლობდით ჩაის რაიონების კლიმატოლოგიას, ვეცნობოდით ნიადაგის ხასიათს, ვაგროვებდით ცნობებს ატმოსფერული ნალექების რაოდენობისა და მისი გავლენის შესახებ ჩაის მოსავალზე და სხვა გარდა ამისა ექსპედიციის წევრები სპეციალურად ეცნობოდენ და სწავლობდნენ ჩაის გადამუშავების ტეხნიკურ მხარეს თვით ქარხნებში. ქარხნებში ჩაის გადამუშავების პროცესმა დაარწმუნა ექსპედიციის წევრები, რომ საქართველოში აგებული ჩაის გადასამუშავებელი ქარხნები თავისი ტეხნიკური მოწყობილობით არაფრით არ ჩამორჩება იაპონურ ქარხნებს.

ექსპედიციის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს ჩაის მეურნეობის მდგომარეობა ყველაზე უფრო ცნობილ ფუძის ფაქტორიაში. აქ ექსპედიციის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს ჩაის ბუჩქებიდან თესლის შეგროვების წესი. შემდეგ ექსპედიციამ ინახულა და დაწვრილებით გაეცნო იაპონიის „საიმპერატორო ჩაის საცდელი სადგურის" მუშაობას.

ასეთივე ხასიათის მუშაობა ჩატარებულ იქნა კიოტოს გუბერნიაში. საერთოდ ექსპედიციამ თავისი მუშაობა ჩაატარა, როგორც იაპონიის სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ გუბერნიებშიაც. სხვათა შორის დაწვრილებით იქნა შესწავლილი მურაკანის გუბერნიაში გაშენებული ჩაის პლანტაციების მდგომარეობა. ეს გუბერნია ექსპედიციის წევრებისათვის საინტერესო იყო იმიტომ, რომ იგი თავისი გეოგრაფიული და კლიმატიური პირობებით ძალიან მაგავს ოზურგეთის მაზრის ჩაის მეურნეობის რაიონებს.

იაპონიაში ამჟამად ითვლება 80 მილიონი მცხოვრები (ანუ ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 325 — 1800-მდე კაცი). არცერთ ქვეყანაში მიწის ისეთი სივიწროვე არაა, როგორც იაპონიაში. იაპონელი საშუალო გლეხის ქონება შეიძლება შეფასებულ იქნეს დაახლოებით 200 მანეთად. გლეხურ მოსახლეობაში სჭარბობენ უმიწაწყლო გლეხები. ეს იწვევს დიდ უმუშევრობას და მართლაც იაპონიაში მუშა-ხელი ისე იაფია, როგორც არსად სხვა ქვეყნებში. იაპონელი გლეხი იკვებება მთავრესად ფხალით და ორ კვირაში ერთხელ შეიძლება სჭამოს ბრინჯიც. საერთოდ იაპონიის მეურნეობაში პირველი ადგილი უკავია ბრინჯის კულტურას, მეორე ჩაისას და შემდეგ სხვა კულტურებს.

იაპონიის ცენტრალური ჩაის მრეწველობის ასოციაციის ცნობით მთელ იაპონიაში ყოველწლიურად მოდის დაახლოებით 65 მილიონი გირვანქა ჩაი. აქედან 60 მილიონი საღდება საზღვარგარეთ.

იაპონიიდან ექსპედიციის წევრები უნდა გამგზავრებულიყვნენ ჩინეთში, სადაც გარდა ჩაის მეურნეობის გაცნობისა უნდა შეეძინათ 2.000 ფუთი ჩაის თესლი. მაგრამ ვინაიდან ჩინეთში და განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც უფრო ფართო ნიადაგზეა დაყენებული ჩაის კულტურა, ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომებს და არეულობას, გადაწყვეტილ იქნა, რომ ჩინეთში გამგზავრებულიყო მარტო ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. ქავთარაძე, რომელსაც უნდა მოეგვარებია ჩაის თესლის შესყიდვის საქმე.

ჩინეთში ვერ მოხერხდა ჩაის თესლის ისეთი რაოდენობით შეძენა, როგორც ეს განზრახული იყო, რადგან ამას ხელი შეუშალა გართულებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ.

მოხსენების შემდეგ კრებაზე, ექსპედიციის მუშაობის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა პროფ. ტიმოფეევმა, ცუგაკმა და სხვებმა.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იწონებს ექსპედიციის მიერ ჩატარებულ მუშაობას.

წითელ ყაზარმის დათვალიერება

ჯანმრთელობის ორგანოები ეხმარებიან წითელ არმიას

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 26 იანვარს მოიწვია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების თათბირი წითელი ყაზარმის დათვალიერების კამპანიისათვის ხელის შესაწყობად. თათბირს, წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელთა გარდა, ესწრებოდნენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანმედჯანპრობის, საქალაქო სამმართველოს, კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სანიტარულ სამმართველოს და მედსანშრომის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები. თათბირმა შეიმუშავა გეგმა რომლითაც გათვალისწინებულია, თვითეულმა დასახელებულმა ორგანომ როგორი კონკრეტული მონაწილეობა უნდა მიიღოს წითელი ყაზარმის დათვალიერების საქმეში.

ლენკუთხის მორთვა

ფულადი სუბსიდიების გარდა, რომლებსაც ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოები გადასდებენ, განზრახულია წითელ ყაზარმებში გაიგზავნონ წითელი ჯვრის საზოგადოების ქალთა რაზმები წითელ არმიელთა თეთრეულის, ლეიბების და სხვა ნივთების შესაკეთებლად. სახმედიამგრობა და საქალაქო სამმართველო დაეხმარებიან წითელ არმიელებისათვის საჭირო ჰიგიენური ნივთების—კბილის საწმენდების კბილის ფხვნილის, საპნის და სხ. შეძენა. გარდა ამისა, განზრახულია გადაიდოს განსაზღვრული თანხები წ.-არმ. ნაწილებში კბილის საექიმო საქმის გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ აკისრეს მიაწოდოს წითელ ყაზარმას სანიტარულ-საგანმანათლებლო ლიტერატურა, განსაკუთრებით ნაციონალურ ენებზე, აგრეთვე მოაწყონ მულიაჟების, მაკეტების და სხვ. პატარა გამოფენები.

ყველა დასახელული ღონისძიება სათანადო ორგანიზაციებმა ცხოვრებაში უნდა გაატარონ არა უგვიანეს 30 იანვრისა.

წითელარმიელთა მასის აქტივობა

მთელ რიგ ნაწილებში, როგორც თბილისში, ისე სხვა ადგილებში ტარდება შაბათობა და კვირეულები ყაზარმის კეთილმოსაწყობად.

ერევანში სახელმწიფო პოლიტსამმართველოს № დივიზიონმა მოაწყო კვირეული, რომლის ზედაც გამოვიდა ყველა წითელ არმიელი და მეთაური. კვირეულმა მისპო იმ დეფექტების უმრავლესობა, რომლებსაც ყაზარმაში ჰქონდა ადგილი.

დიდი წარმატებით ჩატარდა კვირეულები № ცალკე საყარაულო ბატალიონში და ამიერ-კავკასიის სამხედრო ქვეითი სკოლაში.

ლენინაკანში № არტილერიის პოლკმა ოცეულებს შორის გამოაცხადა კონკურსი კულტუროსნობაზე. კონკურსმა საუცხოვო შედეგები გამოიღო.

მუშკორთა საყურადღებოთ

ჩვენს გაზეთებში ხშირად იბეჭდება შენიშვნები თბილისის კომუნალურ მეურნეობის მუშაობის შესახებ.

წერილის ავტორები მიუთითებენ საბჭოს კომუნალურ სექციას ამა თუ იმ ნაკლზე და მოითხოვენ მათ გამოსწორებას. მაგალითად „მუშა"-ს № 1.812 არის საყურადღებო წერილი—დიდებულის ხელმოწერით.

რაბოჩაია პრავდა № 259 არის რამოდენიმე წერილი, სათაურით: „რას ვერ ხედავენ თბილისის საბჭოს სექციები".

გაზეთ „კომუნისტი"-ს №№ 178, 179 ნომრებშიც მოთავსებულია წერილები რომლებიც ეხებიან ჩვენი აღმასკომის და მისი ორგანოების მუშაობას. წერილების ავტორები მოითხოვენ ნაკლის გამოსწორებას.

კომუნალურ სექციას სპეციალური კომისია ჰყავს გამოყოფილი, გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნების გამოსარკვევად და თითქმის ყველა შენიშვნის შინაარსი დასტურდება, ამის შემდეგ სექცია ღებულობს სათანადო ზომებს.

თუ ჩვენი ბიურო ვერ აძლევს თავის დროზე საჭირო პასუხს წერილებისა და შენიშვნების ავტორებს, ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი შენიშვნები უყურადღებოდ რჩება.

კომუნალური სექციის ბიურო თავის მოვალეობათ სთვლის მადლობა გამოუცხადოს ამხანაგ მუშკორებს. მათი შენიშვნებისათვის და იმედოვნებს, რომ ჩვენი მუშკორები მომავალშიც მიუთითებენ საჭირო ნაკლზე და მოაწვდიან.

შეიძლება რაიმე ნაკლის გამოსწორება და შენიშვნების შესრულება ვერ მოხდეს საჩქაროდ. მაგრამ ამან არავის უნდა გაუტეხოს გული, ვინაიდან სულ პატარა შენიშვნაც კი არ რჩება უყურადღებოდ.

კომუნალური სექციის მდივანი.

ჭიათურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ურმების სიმცირე

ტრესტი ამჟამად განიცდის ურმების ნაკლებობას.

ეხლა, როდესაც ამუშავებულია ქარხნებისა და მაღაროების დიდი რიცხვი, ტრესტს ყოველდღიურად სჭირდება 600-მდე ურემი მადნის გადასაზიდათ ქარხნებიდან რკინის გზის ლიანდაგამდე.

ტრესტის მიერ მიღებულია ზომები მეურმეებისა და საქონლის ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად.

მეურმეებს მიეცემათ ბინა საქონლისათვის.

ჭიათურა სავსებით უზრუნველყოფილია თივით და სიმინდით.

თითო მეურმის ხელფასი დღიურად არ იქნება 10 მანეთზე ნაკლები.

ამ დღეებში ტრესტში გამოცხადდა ქართლელი მეურმეების წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი კისრულობს 60 ურემის მოყვანას ჭიათურაში.

ფირმა „პანასიე"-ს ქონების შესყიდვა

შავი-ქვის ტრესტმა ამ დღეებში მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის ძალით ფირმა „პანასიე"-ს მთელი ქონება გადადის შავი-ქვის ტრესტის განკარგულებაში.

ხსენებულ ფირმას ჭიათურაში ჰქონდა მადნის სარეცხი ქარხანა სახლები, საჰაერო გზა და სხვადასხვა მანქანები.

ახალი მაღარო

ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას ყოფ. ფორშტედსლლერის მაღარო (მღვიმევის რაიონში), რომელიც ითვლება ერთ-ერთ მძლავრ მაღაროდ და იძლევა საუკეთესო თვისების მადანს.

„მოხალისეთა არტელები"

ამჟამად იმ არტელების რიცხვი, რომლებიც რეცხავენ ღელეებიდან და ქარხნებიდან ჩამოტანილ მადანს, აღწევს 22.

სამაზრო გლეხკომის მიერ შემუშავებულია დებულება არტელების შესახებ, არტელებს მუშაობას მიეცა გეგმიანი ხასიათი.

შავი-ქვის ტრესტის ცნობით განზრახულია არტელების რიცხვის გადიდება.

სახლების რემონტი

მარგანეცის ტრესტი მოკლე ხანში დაამთავრებს მუშების საცხოვრებელ ბინების რემონტს.

უბედურ შემთხვევათა რიცხვი კლებულობს

შორაპნის მაზრის შრომის ინსპექტორის ცნობით, უბედური შემთხვევათა რიცხვი ჭიათურაში კლებულობს ყოველთვიურად.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული შრომის დაცვას მაღაროების გამაგრებას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ თვით მუშებიც შეგნებულად უყურებენ შრომის დაცვის საკითხებს და ასრულებენ ყოველივე მითითებას ამ დარგში.

სპეცტანსაცმელის გაცემის გარშემო

გაზ. „კომუნისტი"-ს 1929 წლის 12 იანვრის ნომერში ქ. ღვალაძის ხელმოწერით მოთავსებული იყო კორესპონდენცია ქ. ჭიათურიდან შემდეგი სათაურით: „შრომის დაცვის დეფექტები" სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „მუშებს თავის დროზე არ ეძლევა სპეცტანსაცმელი. მიუხედავად იმისა, რომ ტრესტს საკმაოდ მოეპოვება ასეთი".

რედაქციის მიერ მიღებული ცნობებიდან ჩანს, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონში ზოგიერთ სამუშაოზე აქვს ადგილი სპეცტანსაცმელის დაგვიანებით გაცემას.

შრომის ინსპექტორის ყოველი განკარგულება და წინადადება, რომელიც ეხება სპეცტანსაცმელის დაგვიანებით გაცემას ადმინისტრაციის მიერ სრულდება დაუყოვნებლივ.

მარგანეცის ტრესტის მიერ მუშები სავსებით დაკმაყოფილებულნი არიან სპეცტანსაცმელით იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ძველი კოლექტ. ხელშეკრულებით.

ტრესტმა ნორმის გარეშე დაურიგა დამატებითი ტანსაცმელი ქვის მრეცხავ მუშებს, რადგან ამას მოითხოვდა საჭიროება. თუმცა ეს ტანსაცმელი არ არის გათვალისწინებული კოლ. ხელშეკრულების მიერ.

გაზაფხულის თესვის კამპანია

თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის გამოყოფა

საქართველოს ეკონომიურ საბჭომ 25 იანვარის სხდომაზე მოისმინა რა ამხ. ივანოვ-კავკასიელის მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ, გამოყო კამპანიის ჩასატარებლად კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ივანოვ-კავკასიელი (თავმჯდომარე), ს. ჟუღელი (თავმჯდომარის მოადგილე), სააკიანი, ნაფეტვარიძე, არუთინოვი, კალატოზოვი, ცაგარელი და კობახიძე.

თათბირი მებამბეობის საკითხებზე

მეხუთე სხდომა

თათბირის მეხუთე სხდომაზე, 25 იანვარს საღამოს, მოსმენილი იქნა მებამბეობის კომიტეტის სამრეწველო განყოფილების უფროსის ამხ. კრიშტალის მოხსენება მებამბეობის მრეწველობის პერსპექტივების და ავანსების გაცემის გეგმის შესახებ; მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გასული წლის ბამბის დაბალი მოსავლის გამო ბამბის ზეთის პროდუქცია შემცირებული იქნება 460 ტონით; საგრძნობლად შემცირდება აგრეთვე კოტონის დამზადებაც. ავანსების გაცემის გეგმის მიხედვით მომავალ სეზონში ჰექტარ ბამბის ნათესზე მეურნეებს მიეცემათ აზერბეიჯანში—50 მან. 72 კაპ., სომხეთში—46 მ. 01 კაპ. და საქართველოში—40 მან 30 კაპ.; კოლმეურნეობების ავანსი გადიდებული იქნება 25 პროცენტით და გარდა ამისა სპეციალური ღონისძიებებისათვის გაცემული იქნება დამატებითი ავანსი საშუალოთ 9 მან. 39 კაპ. რაოდენობით.

შემდეგ მოსმენილ იქნა მებამბეობის კომიტეტის ეკონომისტის ამხ. შერენცის საინფორმაციო მოხსენება წყალსაქაჩავების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ წყალსაქაჩავები მტკვრის ნაპირებზე მეტად უყურადღებოდ არიან მიტოვებული და თანდათანობით ზიანდებიან და ფუჭდებიან, რაც დიდ საფრთხეს უქადის მათი მოქმედების რაიონების მებამბეობას.

მებამბეთა მომარაგების საქმის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბირიუზოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე წლამდე, მებამბეთა შორის ხორბლის განაწილებას აწარმოებდა მებამბეობის კომიტეტი, ხოლო ფართლის განაწილებას—სამომხმარებლო კოოპერაცია. სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლიდან ხორბლეულის განაწილება უნდა ჩამოერთვას კომიტეტს და გადაეცეს რომელიმე კოოპერატიულ ორგანიზაციას. მომხსენებლის აზრით ამ საქმის გადაცემა უფრო მიზანშეწონილი იქნება მებამბეობის კოოპერაციისათვის, რომელიც უფრო ახლო დგას მებამბეობის საქმესთან.

ბამბის საწმენდი ქარხნების მუშა-მოსამსახურენი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან იმის გამო, რომ ახლო-მახლო არ მოიპოვება სამომხმარებლო კოოპერატივები გარდა სატრანსპორტო კოოპერატივებისა („ზაკტპო") ამიტომ მებამბეობის კომიტეტი შუამდგომლობს „ზაკტპო"-ს წინაშე, რომ ბამბის საწმენდი ქარხნის მუდმივი მუშა-მოსამსახურენი მიღებული იქნან წევრებათ, ხოლო დროებით მუშებს ან წევრობის გარეშე დართონ კოოპერატივით სარგებლობის ნება; ანდა ამ მიზნით მიიღონ მებამბეობის კომიტეტისაგან განსაზღვრული თანხა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გამოყოფილი იქნა სამი სექცია, რომლებსაც დაევალათ მოხსენებების გარშემო რეზოლიუციების და პრაქტიკული წინადადებების შემუშავება.

გუშინ დილით სწარმოებდა კომისიების მუშაობა.

ამინდი საქართველოში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, 25 იანვარს მთელ საქართველოში მოღრუბლული დარი იდგა. ზოგიერთ ადგილებში თოვდა. დასავლეთ საქართველოში უმეტესად წვიმდა. აღმ. საქართველოში ტემპერატურა დაიწია. მაგ. თბილისში ტემპერატურა მინუს 3 გრადუსამდე დაეცა. მდ. რიონის ხეობაში 25 იანვარს საღამოს ამოვარდა ძლიერი ქარი. ქარის სისწრაფემ ფოთში 7 ბალს მიაღწია.

საღამოს მოიწმინდა და გუშინ მთელ დღეს მოწმენდილი დარი იდგა. ტემპერატურას დაეტყო აწევა. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში 26 იანვარს დილით თოვდა.

26 იანვარს სხვადასხვა ადგილებში ასეთი დარი იყო:

თბილისში დილის 7 სათზე თოვდა. ტემპერატურა მინუს 3 გრადუსს უდრიდა.

სოხუმში მოწმენდილი დარი იდგა ჰქროდა სუსტი ქარი. ტემპერატურა 0 გრადუსს უდრიდა.

ფოთში ჰქროდა ძლიერი ქარი. ტემპერატურა + 1 გრადუსს უდრიდა.

ჩაქვში მოწმენდილი ცა. სუსტი ქარი. ყინვა —1 გრადუსი.

ოზურგეთში ტემპერატურა, ყინვა 2 გრადუსს უდრიდა.

ტყიბულში ტემპერატურა, ყინვა 6 გრადუსი.

წიფაში ჰქროდა ზომიერი ქარი, ყინვა—7 გრადუსი.

ჭიათურაში სუსტი ქარი. ყინვა 5 გრად.
სურამში მოწმენდილი ცა. ყინვა—11 გრად.
ლიბანში მოწმენდილი ცა. ყინვა—16 გრად.
ბორჯომში სუსტი ქარი. ყინვა—14 გრად.
გუდაუთში სუსტი ქარი, მოწმენდილი ცა ყინვა—13 გრად.
თბილისში 15 სანტიმეტრის სიღრმის თოვლი დასდო.

საგზაო მშენებლობა

ახალი, ტეხნიკურად გაუმჯობესებული გზების მშენებლობა საქართველოში დაიწყო გასულ წელს. შარშან საქართველოს სამხედრო გზაზე ორი კილომეტრის მანძილზე სოფ. ნატახტარის ახლოს წარმოებული იყო ცდები გუდრონით.

წელს ცდების წარმოება განზრახულია უფრო ფართო მასშტაბით. ცდები განზრახულია წარმოებული იქნეს საქ. სამხედრო გზატკეცილის თბილის-მცხეთის უბანზე (ათი კილომეტრი) ნატენების ბიტუმით და რუსეთის მასალებით ასეთივე ცდები იწარმოებს ბათომ-ქობულეთის და გავრის გზატკეცილებზე.

იმ მიზნით, რომ ახალი ტიპის გზების მშენებლობა დაყენებულ იქნეს სათანადო სიმაღლეზე, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოებთან დაარსებულია სპეციალური საცდელი სადგური. სადგურის მიზანია შეისწავლოს ახალი გზების მშენებლობის საქმე და მათი გამოყენება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

რადიო-გადაცემა

კვირა, 27 იანვარი

დღეს, 27 იანვარს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: პიონერთა რადიო-გაზეთი; საბავშო კონცერტი; გლეხთა რადიო-გაზეთი; კონცერტი გლეხებისათვის (ქართული გუნდი და აღმოსავლური ორკესტრი).

საღამოს: კომკავშირის რადიო-გაზეთი; საუბარი გლეხებთან; ტეხნიკური კონსულტაცია; ოპერა „ბორის გოდუნოვის" ტრანსლიაცია; ამინდის ბიულეტენი.

ორშაბათი, 28 იანვარი

„წითელი არმიელი" რადიოთი; მუშათა რადიო - გაზეთი; ფინსახკომის მოხსენება: „თემის ბიუჯეტი"; საერთაშორისო მიმოხილვა; კონცერტი ციკლიდან „სიმფონიური მუსიკა" (რუსეთის და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორები); უკანასკნელი ცნობები.

სასამართლო

ხულიგანი მილიციელები

კარლ მარქსის მოედანზე ხელი-ხელ გაყრილნი გამობარბაცდნენ მთვრალი მილიციელები ნიკოლოზ შუბაშვილი და გიორგი ნაირაშვილი, რომელნიც მოქალაქეთა მისამართით წამდაუწუმ ისროდნენ უშვერ სიტყვებს. ეტყობოდათ, რომ ხულიგნობის გუნებაზე იყვნენ და საბაბს ეძებდნენ მუშტების ასათამაშებლად.

სწორედ ამ დროს ხიდისაკენ მოდის გამვლელთა ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიან მოქ. არტაშ ისახანოვი იმისი საცოლე მარო, უკანასკნელის დედა და სხვები.

თავხედი მილიციელები გვერდს გაჰკრავენ ახალგაზრდა ქალს იმ მიზნით, რომ მისი თანამგზავრი გააბრაზონ და საჩხუბრად გამოიწვიონ.

— არც კი გრცხვენიათ, თქვენ წესრიგს უნდა იცავდეთ და ამის ნაცვლად სხვებს აძლევთ ხულიგნობის მაგალითს.— მოუბრუნდა მილიციელებს მოქ. ისახანოვი, რომელმაც ამ სიტყვების შემდეგ ისევ განაგრძო გზა.

მთვრალ მილიციელებისათვის ეს საკმაო საბაბი იყო ჩხუბისათვის. დაედევნენ გამვლელებს დაეწიენ ხიდზე და გზა შეუკრეს. მილიციელებმა სცემეს ჯერ ისახანოვს, შემდეგ ქალებსაც არ მოერიდნენ, მათაც უთავაზეს თითო-ოროლა მუჯლუგუნი.

მილიციელების ამ ხულიგნობით აღშფოთებული მოქალაქეები ჩაერივნენ საქმეში გამოიძახეს წესრიგის დამცველები და ხულიგანი საპატიმროში გაგზავნეს.

ხულიგანი მილიციელები გაასამართლა თბილისის მაზრა—ქალაქის სასამართლომ და თვითეულს მიუსაჯა სამ-სამი თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეცვალეთ პირობით და გამოსაცდელ ვადით დაენიშნათ ორ-ორი წელი.

მკვლელობა

გასული წლის დეკემბერში 1 სამილიციო რაიონის უმცროსმა მილიციელმა იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილმა თავის ბინაზე მოკლა მოქ. ლადო ხუციშვილი.

ბრალდებული თვითონ გამოცხადდა ხელისუფლებას და განაცხადა შემდეგი:

რვა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩემი და თამარა ცოლად შეირთო ლადო ხუციშვილმა ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ მიუტანებია ხუციშვილს ჩემი და, თუმცა დროგამოშვებით ურიგდებოდა და განაგრძობდა მასთან ცხოვრებას. ეს ჩემზე ძლიერ მოქმედებდა, არ ვაძლევდი საშველს არც მათ განშორებას და არც მათ შერიგებას.

გასული წლის მაისში ისინი კვლავ განშორდნენ ერთმანეთს „მზაგ"-ის საშუალებით. მე იძულებული გავხდი წამეყვანა და მარტყოფში. ცოტა ხნის შემდეგ მე თბილისში მოვეწყე სამსახურში და თან ჩამოვიყვანე ცოლ-შვილი. ერთი კვირის შემდეგ ჩემი დაც ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ ბავშის რძის ფული მიეღო და ისევ გაბრუნებულიყო სოფლად.

გაიგო თუ არა ჩემი დის თბილისში ჩამოსვლა, ხუციშვილმა დაიწყო ჩემ ოჯახში სიარული, მიუხედავად იმისა რომ მე მას რამდენიმეჯერ მივეცი წინადადება—არ შემოსულიყო ჩემს ოჯახში. იერიშის გზით ვერ მოვიცილე ხუციშვილი ოჯახიდან. გამოვედი მოთმინებიდან და როცა კვლავ წავაწყდი სახლში ვესროლე და მოვკალი...

ასე ლაპარაკობს ბრალდებული იოსებ იმედაშვილი, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია.

საქმის გაარჩევს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ვერ.

ქრონიკა

მისალმება საქ. ცაკს

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სახელზე ფშაველიდან მიღებულია შემდეგ მისასალმებელი დეპეშა: „ფშაველის თემის თორმეტი სოფლის გაერთიანებული ახლად არჩეული საბჭო მოგესალმებათ და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენს მიერ დაძლეული იქნება ყველა ნაკლოვანებები, რომლებიც იყო წარსულ წელში და თქვენი ხელმძღვანელობით შევძლებთ ძლიერ სოციალისტურ მშენებლობის განვითარებას. ახლად არჩეული საბჭოს პრეზიდიუმი".

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა

28 იანვარს, საღამოს 6 საათზე (ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ ამხ. ი. ვარძიელი, ქ. სვანიძე, პ. ლეჟავაშვილი, ა. დოლიძე, ტაგიევი, ვ. ჯაფარიძე, შ. მათიკაშვილი, ლ. ბერია, ბ. მაჩაიძე, ვ. ბოლქვაძე; ხ. მამულია; გ. არუთინოვი; დ. ჭოჭუღურია; ვ. ანთიძე, ნემერზელი, გიორგაძე, გ. ჯავახიძე, (კომკავშირიდან), ბ. ბერაძე (შინსახკომიდან) კერესელიანი, ცქიტიშვილი ალექსანდროვა, კერესელიძე, და დიმოევი.

სხდომისათვის პროვინციიდან გამოწვეული არიან ამხ. ჩამბა (აფხაზეთი), სურმანიძე (აჭარისტანი) და ჯატიევი (სამხ.-ოსეთი).

ამხ. ს. ჟუღელის დაბრუნება

მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. ს. ჟუღელი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

ინჟ. ა. ზ. ჯორჯაძის დაბრუნება ამერიკიდან

ამერიკიდან თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ინჟ. ა. ზ. ჯორჯაძე.

ინჟ. ჯორჯაძე ამერიკაში გაემგზავრა 1928 წ. 1 სექტემბერს, ახალი ტეხნიკურად გაუმჯობესებული გზატკეცილების მშენებლობის და საერთოდ საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად.

გზის სატკეპნი მანქანების გამოწერა

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველომ გამოიწერა ათი გზატკეცილების სატკეპნი მანქანა. მათგან ხუთი მანქანა გამოწერილია რუსეთიდან და ხუთი—საზღვარგარეთიდან.

გარდა ამისა, საქართველოს სახკომსაბჭოს მაზრებისათვის გამოიწერა ექვსი ამერიკული საუკეთესო სისტემის მანქანა. ეს მანქანები უკვე მიღებულია.

მოკლევადიანი შეკრება

ამხ. ფრუნზის სახელობის მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის (ცალკე მესანგრე ასეული ატარებს მოკლევადიან შეკრებას 29 იანვარს, 16 თებერვალს და 2 მარტს.

შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ 1902, 1903, 1904 და 1905 წელში დაბადებული (ცვლადი შემადგენლობის ყველა წითელი ლაშქრელნი და აგრეთვე უფროსთა შემადგენლობის ის პირები, რომლებიც მიწერილნი არიან ასეულზე და პარკზე.

შეკრების დრო იწყება დილის 8 საათიდან.

სამეცნიერო მუშაკთა სამსახურიდან მოხსნის წესი

განათლების კომისარიატმა ქვემდებარე დაწესებულებებს დაუგზავნა განმარტება სამეცნიერო მუშაკთა სამსახურიდან მოხსნის წესის შესახებ. თანახმად ამ განმარტებისა, სამეცნიერო მუშაკის სამსახურიდან მოხსნა შტატების შემცირებისა, უვარგისობისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უნდა მოხდეს განათლების კომისარიატთან შეთანხმებით.

გარდა ამისა, საკითხი სამეცნიერო მუშაკის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ წინასწარ (ცალკე შემთხვევაში) უნდა იქნეს შეთანხმებული სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიუროსთან.

დანიშვნა

ავჭალის შუშის ქარხნის დირექტორის მოადგილედ თბილისის შრომის კომიტეტმა დანიშნა ამხ. ნარიმანაშვილი.

საზოგადო სამუშაოები

ცენტრალურ არქივში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასდო 5.000 მან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადების განყოფილების ცნობით, ა. წ. 15 იანვრისთვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მთელ ამ.-კავკასიაში აკრეფილი იყო—8.034.953 მანეთის რაოდენობით.

აქედან საქართველოში აკრეფილი იყო 2.151.681 მანეთი, აზერბეიჯანში—4.313 130 მანეთი და სომხეთში—1.570.142 მანეთი.

პროფკავშირებში

◆ მოჯამაგირეთა შორის მომუშავეების მომზადება. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი პირველ თებერვლიდან ხსნის მოჯამაგირეთა შორის მომუშავეების მოსამზადებელ სამთვიან კურსებს.

◆ დემონსტრაციები. 7 თებერვალს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით გაიმართება სახ. კვების მუშაკთა მიწა-ტყის მუშაკთა და ხის დამმუშავებელთა პროფკავშირების წევრთა გაერთიანებული დემონსტრაციები.

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

◆ საერთო კრებები. ორშაბათს, ნაშუადღევის სამ. საათზე, შესდგება პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო, პედაგოგიურ და ტეხნიკურ პერსონალის საერთო კრება.

— ამავე დღის საღამოს 7 საათზე შესდგება საამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

—29 იანვარს ინსტიტუტის სამხაზველო დარბაზში შესდგება ელექტრო-მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

— ამავე დღის საღამოს 7 საათზე შესდგება სამთამადნო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

სხვადასხვა

◆ ტეხნიკურ საზოგადოებაში. დღის 12 საათზე საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. (ინდუსტრიალური ტეხნიკუმის შენობა) შესდგება საზოგადოების მორიგი კრება რომელზედაც მოხსენებით გამოვა ინჟ. ნ. მესხი მოხსენების თემაა: ელექტრო-წევის შემოღების პერსპექტივები ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე.

◆ ტრანსპორტზე მომუშავეთა კრება. ორშაბათს საღამოს ექვს საათზე ავტოკლუბის შენობაში შესდგება ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის უმუშევარ წევრთა კრება.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ველიხოვიდან—ლაშკინებს, ორჯონიკიძიდან—კისილოვას, ენგიჯიდან—გორიოშინას მოსკოვიდან—კლიმოვას, ბორჯომიდან ველაშვილს, ბათუმიდან—დარახველიძეს.

◆ სახელგამის გამოცემანი. რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი წიგნები: „ისტორიული მატერიალიზმი"—ბუხარინის, „ეკონომიური პოლიტიკის პროგრამა" (პარტგანათლების ქსელისათვის). „ქართული ენის გრამატიკა"—ი. ნიკოლაიშვილის და ჟურნ. „პიონერი" № 1.

ხელოვნების ქრონიკა

ლენინის ხსოვნის საღამო

დღეს, 27 იანვარს საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში ამხ. სილ. თოდრიას თავმჯდომარეობით შესდგება სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის სამგლოვიარო სხდომა ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან 5 წლის თავის აღსანიშნავად.

საღამოზე მოხსენებით გამოვა ამხ. მ. ტოროშელიძე და საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ— ვ. გაფრინდაშვილი ა. მაშაშვილი, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, ქ. კალაძე, ქ. ლორთქიფანიძე, ე. რუხაძე, ვ. გორგაძე, ვ. ქუჩული, გრ. ცეცხლაძე ბ. აბულაძე და სხ.

შესვლა თავისუფალია.

ლიტერატურული დისპუტი

ოთხშაბათს, 30 იანვარს, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში (რუსთაველის პრ. № 1/) პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება ამხ. არჩილ მიქაძის თავმჯდომარეობით მართავს საჯარო დისპუტს შემდეგ თემაზე: „ქართული მხატვრული პროზა, პოეზია და კრიტიკა 1928 წელში". მომხსენებელი—ამხ პლატონ ქიქოძე დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: ა. აბაშელი ბ. ბუაჩიძე, კ. გამსახურდია, ა. მიქაძე ნ. ზომლეთელი, დ. ნაროუშვილი, ა. ქორქიაშვილი, ბ. ჟღენტი, გრ. რობაქიძე; ტ. ტაბიძე; მ. ჯავახიშვილი, ს. ჩიქოვანი და სხ.

დისპუტზე შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება პროფკავშირების კულტგანყოფილების საბიბლიოთეკო სექტორში.

დისპუტის დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ ნიკოლსკის და ვოლ-ლევიცკაიას კონცერტი. ორშაბათს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დამსახურებულ არტისტის ნიკოლსკის და ოპერის მომღერალ ვოლ-ლევიცკაიას კონცერტი.

◆ მოზარდ მაყურებელთა თეატრში. დღეს, შუადღის 12 საათზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრში აბონემენტების გარეშე წარმოდგენილი იქნება „რობინ გუდ". საღამოს 8 საათზე გაიმართება მეორე წარმოდგენა. წავა „ალტაელი რობინზონები".

◆ კომკავშირელ მწერალთა წრის სხდომა. კვირას, 27 იანვარს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციის ბინაზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი სხდომა.

კინო

„გილიანის ასული". რეჟ.— ლეო მურ, ოპერატ.— ი. ფროლოვი

(აზერბეიჯანის სახკინმრეწვი)

„გილიანის ასულის" სცენარი დამუშავებულია სლეზკინის რომანის „ბრინჯაოს მთვარის" მიხედვით.

თუმცა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან მრავალი რომანი და მოთხრობა იწერება, მაგრამ მათი უმრავლესობა ტენდენციოზურია და ადგილობრივი ცხოვრების უცოდინარობაზე აგებულია.

ეკრანის „გილიანის ასულზე" ეს საყვედური არ ითქმის და ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ აზერბეიჯანის კინო მრეწველობის განვითარებაში.

დამდგმელის მთელი ყურადღება ტრიალებს ორი მთავარი და ჩვენი დროისათვის აქტუალურ პრობლემის ირგვლივ: ერთია მშრომელი აღმოსავლეთის დამოკიდებულება ინგლისელ ოკუპანტებთან (სურათი 1920 წ. ისტორიულ ამბებზეა აგებული) და მათ მოკავშირე ელემენტებთან, მეორე—ქალის არაადამიანური მდგომარეობა და სრული უუფლებობა ადათის მიხედვით. მაყურებლის თვალწინ პარალელურად ვითარდება რევოლიუციონურ-მასიური და ინდივიდუალურ ფსიხოლოგიური სცენები.

მართალია, ვრცელი წარწერები, მოქმედების ჩქარი ტემპი და ფაბულის მეტად რთული კვანძი ამცირებს შთაბეჭდილებას მაგრამ სურათის ბოლო მოქმედებაში ეს ნაკლი ქრება.

მაყურებელში ზიზღს იწვევს ძველი ყოფის, საუკუნოებრივი მონობით შექმნილი ჩამორჩენილობა და „დიდპატივცემულ სტუმრების" და მათი აგენტების საქმიანობა.

გარდა სოციალური მნიშვნელობისა, „გილიანის ასული" მხატვრული მიღწევებითაც თვალსაჩინოა და ისიც არა მარტო აზერბეიჯანის სახკინმრეწვის სურათებთან შედარებით.

მასიურ სცენებში, თითქმის მთლიანად არის დაძლეული ის თეატრალობა, რომელიც „მძლე მე ცოდვათ" აწუხებს თუნდაც საქართველოს კინოწარმოებას.

თუ ამას მივუმატებთ ოპერატორის დახელოვნებულ მუშაობას კარგ ფოტოს. მონტაჟის ბუნებრივ თანამიმდევრობას და დიდი ოსტატობით გაკეთებულ ომის სცენებს ბოლო მოქმედებაში,—„გილიანის ასულს" სრულიად სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს ერთ-ერთი პირველი ადგილი ამიერ-კავკასიის მხატვრულ კინო-სურათებში.

ბ. ბ.

შემთხვევები

ქურდების ბრბოს ლიკვიდაცია

ერწოს რაიონში უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა ქურდობა. 5 იანვარს გაქურდეს მოქ. ავაკი სეხნიაშვილი და მიხ ბიჩოშვილი. ქურდებს მიჰქონდათ სკივრიდან თეთრეული. იპარავდნენ ღორებს, თხებს, ცხენებს, ქათმებს და სხვა.

ერწოს რაიონის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ქურდების ბრბოს ყველა წევრები დაპატიმრებულ იქნან. ისინი აღმოჩნდნენ გაბო ოდიშელიძე, მიტრო ვარდიშვილი, ალექს. ვარდიშვილი, კოლა გელაშვილი, ისაკი ვარდოშვილი და სიმონ ჩხუტიაშვილი. დაპატიმრებულები გამოტყდნენ დანაშაულში.

გვამის პოვნა

გასული წლის 14 დეკემბერს უგზო-უკვლოდ დაიკარგა წალკის „ზაკტპო"-ს თარჯიმანის გამგე იაგორ გაბუნია. დიდი ხნის ძებნის შემდეგ გაბუნიას გვამი 2 იანვარს იპოვნეს ტყეში. მიცვალებულს ჩამტვრეული აღმოაჩნდა თავის ქალა და კისერი გამოჭრილი. ეტყობოდა, რომ მკვლელებს გაბუნია მოუკლავთ ჩასაფრებით და შემდეგ ნადირებს გამოუჭამიათ კისერი.

სწარმოებს გამოძიება.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მამედ გასან-ოღლი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7.

თავის დაჭრა

გუშინ თვითმკვლელობის მიზნით ნაგანის სისტემის რევოლვერიდან თავი დაიჭრა ვასილ ივანის ძე ბოროდმა (მცხ. სტალინის ქ. № 19) მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი ირკვევა.

დაჯახება

26 იანვარს, ტრამვაის ვაგონი (№ 250, მარშრუტი პირველი), პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაიელთა კლუბის პირდაპირ, დაეჯახა ქუჩაზე გადამავალ პავლე სერგეის ძე კარადოლინს (მცხ. საბჭოთა ქუჩა № 137) და მძიმედ დაამტვრია. კარადოლინი გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

ქურდობა

გაქურდეს ი. ბილამიძის ბინა (კომუნალური ქუჩა № 28). წაიღეს 200 მანეთის ნივთები.—შალვა იანაშვილის ბინიდან (კალინინის ქუჩა № 98) მოპარეს 100 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ნინა მაჩაბლიშვილის ბინა (არსენალის ქუჩა № 18). წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—ვასილ გოგილაშვილს მუშკოოპის მაღაზიაში (გუთნის ქუჩა № 24) ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები.

ა/წ. 27 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თანახმად ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილებისა, ქ. თბილისში, სასახლის წითელ დარბაზში მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი იწვევს

საქართველოს ს. ს. რ., აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის—ავტ. რესპ. და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის მიწის მუშაკთა თათბირს,

რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ: სამაზრო აღმასკომების მიწად-მოქმედების განყოფილების გამგები, სამაზრო აგრონომები, თითო რაიაგრონომი თითო მაზრიდან, ყველა მაზრების მიწად-მომწყობნი და მიწის მზომელები.

დღის წესრიგი:

1. მიწად-მოწყობა და მიწით სარგებლობა;
2. გაზაფხულის თესვის კამპანია;
3. მოსავლიანობის გადიდება.

ქუთაისი

ახალი ქვესადგური

აბჰეს ქუთაისის ელექტრო ენერგიის გადმოყვანა დამთავრდება იანვრის ბოლო რიცხვებში. ამჟამად სწარმოებს ელექტრო ენერგიის ქვე სადგურის მანქანების მოწყობა; სადგური პირველ ხანებში იმუშავებს 200 ცხენის ძალით, ხოლო აბჰესის მეორე ტურბინის მომატებისთანავე სადგურის ენერგია გადიდდება 800 ცხენის ძალამდე. აბჰესის ძალით იმუშავებს მომავალში ქუთაის-წყალტუბოს ტრამვაის ხაზი რიონჰესის ენერგია მიღებამდე.

დამატებითი მიწის რეფორმა

1923 წლის მიწის რეფორმების ჩატარების დროს მრავალი შეცდომები იქნა დაშვებული. სამაზრო აღმასკომი უკვე შეუდგა ამ შეცდომების გამოსასწორებლად დამატებითი რეფორმების ჩატარებას. ჯერ ჯერობით რეფორმა ჩატარდა 20 მთავარ თემში და გამოირკვა, რომ აღნიშნულ თემებში ყოფილი თავად-აზნაურობას სამუდამოდ და კულაკები—რიცხვით 677 კომლი ღებულა ფლობდენ 1251 დეს. ნორმაზე მეტ მიწას. აღნიშნული მიწები ჩამოერთვათ მათ და გადაეცა სახელმწიფო ფონდს.

მონგოლური ბეჭდის პოვნა

ამ დღეებში ქუთაისის სასისტორიო მუზეუმის თანამშრომლებმა არქიელის გორაზე მაღაზიში—(ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მახლობლად) იპოვეს ოთხკუთხედი მონგოლური ბეჭდი წარწერილი ბეჭდით. მუზეუმის დირექციის აზრით ბეჭედი უნდა იყოს საშუალო საუკუნოების.

პენსიების გადიდება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში, უკანასკნელ ხანებში დიდად გაიზარდა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ და ომში დაღუპულ ოჯახების განცხადებები სოციალური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ მიზნით სამაზრო აღმასკომმა მიზანშეწონილად სცნო წელს პენსიების გადიდება 5.000 მანეთის რაოდენობით.

ნარევი

იშვიათი შემთხვევა ქირურგიაში

მოსკოვის ქირურგიულ საზოგადოებაში ექ. გ. პ. ლარინმა გააკეთა მოხსენება ორი იშვიათი ოპერაციის შესახებ, რომელიც მან გაუკეთა ავადმყოფ ლ-ს. პირველი ოპერაცია ექ. ლარინმა ლ-ს გაუკეთა 1928 წლის პირველ ივნისს და კუჭიდან ამოიღო 115 ლურსმანი, სიგრძით ორიდან 9 სანტიმეტრამდი წონით 345 გრამი. მეორე ოპერაცია ექ. ლარინმა იმავე ავადმყოფს გაუკეთა წარსული წლის 10 დეკემბერს და კუჭიდან ამოიღო 94 ლურსმანი და ერთი ორკაპეიკიანი. პირველად ავადმყოფმა საავადმყოფოში დაჰყო ერთი თვე, მეორე კი ჯერ -20 დღე.

ავადმყოფი სრულიად განიკურნა და გადაიგზავნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, ავადმყოფი ლურსმნებს ყლაპავდა დათრობის დროს. ფსიქიატრი პროფ. ნ. პ. ბრუხანსკის აზრით, ლურსმნების ყლაპვის მიდრეკილება ლ-ს წარმოიშვა იმ არახელსაყრელი გარემო პირობების ზედგავლენით, რომელშიაც ბავშობიდან უხდებოდა მას ცხოვრება. ლ-მა 4 წლიდან დაიწყო ლოთობა და სრულიად არ შეეძლია სისტემატიური შრომა. ლურსმნებს ყლაპავდა ერთი ჭიქა არაყის ან ლუდის გულისათვის.

ახალი აეროპლანი

ამერიკაში აგებენ ახალ სამგზავრო აეროპლანს, რომლის დამახასიათებელ თავისებურობას წარმოადგენს დიდი ზომა. აეროპლანი, გარდა რაზმისა, წაიყვანს 35 მგზავრს. აეროპლანზე დადგმული იქნება 4 მოტორი—600 ძალიანი და შეძლებს 220 კილომეტრის გავლას საათში. საწვავი მასალის მარაგი ეყოფა 1200 კილომეტრის გასასვლელად მიწაზე დაუშვებლად.

500.000 მან. მოგონებებისათვის

გერმანიის ყოფ. იმპერატორის—ვილჰელმის დამ მიიღო წინადადება, რომ მან შეერთებული შტატების მთელ რიგ ქალაქებში გააკეთოს მოხსენება თავისი ცხოვრების შესახებ. ჯილდოთ მას პირდებიან 500.000 მანეთს.

რკინის გზებზე

მატარებლების მოძრაობის ახალი ცხრილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობაში მიღებული ცნობით, ა. წ. 15 მაისიდან საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე შემოღებული იქნება სახალხო მატარებლების მოძრაობის ახალი ცხრილი. ახალი ცხრილი ძველისაგან განსხვავდება იმით, რომ მოიხსნება მოძრაობიდან რამოდენიმე მატარებელი.

მაგალითად ჩქარი მატარებელი № 15—16 რომელიც დადიოდა კიევ-ბაქოს შუა, ივლის მხოლოდ მინერალ. წყლებამდე და ზოგიერთ აუცილებელ შემთხვევებში მას გაუშვებენ ბაქომდე.

როსტოვ-ბაქოს შორის მოძრავი მატარებელი № 63—64 სრულიად იხსნება.

სრულიად იხსნება აგრეთვე თბილის-გურჯაანის (№ 35—36) და ერივან-ჯულფის (№ 30—31) მატარებლები.

ზაფხულის პერიოდში თბილის-ბორჯომს შორის ივლის მატ. № 101—102 და 103—104. თბილის-გორის შუა მატ. № 111—112, თბილის-მცხეთას შუა—№ 113—114 და თბილის ლენინაკანის შუა—№ 125—126.

გათვალისწინებულია დამატებითი მატარებლების დანიშვნა სურამის ბაკურიანის, ჭიათურის და სხვა შტოებზე.

ნალჩიკ-ბაქოს შორის მოძრავი პირდაპირი ვაგონი მატ. № 17—18-ის შემადგენლობიდან გამოირიცხება.

ყველა დანარჩენი მატარებლები უცვლელად რჩება. მრავალი მატარებლის კომერციული სისწრაფე გადიდებული იქნება.

სურამის შტოზე 15 მაისიდან ივლის სამი ავტომატრისა.

დაუდევრობის ნიმუში

სადგ. ყარაბულახში 25 იანვარს მიდიოდა საბარგო მატარებელი № 202. ის მატარებელი ხსენებულ სადგურში არ უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ სადგურის გავლის დროს მორიგე სულთანოვმა შენიშნა, რომ შემადგენლობას აკლდა ბოლო ნაწილი. სულთანოვმა მაშინვე მიიღო ზომები მატარებლის გასაჩერებლად, მაგრამ მემანქანე ხარკოვმა და მთ. კონდუქტორმა სტოლოვმა ვერ გაიგეს გაჩერების სიგნალები და განაგრძეს გზა.

მხოლოდ სიმაღლის იქით გაჩერდა მათი შემადგენლობა. აქ გამოირკვა, რომ გზაზე, სადღაც „დარჩენოდათ“ მატარებლის კუდი 17 ვაგონის შემადგენლობით.

„დაკარგული“ 17 ვაგონი ჩაიყვანეს სადგურში, როგორც გამოირკვა აღნიშნული შემთხვევა გამოიწვია იმან, რომ ვაგონების ერთმანეთზე გადაბმის დროს დაშვებული იყო დანაშაულებრივი დაუდევრობა.

სწარმოებს გამოძიება.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) ს. კალანდაძე

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) შ. ხვინგია

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 13 (ლაზიერის გამბიტი)

გათამაშებულია ამ.-კავკ. მოჭადრაკეთა შეჯიბრების მე-8-ე ტურში

1. d2—d4, d7—d5 2. c2—c4, c7—c6 3. c4:d5, c6:d5 (უბრალოდ და შესაძლებელია ყველაზე კარგიც, რადგანაც ამ სვლის შემდეგ თეთრების პირველ სვლას აზრი არ ეკარგება, ჩვეულებრივად ამ გაცვლას აკეთებენ მf3 და მf6 შემდეგ) 4. მg1—f3, მb8—c6 5. მb1—c3, მg8—f6 6. კc1—f4, e7—e6 7. e2—e3, კf8—e7 (არ ივარგებდა 7..., კd6, რადგან 8. კg3 შემდეგ შავებს დამბული ეყოლებოდათ ლაზიერი კუს დასაცავათ, სვლა კd6:g3 არ არის მათვის ხელსაყრელი h ხაზის გახსნის გამო) 8. კf1- d3, 0—0 9. 0—0, მc6—b4 (უაზრო სვლა) 10. კd3—e2, a7—a6 11. a2—a3, მb4—c6 12. ეa1—c1, კc8—d7 13. კe2—d3, ლd8—a5 (ამ მდგომარეობამდე პარტიის განვითარება სავსებით ისეთია, როგორც სმაროდსკი-მაკაგონოვის პარტიის, რომელიც ნათამაშევია ამავე შეჯიბრში. ამის მერე პარტია შემდეგნაირად გაგრძელდა: 14. მe5, მ:e5 15. კ:e5, ეfc8 16. ლf3, კb5 17. მ:b5,ab შემდეგში შავებმა გაარღვიეს თეთრების ლაზიერის ფრთა და პარტია მოიგეს). 14. ლd1—d2, ეf8 - c8 15. ეc1 - a1, b7— b5 16. b2—b4, ლa5—b6 17. ეf1 — c1? (შეცდომა, რაც შესაძლებელი იყო გამხდარიყო მიზეზად პარტიის წაგებისა, აუცილებელი იყო 17. ეab1 თამაში a6—a5 საწინააღმდეგოთ) 17..., a6—a5 18. კd3:b5, a5:b4 19. a3:b4, ეa8:a1 20. ეc1:a1, კe7:b4 21. კb5—f1 (ყველა ამას შედეგად უნდა მოჰყვეს თეთრების მიერ ხარისხის დაკარგვა, მაგრამ შავებიც თავის მხრივ უშვებენ შეცდომას, რითაც თეთრებს აძლევენ საშუალებას მდგომარეობა გაათანასწორონ). 21..., მc6—a5? (მc6—a7 22. ეb1, ლa5 თამაშით შავები იგებდენ ხარისხს, ამას გარდა შავებს სულ უბრალოდ მc6:d4 თამაშით შეეძლოთ მოეგოთ პაიკი, მაგრამ 21. ლ:d4, ლ:d4 22 მ:d4, კ:c3 23 ეc1,კ:d4 24. ე:c8+, კ:c8 25. e:d შემდეგ პარტიის მოგება მეტად საეჭვოა, მართალია, შავებს ზედმეტი პაიკი ჰყავთ, მაგრამ მისი გამოყენება ძალიან ძნელია. არაფერს იძლეოდა 21..., მe4 22. მa4, ლa5 23. ლb2, ეa8 24. ეa2, მc3 მუქარით) 22. ეa1—b1! კb4:c3 (არაფერს იძლეოდა 22..., ლb7 23. ლb2 გამო) 23. ეb1:b6, კc3:d2 24. მf3:d2, მa5—c4! (ამ სვლით შავები ღებულობენ გამვლელ პაიკს, რითაც თეთრებს აყენებენ შევიწროვებულ მდგომარეობაში) 25. მd2:c4, d5:c4 26. ეb6—b1, მf6—e4 27. ეb1 - c1, g7—g5 28. f2—f3! მe4—d2 (არ ივარგებდა 28... gf 29. fe, f:e 30. ე:c4, ე:c4 31. კ:c4 და თეთრებს შავების სუსტი პაიკის გამო e3 უკეთესი მდგომარეობა აქვთ). 29. კf4:g5, c4—c3 30. კf1—d3, კd7—a4 31. კd3 - c2, კa4:c2 32. ეc1:c2, მd2—b3 33. კg5—e7, მb3—a1 34. ეc2—c1, c3—c2 35. ეc1:a1, c2—c1ლ+ 36 ეa1:c1, ეc8:c1+ 37. მფg1—f2 დათანხმდენ ყაიმზე. მე-17-ე სვლის შემდეგ თეთრები ბოლომდის საუკეთესოდ თამაშობდენ.

მე-10-ე №-ში მოთავსებულ ეტიუდის გადაწყვეტა

ეტიუდი რ. ალექსანდროვის. თეთრები იგებენ.

მდგომარეობა: თეთრები: მფd8, კh6, პაიკი d7—შავები:მფh2, ეe1.

გადაწყვეტა: 1. კh6—f4+, მფh2—h3 2. კf4—d6, ეe1—a1 3. მფd8—c8, ეa1—c1+ 4. მფc8—b7, ეc1—b1+ 5. მფb7—c6, ეb1—c1+ 6. მფc6—d5, ეc1—d1+ 7. მფd5—e5, ეd1—e1+ 8. მფe5—f4, ეe1—f1+ 9. მფf4—e3, ეf1—e1+ 10. მფe3—f2 და თეთრები იგებენ. ან ასე: 1. კh6—f4+, მფh2—g2 2. კf4—d6, ეe1—a1 3. მფd8—c8, ეa1—a8+ 4. კd6—b8 და თეთრები იგებენ.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ჩემს ბროშურაში „Что такое правый уклон“, რომელიც საქართველოს სახელგამმა გამოსცა ქართულ ენაზე, თარგმნის დროს დაშვებულია მთელი რიგი შეცდომები. ეს შეცდომები ამახინჯებენ მთელი წინადადებების აზრს, არაფერს ვამბობ ცალკე უხერხულ სიტყვებსა და გამოთქმებზე.

ასე, მაგალითად, მე-12 გვერდზე დამახინჯებულია ლენინის ციტატა. სიტყვები: ...„что во всех странах предстоит ему пережить борьбу нарождающегося, крепнущего, идущего к победе коммунизма“ — გადათარგმნილია ასე: „მას მოუხდება ბრძოლა წარმოშობისა, გამაგრებისა და გამარჯვებისაკენ მიმავალ კომუნიზმისათვის“...

მე-18 გვერდზე დამახინჯებულია მე-7 თავის სათაური: „მემარცხენე მერყეობის“ ნაცვლად დაბეჭდილია: „მემარჯვენე მერყეობის“ და სხვ.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ენერგიული პროტესტი განვაცხადო ასეთი ყოვლად დაუშვებელი დაუდევრობის წინააღმდეგ, რომელიც გამოიჩინა საქართველოს სახელგამმა ფართო პარტიული მასებისათვის განზრახული ბროშურის გამოცემის დროს.

კომუნისტური სალამით **პ. იონოვი.**

—:—

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამით ვაცხადებ, რომ მე, თბილისში მცხოვრებ გრიგოლ ტარასის ძე მაჭავარიანს (გრ. საქარიჭედელი) არაფერი მაქვს საერთო იმ გრიგოლ მაჭავარიანთან რომლის „რაინდობისა“ და „ტარიელობის“ შესახებ სწერდა ს. კასხიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ამხ. დ. ყიფშიძე. („კომუნისტი“, № 20).

გრ. მაჭავარიანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს დილის 10 საათისათვის შესდგება რაიკომის მიმღებ კომისიის სხდომა. სხდომაზე დასასწრებათ უნდა გამოცხადდენ: ამხ. სერგო კახანოვი, მირზა სტეპანიანი, ალექსი გრიგორიანცი, დანიელ ხაჩატუროვი, დავით პლუჩიკოვი, ბორის გუკალოვი, ტიგრან ტერ-ოსიპოვი, რომან მალაქაშვილი, სუსანა გვეორქოვა, ნინა სოსიაშვილი, აბისომ დავლიანიძე, ანდრანიკ პეტროსიანი, კარაპეტ ოვანესოვი, მოსეს მოსესოვი, მარიამ ბერიანოვა ნიკოლოზ ჩერნოლუსოვი, ბარსეღ აბოეიანი, ივანე პაპაშვილი, შაქრო ფირცხალავა, ალექსანდრე შანიძე, დავით ბორისაშვილი, სოლომონ პაპალაშვილი, ვლადიმერ მჟავანაძე, დიმიტრი არომშვილი, გიორგი კუკულაშვილი, სენიქერიმ კაზარიანი, სურენ მანუკოვი, ცაღურ დავთიანი, გრიგორ მარტიროსოვი, საადრო სადაგაშვილი, ვასილ კოტუხიძე, ვერ მარკიანი, დავით ჯიქია გიორგი მელქაძე გიორგი კობალაძე, სირან ზურაბიანი, ნაზარ მურადოვი, კარაპეტ მინასიანი, ჩერქეს შაქროვი, კორო ასოევი ანა მირაბოვა, სერგო ენუქიძე, დიმიტრი გაბრიშვილი, კარაპეტ მურადოვი, დესპინე ყარაიანი, ვარლამ გარამაშვილი, ვასილ დიდენკო არამ პარონიანი, სიმონ ტკარჩენკო, გიორგი ალავერდოვი, არსენ კრტიანი, მიკიჩ სიმონიან, ნიკოლოზ ხოსროშვილი, კაპიტონ მშვიდობაძე სიმონ ზაალიშვილი, ნიკოლოზ კუპატაძე, ვასილ მეტონიძე, ილია ხოროშვილი, ვლადიმერ კოპლამაზაშვილი, სერგო ბერიაშვილი ერვანდ ღამბაროვი, სიმონ ბურდული, ანა გარსევანიშვილი, ზაქარია ამზარდანაშვილი, ივა შხიანი, ზავენ მარკაროვი ილია ხორბალაძე, ივანე ინდოშვილი და ზაქარია მრემაშვილი.

—:—

ორშაბათს შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიურ ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსთან არსებულ კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 27 იანვარს საღამოს 7 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის აგრონომ. ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსთან არსებულ კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა.

სხდომაზე უნდა გამოცხადდეს ამხ. გიორგი აბრამიშვილი.

ორშაბათს, 28 იანვარს დილის 10 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან ამხ. გ. შოგირაძის კაბინეტში შესდგება თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ:

ამხ. ჭოლოკავა (მე-6 ქართ. ლეგიონი), ბერიძე (მეორე საარტ. ლეგიონი), ჩხიკვიშვილი (საკავ. ასეული), სიხარულიძე (მესანგრეთა ასეული) აღამიძე (ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილება), ზოაძიძე (ტრიბ. სამმართველო), ხილაშვილი (თბ. სამაზრო სამხ. კომისარიატი), თხილავა (თბ. აღმასკომი) და ნოცუბიძე (თბ. აღმასკომის საორგ. განყოფილებიდან).

დამწუხრებული მშობლები—ანეტა და ნოე, ბებია მარიამი, ძმები—გიორგი და დიმიტრი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ერთად ერთი იმედი, სახ. უნივერსიტეტის ეკონ. დარგის მე-3 კურსის სტუდენტი

გრიგოლ (გრიშა) ნოეს-ძე მგელაძე

სამოქალაქო პანაშვიდი 3 თებერვალს, სოფ. ბახვში საკ. სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 528

გაუბედურებულნი და ვენერა მგელაძის ასული ქმრით ალიოშა მაჭარაძით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის უსაყვარლეს

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი 3 თებერვალს, სოფ. ბახვში. 256

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ლიზა, ბიძია მოსე, დედაშვილნი დიმიტრი და ილია გორდელაძენი იუწყებიან მათთვის საყვარელ

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

უდროოდ დაღუპვას. სამოქალაქო პანაშვიდი 3 თებერვალს, ს. ბახვში. 257

ბიძიაშვილები კოლია კანდელაკი და ბიჭიკო ცქიტიშვილი იუწყებიან მათთვის უსაყვარლეს

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

უეცარ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფ. ბახვში ა. წ. 3 თებერვალს. 259

მეუღლე ლასია ქაიხოსროს ასული, შვილები: გიორგი, კოლია, კესარია, ვერა, ეფროსინე, და აგრაფინა, რძლები: ოლღა და ანიკო, შვილ შვილები: ნუნუ, აჩიკო, ოთარი და მერი შანიძეები, სიძეები: ბესარიონ კიწმარიშვილი და ლადიკო მათითაიშვილი—გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 25 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ალექსი გაბრიელის-ძე შანიძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, მკალობლიშვილის ქ. № 18. დაკრძალვა ცალკე იქნება გამოცხადებული. 261

ღრმად დამწუხრებულნი ბიცოლა ბარბალე და ბიძა ძიძიელ ბახტაძეები შვილებით გიორგი და თამარი ქმრით პროკოფი ბურძგლათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 25 იანვარს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინო (ბაბუცა) ბახტაძე-ლორთქიფანიძისა

დაკრძალვა 28 იანვარს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 250

თელეთის თემის მასწავლებლობა ღრმათ და წუხრებულია ძვირფასი და დაუვიწყარი ამხ. მასწავლებელის

ნინა (ბაბუცა) ვლადიმერის ასული

ლორთქიფანიძის

გარდაცვალებით. გამოსვენება 27 იანვარს, დღის 2 საათზე, ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის). 253

მ/გ. მილიციის № 2 ადგილკომში შემავალი თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან მე-5 სამილიციო რაიონის ყოფ. უფროს თანამშრომლის

ამხ. დიმიტრი (მიტო) ბესარიონის ძე

ხარაზაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას—გამოსვენება ა/წ. 26 იანვარს ქალაქის პირველ საავადმყოფოდან თავის ბინაზე, ავლაბრის ქ. № 6 დღის 4 საათზე, დაკრძალვა კვირას 27 იანვარს დილით 12 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე. რკინის გზის ახლოს. 247

ახალი წიგნი

ფ. მიხალევსკი

პოლიტიკური ეკონომია

ფასი 1 მ. 70 კაპ.
ყდაში 2 მან.

ზაქკნიგა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში და პროვინციაში მსურველთ ეგზავნება ფასნადები ამანათით.

დაკვეთა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, კომინტერნის ქ., № 5, „ზაკკნიგა“-ს

რუსთაველის თეატრი

კვირას, 27 იანვარს.

„ანზორ“ ვ. ივანოვის

4 მოქ. და 6 სურათად თარგ. ს. შანშიაშვილის

დადგმა ალ. ახმეტელისა მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—2 ნ. 2176

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული ფილმი **კედელს იქით**	მეორე ქორწინება
მინიონი	მხატვრული ფილმი **უძლეველნი** რეჟ. კორდიუმი	მეორე კვირა მიდის უძლეველნი
პალასი	საუკეთესო ფილმი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან **გილიანის ასული**	მსოფლიო ფილმი **კატორღა**
სოლეი		
არფასტო		მეორე კვირას მიდის გილიანის ქალი
აპოლო	**ნამდვილი ჯენტლმენი**	ნამდვილი ჯენტლმენი
დარბაზი	**ჯანყი** პირველი სერია	**ჯანყი** მეორე სერია
პროლეტარი ავლაბარი	**5 წუთი**	ნამდვილი მამაკაცი

0—20

---

1 თებერვლიდან

მასიური მუშური გაზეთი

„მუშა“

გაზეთი [illegible] ხავს გახდეს [illegible] მუშათა ფართო მასებისათვის სავსებით მისაწვდომი, როგორც შინაარსით, ისე ფასით.

გაზეთი „მუშა“ გამოვა შემცირებული ფორმატით

ელირება მხოლოდ **2** კაპ.

გაზ. „მუშა“-ზე ხელის-მოწერის პირობები:
გაზეთი ეღირება
1 წლით—5 მან.
6 თვით—2 მ. 60 კაპ.
3 თვით—1 მ. 35 კაპ.
1 თვით— 50 კაპ.

ჟურნალ ტარტაროზი-ს დამატებით გაზეთი ეღირება
1 წლით—7 მ. 40 კაპ.
6 თვით—3 მ. 80 კაპ.
3 თვით—1 მ. 95 კაპ.
1 თვით— 70 კაპ.

გამოვიდა და იყიდება

„ფიზიკა“

მოდესტოვისა

1-ლი ნაწილი (მექანიკა, გაზები და სითხეები, ნივთიერების აგებულობა და სითბო).

ცალობით იყიდება ლენინის ქ. № 6. „განათლება“ ბითუმად შეძენა შეიძლება მ. ფარცხელაძესთან ყაზბეგის ქ. № 9.

241 მალე გამოვა მეორე ნაწილიც.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთ მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—12

ა. გ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი [illegible] 109 25|1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვისპროსპ. №10

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაზერეგნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შესხაპუნება „914“, ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

კინო-დარბაზი

ორშაბათიდან

28

იანვრიდან

ჯანყი

მე-2 სერია

რეჟისორი—
ა. წუწუნავა

ოპერატორი—
ა. დიღმელოვი

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

საატრაქციონო სანახაობა 3 განყოფილებად

ევროპის ცირკების მასშტაბის პროგრამა

პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის

(მასიური ჰიპნოზი) **ორნალდოს** (მასიური ჰიპნოზი)

გამოსვლა გამოსვლა

ადამიანი ცეცხლის რკალში **ეროსი**

ჰუმორისტი კრასავინი და სხვ. №№

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

ორნალდოს გასტროლებზე ფასები გადიდებულია

კვირას, 20 იანვარს,

დღის დიდი სანახაობა ახალი პროგრამით

დღისით უკანასკნელად გამოდის ადამიანი ცეცხლის რკალში **ეროსი**

დასაწყისი დღის 2 საათზე.

3-3 ნ. 2107

გეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“-ს გამგეობა

ამით აცნობებს ამხ ნაგობის-წევრებს, რომ ა. წ. თებერვლის 10-ს დილის 10 საათზე, დანიშნულია

ამხანაგობის წევრთა მეოთხე წლიური

საზოგადო კრება

კრება შესდგება მუშათა ახალი ლუბის სათეატრო დარბაზში (კომინტერნის ქ. № 5).

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ და წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება (1927—28 საოპერაციო წლისა);
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. მომავალი წლის მოქმედების გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
4. მიმდინარე საკითხები;
5. არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

თუ დანიშნულ საათზე არ გამოცხადდა ამხანაგობის წესდების 28 მუხლით გათვალისწინებული რიცხვი წევრებისა, მაშინ აღნიშნული კრება გადაიდება და შემდეგი **კრება გაიხსნება იმავე დღეს, შუადღის 12 საათზე;** თანახმად წესდების ზემოთმოხსენებული 28 მუხლისა, კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ნ. 2177 „ქართული წიგნის“ გამგეობა.

გაზეთ „კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმომწერთა (თბილისის) საყურადღებოთ

ცხადდება, რომ მათ აუცილებლივ უნდა შემოიტანონ მთავარ კანტორაში

თებერვლის მორიგი გადასახადი **1 მ. 50 კ.**

იანვრის დამლევამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა 1-ლი თებერვლიდან შეწყვეტილი იქნება.

პროვინციის წლიური ხელისმომწერლებმა თებერვლის მორიგი გადასახადი 1 მ. 50 კ. მთლიანად, ფოსტის ხარჯების გამოუკლებლივ, აუცილებლივ უნდა გამოუგზავნონ მთავარ კანტორას თბილისში (რუსთაველის პრ. № 34) იმ ვარაუდით, რომ ამ უკანასკნელმა იგი მიიღოს იანვრის 28-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში—თებერვლის პირველიდან მათაც შეუწყდებათ გაზეთ „კომუნისტი“-ს გზავნა.

0—5 „კომუნისტი“-ს კანტორა

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა

კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ქ. ქუთაისი

ექიმი

ი. ხ. შველიძე

კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შესხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)

მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ. ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე

მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი

200 25—1

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა სკოლებში შვიდწლედ ს ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.

პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.

ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.

214 6—3

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

სამხეცე ცხოველთა სამყარო

ჟოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში

ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 2082 υ-9.

ორშაბათიდან 28 იანვრიდან

კინო-თეატრებში

პალასი-სოლეი

მსოფლიო ფილმი

კატორღა

ხუნდებ გაყრილი ხალხის გმირული ამბავი

7 ეპიზოდათ ეპილოგით.

რეჟისორი **ი. რაიზმანი**

ოპერატორი **ლ. კოსმატოვი**

მთავარ როლებში:

ტასკინი, ჟილინსკი, ტამი, პოპოვი, გერც.

ნ. 2185

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ოთხშაბათს 30 და ხუთშაბათს 31 იანვარს დღის 12 საათზე სასახლის ქუჩა № 3

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ფარდაგები, ხალიჩები, კამოდები, გარდეროზები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2184

საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის თბილისის რადიო-გადაცემის ცენტრი აცხადებს

შეჯიბრებას ქართული ენის დიქტორზე — (მიკროფონთან წამკითხავზე)

ცნობების მიღება შეიძლება რადიო-გადაცემის ცენტრის კანცელარიაში—ალმასკომის ქ. № 8, მეორე სართული (ყოფ. სოლოლაკის ქ.) დღის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 5 ნახ. საათიდან 8 საათამდე.

244 2—2

იანვრის 29 დღის 12 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება

უმუშევარ განათლების მუშაკთა საერთო კრება

დღის წესრიგი:
1. „ნაკაზის“ მოსმენა
2. ქალაქის საბჭოს წევრების არჩევნები.

კრების შემდეგ გაიმართება კონცერტი.

ნ. 2181 კავშირის ცენტ. გამგეობა.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს. ნ. 8 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ტელეფონი № 5—90.

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს

(ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ხმელის ფურთიასთან, ტელ. 14—23. 25—1

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა ილიკო გვიმრაძის სახელზე, ჩ. გ. 249

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 45575 გრიშა ელკანოვის სახელზე, ჩ. გ. 246

დავკარგე: დამხმარე სალაროს წიგნაკი ალექსანდრე სერგოს ძე გვიანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2183

დავკარგე ხელოვნების მუშ. კავშირის წიგნაკი № 149483 მიხეილ გასილიძე არსიანი—ს ტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 255

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 99033 იური პარკაძის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: განათლ. მუშ. კავშ. წიგნაკი № 2871 ილია სეხნიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 252

დავკარგე: ლოტბაროვის ნებართვა მოცემული განათლების კომისარიატიდან თავშავაძის სახელზე, ჩ. გ. 262

ნაპოვნია ძაღლი

ჰოლანდიურ ჯიშის „დობერმან-პინჩერ“ (შველის მსგავსი) ეკითხეთ: კოტე მესხის ქუჩა № 36 სტუდენტ არჩილ ოძელიშვილთან. პატრონს ვთხოვ გამოცხადდეს ერთი კვირის განმავლობაში, ამ დროის შემდეგ კი ვრჩები ამ ძაღლის მესაკუთრეთ.

254

თბილისის სააქციო სავაჭრო საზოგადოება „თბილისის ვაჭრობა“-ს სალიკვიდაციო კომისია

ამით აუწყებს ყველას, ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს საზოგადოების მიმართ, რომ ასეთები წარუდგინონ სალიკვიდაციო კომისიას, თბილისი, საქართველოს კომუნალური ბანკი, [illegible] ქუჩა № 3,—არა უგვიანეს 1929 წლის 15 თებერვლისა, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები განხილული არ იქნება.

„თბილისის ვაჭრობა“-ს სალიკვიდაციო კომისია.

ნ. 2168 2—2

ჭრა-კერვის გაკვეთილები

ქართულ და რუსულ ენებზე

ბოლგარსკაია

კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ

94 24—2

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.